



ევროკავშირი  
საქართველოსთვის



სამთავრო  
საზოგადოების  
ინსტიტუტი

სოციალური მენარმეობის განვითარება მდგრადი და ინკლუზიური საზოგადოებისთვის

# სოციალური მენარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერის ხედვა

სტრატეგიის დოკუმენტის ჩარჩო



თბილისი 2023 © CSI



# სოციალური მენარეობის სახელმწიფო მხარდაჭერის ხედვა

## სტრატეგიის დოკუმენტის ჩარჩო

დოკუმენტი შემუშავდა ევროკავშირისა და „პური მსოფლიოსთვის“ (Bread for the World) მხარდაჭერით, პროექტის „სოციალური მეწარმეობის განვითარება მდგრადი და ინკლუზიური საზოგადოებისთვის“ ფარგლებში. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და „პური მსოფლიოსთვის“ შეხედულებებს.



ევროკავშირი  
საქართველოსთვის




სამოქალაქო  
საზოგადოების  
ინსტიტუტი

სოციალური მენარეობის განვითარება  
მდგრადი და ინკლუზიური  
საზოგადოებისთვის



თბილისი 2022 © CSI



„პროექტს ევროკავშირისა და პური მსოფლიოსთვის მხარდაჭერით ახორციელებს საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG), პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად: სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI), სოციალურ საწარმოთა ალიანსი (SEA), საქართველოს სამოქალაქო განვითარების ასოციაცია (GCDA), საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირი (DDUG), ვენჩურული ფილანტროპიის ევროპული ასოციაცია (EVPA), ახალგაზრდობის სააგენტო“.

„სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის“ წერილობითი ნებართვის გარეშე აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით.

მისამართი: თბილისი 0171, 26 მაისის მოედანი2, V სართული  
ტელ.: (995 32) 2 363 600;

<https://civilin.org/>

[adm@civilin.org](mailto:adm@civilin.org)

<https://www.facebook.com/civilin.org>

# ს ა რ ჩ ე ვ ი

1. შესავალი .....	3
2. არსებული სიტუაციის მიმოხილვა და პრობლემის აღწერა .....	6
2.1. სოციალური საწარმოების სტატისტიკა .....	7
2.2. საკანონმდებლო გარემო და აღიარება პოლიტიკის დოკუმენტებით .....	8
2.3. სოციალური მეწარმეობის ფინანსური მხარდაჭერა და სოციალური საწარმოების ხელმისაწვდომობა საჯარო ფინანსებზე .....	10
2.3.1. სახელმწიფო/საჯარო შესყიდვები .....	10
2.3.2. საგადასახადო რეგულირება .....	14
2.3.3. მუნიციპალური პროგრამები .....	18
2.3.4. სახელმწიფო სტრატეგიები და პროგრამები .....	19
2.4. კვლევა, განათლება და პოპულარიზაცია .....	23
2.4.1. განათლების ხელშეწყობა და სწავლება .....	23
2.4.2. ინკუბაცია და ქსელი .....	25
2.4.3. საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება .....	25
2.4.4. დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობა .....	26
2.5. სოციალური მეწარმეობის განვითარების ხელშემშლელი გარემოებების შეჯამება .....	26
3. ხედვა, მიზნები და პრიორიტეტული მიმართულებები .....	27
3.1. პრიორიტეტული მიმართულება - სოციალური მეწარმეობის საკანონმდებლო აღიარება და სამართლებრივი უზრუნველყოფა .....	28
3.1.1. ამოცანა - სოციალური მეწარმეობის სფეროს საკანონმდებლო მოწესრიგების სწორი სტრატეგიის შერჩევა და შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივების/ცვლილებების სტრუქტურისა და შინაარსის განსაზღვრა .....	30
3.1.2. ამოცანა - სოციალური მეწარმეობის დეფინიციის ჩამოყალიბება და განმარტება	
3.1.3. ამოცანა - სოციალური მეწარმის/საწარმოს ფორმალური და შინაარსობრივი მახასიათებლების განსაზღვრა .....	34
3.1.4. ამოცანა - სოციალური საწარმოს სტატუსის აღიარება და ამ სტატუსის რეგისტრირებისთვის საჭირო წინაპირობების განსაზღვრა .....	36
3.1.5. ამოცანა - სოციალური საწარმოს სამართლებრივი სტატუსიდან გამომდინარე დამატებითი ვალდებულებების/შეზღუდვების იდენტიფიცირება და იმგვარად მოწესრიგება, რომ არათანაზომიერად არ შეიზღუდოს სოციალურ საწარმოთა თავისუფლად საქმიანობის უფლება. ....	40
3.1.6. ამოცანა: სოციალური საწარმოს ანგარიშვალდებულება/კონტროლის საკითხის გადაწყვეტა და ამ მიზნით მოქმედი სისტემის საკანონმდებლო საფუძვლების უზრუნველყოფა .....	41
3.2. პრიორიტეტული მიმართულება - სოციალური მეწარმეობის პოლიტიკური აღიარება.	42

3.2.1. ამოცანა - სოციალური მეწარმეობის სფეროს გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიის მიღება და შესაბამისი, აღსრულებადი სამოქმედო გეგმის შემუშავება.....	44
3.2.2. ამოცანა - სოციალური მეწარმეობის სფეროს გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის აღსრულების უზრუნველყოფა და მიღწეული შედეგების შეფასების სისტემის დანერგვა .....	45
3.3. პრიორიტეტული მიმართულება - სოციალური მეწარმეობის ფინანსური ხელშეწყობა და საჯარო რესურსებზე ხელმისაწვდომობა .....	46
3.3.1. ამოცანა - საჯარო შესყიდვების პროცედურების შემუშავებაში და განხორციელებაში სოციალური მეწარმეობის თავისებურებების და სოციალური ასპექტების/სოციალური მიზნობრიობის კრიტერიუმის გათვალისწინება, აგრეთვე დარეზერვების მექანიზმის ამუშავება.....	48
3.3.2. ამოცანა - გადასახადებით დაბეგვრის პროცესში სოციალური საწარმოს სტატუსის მქონე სუბიექტების და მათში დასაქმებული პირების განსხვავებული რეჟიმით დაბეგვრა. ....	49
3.3.3. ამოცანა - მუნიციპალიტეტების საშუალოვადიან განვითარების გეგმებში და წლიურ ბიუჯეტებში სოციალური საწარმოების მხარდამჭერი პროგრამების შემუშავება და გათვალისწინება. ....	51
3.3.4. ამოცანა - სახელმწიფო სტრატეგიებში და შესაბამის პროგრამებში (განსაკუთრებით: აწარმოე საქართველოში) სოციალური საწარმოების მხარდამჭერი მიმართულების ინტეგრირება. ....	52
3.4. სოციალური მეწარმეობის კვლევა, განათლება და პოპულარიზაცია .....	54
3.4.1. ამოცანა - სოციალური მეწარმეობის კომპონენტის ინტეგრაცია სასკოლო და საუნივერსიტეტო, ასევე პროფესიული სასწავლებლების სასწავლო პროგრამებში. ....	55
3.4.2. ამოცანა - სოციალური მეწარმეობის მიმართულებით მასწავლებელთა კომპეტენციის გაზრდა. ....	58
3.4.3. ამოცანა - სოციალური მეწარმეობის სწავლების პროცესის შეფასების, შემდგომი ანალიზისა და გაუმჯობესების მექანიზმთა დანერგვა.....	59
3.4.4. ამოცანა - სოციალური მეწარმეობის მიმართულებით სახელმწიფო უწყების წარმომადგენელთა და შესაბამის საჯარო მოხელეთა ინფორმირების დონის ზრდა, როგორც ცენტრალურ, ისე მუნიციპალურ დონეზე .....	60
3.4.5. ამოცანა - სოციალურ საწარმოთა ყოველდღიური საქმიანობის მხარდაჭერა მენტორინგის, კონსულტირებისა და ტექნიკური რესურსების შეთავაზების გზით.....	61
3.4.6. ამოცანა - საქართველოს ბაზაზე მოქმედი ნებისმიერი ტიპის სოციალური საწარმოსთვის რესურსებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.....	63
3.4.7. ამოცანა - სოციალური მეწარმეობის შესახებ ინფორმაციის პროაქტიული გავრცელების უზრუნველყოფა და პოპულარიზაცია. ....	64
3.4.8. ამოცანა - სოციალური მეწარმეობის თემაზე მომუშავე აქტორთა და პასუხისმგებელ პირთა/უწყებთა ურთიერთკავშირის გაძლიერება.....	66
<b>4. შეჯამება .....</b>	<b>68</b>

# 1. შესავალი

თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა სოციალური და სოლიდარული ეკონომიკის სფეროს. აღსანიშნავია, რომ სოციალური მეწარმეობა, როგორც სოციალური ეკონომიკის ქვემომართულება, ჯერ კიდევ 2008-2009 წლებში გახდა ევროპული სტრუქტურების ინტერესის სფერო და შესაბამისი, პოლიტიკური გადაწყვეტილებების საფუძველი.<sup>1</sup> ოფიციალურ პოლიტიკურ თუ სამართლებრივ დოკუმენტებში სოციალური მეწარმეობისა და სოციალური საწარმოს ცნებები სხვადასხვა ფორმით, ზოგადი თუ კონკრეტული შინაარსით უკვე დამკვიდრებულია.<sup>2</sup> საკითხი ასახულია „ევროპა 2020“ სტრატეგიის „გონივრულ, მდგრად და ინკლუზიურ ზრდაზე“ ორიენტირებული მიზნების ფარგლებში.<sup>3</sup> ამავე სტრატეგიაში აღინიშნა, რომ სოციალური საწარმოები წარმოადგენს ევროპული სოციალური მოდელის მნიშვნელოვან ელემენტს. ამ მოვლენების საპასუხოდ, ევროკავშირში შემავალ ქვეყნებშიც აქტიურად დაიწყო სოციალური ეკონომიკისა და სოციალური მეწარმეობისათვის პოლიტიკური ჩარჩოს განსაზღვრაზე მუშაობა.<sup>4</sup>

ამის პარალელურად, სოციალური ეკონომიკის მიმართულებით საქართველოში არსებული გარემოს შეფასება მიუთითებს, რომ ჩვენს საზოგადოებაში, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებში, უკვე ფესვადგმულია *სოციალური მეწარმეობის* მზარდი კონცეფცია. იდეა, რომელიც ხელს უწყობს ემპათიური (თანაგრძნობასა და ზრუნვაზე ორიენტირებული) საზოგადოების ჩამოყალიბებას, თუმცა არა კომერციული პროცესების ალტერნატიულად, არამედ ინოვაციური აღმოჩენებისა და ეკონომიკური პროგრესის პარალელურად, რაც, ბუნებრივია, განაპირობებს სოციალური საჭიროებების დაკმაყოფილების გზაზე ქვეყნის მდგრად და სტაბილურ ეკონომიკურ წინსვლას.

სხვანაირად რომ ითქვას, დაინტერესებული ადამიანი თავს აღმოაჩენს იმგვარ რეალობაში, რომელშიც სოციალური ეკონომიკისა და მეწარმეობის იდეის გარშემო შემოკრებილი ძალიან ბევრი ადამიანი პირადი რესურსების მაქსიმალური მობილიზაციით ცდილობს შექმნას *სოციალური მეწარმეობის ფუნქციური ეკოსისტემა*, რომლის ყველაზე ღირებული რესურსი, ამ ეტაპზე, მისი პოტენციალია.

სოციალური მეწარმეობის კონცეფცია უნიკალურია იმით, რომ სწორედ მის საფუძველზეა შესაძლებელი *ტრადიციული ეკონომიკური საქმიანობის* საზღვრების გადალახვა და პროცესის ისეთ სისტემაში გადაზრდა, სადაც კომერციული მოგება უკავშირდება დადებით სოციალურ გავლენას. მთავარი განსხვავება, რომელიც „ტრადიციულ ბიზნესსა“ და სოციალურ მეწარმეობას შორის არსებობს, უკავშირდება ტრადიციულ ბიზნესში ეკონომიკური მიზნებისთვის უპირატესობის მინიჭებას, მაშინ, როდესაც სოციალური მეწარმეობის

<sup>1</sup>Public Policy in the Social and Solidarity Economy: Towards the Favourable Environment, The case of Europe, Giulia Galera and Gianluca Salvatori, International Labour Organization, 2015, pg. 6

<sup>2</sup>დამ. ინფორმაცია იხ. <https://ec.europa.eu/social/main.jsp?catId=952&intPageId=2914&langId=en>

<sup>3</sup>Europe 2020, A European Strategy for smart, sustainable and inclusive growth, Brussels, 2010

<sup>4</sup>სოციალური მეწარმეობა, სოციალური საწარმოები და მათი ეკოსისტემა: ევროპული პრაქტიკის მიმოხილვა, ეკატერინე დანელია, მარიამ ლაცაბიძე, ნინო სამსონიძე, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი, 2020, გვ. 2

შემთხვევაში, სოციალური მიზნები უპირობო პრიორიტეტს წარმოადგენს. იმ პირობებშიც კი, როდესაც ტრადიციულ ბიზნესს წარმოადგენს მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ბიზნეს სუბიექტი, მისი საქმიანობა, მმართველობითი სისტემა და მის ქვეშ მიღებული გადაწყვეტილებები უპირატესად ბიზნეს პროცესების ოპტიმიზაციას, შემოსავლების მაქსიმალურ გაზრდას ემსახურება. ეს არის კიდევ პროცესში ჩართული პირების პირდაპირი ვალდებულება, მათ შორის ბიზნესის წარმომადგენლობით ორგანოთა/პირთა ფილანთროპიული ვალდებულებების არსებითი ნაწილი. მოცემულისგან განსხვავებით, სოციალური მეწარმეობისთვის არსებითია სოციალური მიზნების მიღწევა, რაც ხდება ბიზნეს საქმიანობისთვის დამახასიათებელი მოდელის გამოყენებით, შესაბამისად, ბიზნეს სუბიექტის ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმით არსებული სოციალური საწარმოს საქმიანობის სტანდარტები განსხვავებულია იმავე იურიდიული ფორმის სამეწარმეო სუბიექტებისგან.

იმის გამო, რომ დარგი საქართველოში ჯერ კიდევ „ემბრიონის“ (განვითარების საწყის) ეტაპზეა, მისი შემდგომი განვითარება საჭიროებს საკითხის პოლიტიკურ დონეზე პრიორიტეტად აღიარებას და პირველ რიგში, სახელმწიფოს მხრიდან სტრატეგიულ მოქმედებას.

თავის მხრივ, პროცესის ხელშეწყობა სულ ცოტა სამი ძირითადი მიმართულებით მოითხოვს მუშაობას, რომლებიც, შესაბამისი წესითაა დაფარული წინამდებარე დოკუმენტშიც.

**სამართლებრივი აღიარება:** სოციალური მეწარმეობაც, სხვა ნებისმიერი პროცესის მსგავსად, მოითხოვს თემის სამართლებრივ უზრუნველყოფას. როგორც წესი, თავად სამართლებრივი უზრუნველყოფის მიზანი, მკაფიო სამართლებრივი დეფინიციებისა და გამარტივებული პროცესების დაშვებაა, რითიც სოციალური საწარმოს შექმნა და ზრდაა წახალისებული. ამ გზით იქმნება საწარმოთათვის მდგრადი საარსებო გარემო, უსაფრთხოდ, ნაკლები ეკონომიკური და სამართლებრივი რისკით თუ საკანონმდებლო ბარიერების გარეშე მუშაობის ობიექტური პირობები.

**ფინანსური მხარდაჭერა:** ჩანასახოვანი განვითარების ეტაპიდან ძლიერ სისტემამდე მისასვლელად, საკმარისი არ არის საქმიანობის დაწყებისთვის აუცილებელი სამართლებრივად თუ სხვაგვარად უზრუნველყოფილი გარემო, საჭიროა მუდმივი ზრდის პერსპექტივა - ზრდის პროცესში კი - შესაბამისი რესურსი. სოციალური მეწარმეობა მოითხოვს მყარ **ფინანსურ ეკოსისტემას**, რომელიც ხელს უწყობს მის შემდგომ განვითარებას. თავად ფინანსური მხარდაჭერის მიზანი იმგვარ მექანიზმთა შექმნა და ამოქმედებაა, რომლებიც უშვებს გრანტების, ინვესტიციებისა და ინოვაციური დაფინანსების მოდელის ამგვარ საწარმოთა გასაძლიერებლად გამოყენებას. სექტორის ფინანსური მხარდაჭერით ჩნდება გავლენიანი ინიციატივების დამატებით მოზიდვის პოტენციალიც.

**შესაძლებლობების განვითარება, სწავლა, კვლევა და თემის გარშემო ინფორმაციის გავრცელების ხელშეწყობა:** მაშინაც კი, როცა ეკოსისტემა განვითარების მაღალ ეტაპზეა, არსებითია თემის უწყვეტი შემეცნება და ცოდნის გავრცელების არხების ფუნქციონირება. შესაძლებლობების განმავითარებელი ინიციატივების, საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევების ხელშეწყობით - მხარდამჭერი - სოციალურ მეწარმეებს ეხმარება წარმატებული საქმიანობისთვის საჭირო უნარების დახვეწაში, ხოლო ახალ თაობაში აჩენს სოციალური ზემოქმედების

ახალი სფეროს ათვისების სურვილს. სხვანაირად შეუძლებელია სფეროს მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა.

**სტრატეგიული დოკუმენტის** მიზანია წარმოადგინოს სოციალური მეწარმეობის იდეის „პოტენციალის სფეროდან“ – „ხელშესახები ზემოქმედების“ სფეროში გადაყვანის სისტემური ხედვა. ის ძირითადად მიემართება სახელმწიფოს და სწორედ საჯარო სექტორის მხრიდან გასატარებელ, შესაძლო ღონისძიებებს.

დოკუმენტი აერთიანებს სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს ზემოთ მითითებული სამივე მიმართულებით. ამასთანავე, გამოკვეთს ამ მიზნების მისაღწევად/ამოცანების შესასრულებლად გათვალისწინებულ კონკრეტულ რეკომენდაციებს. თავად რეკომენდაციები, შინაარსობრივად მიუთითებს შესაძლო აქტივობებზე, რომლებიც კონკრეტული შედეგისკენაა მიმართული. დოკუმენტი ფარავს როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან გეგმებსა და შემოთავაზებებს, რომლებიც შეიძლება რელევანტური იყოს დღეისთვის, ან გასათვალისწინებელი გახდეს სამომავლოდ, სოციალური მეწარმეობის ეკოსისტემის განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე.

სტრატეგიის დოკუმენტით გათვალისწინებული აქტივობების შესრულებით, სოციალური მეწარმეობის მიმართულება მიაღწევს საჭირო აღიარებას, შეიქმნება სფეროს სტაბილური ფუნქციონირებისთვის აუცილებელი ინსტიტუციური მექანიზმები, გაჩნდება სფეროს მხარდაჭერისკენ მიმართული ფინანსური რესურსები, სექტორებს, უწყებებსა და ინდივიდებს შორის გადანაწილდება კონკრეტული პასუხისმგებლობები, გააქტიურდება სფეროს შესწავლისა და სწავლების მიმართულება, ამადღება საზოგადოების ინფორმირებულობის ხარისხი, შესაბამისად, გაიზრდება სფეროთი დაინტერესებულ პირთა წრე, სოციალურ ეკონომიკასთან დაკავშირებული პროდუქტებისა და მომსახურების გაცემა/მიღებისთვის შეიქმნება სანდო გარემო. ეს ყოველივე, ცხადია, ერთი მხრივ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების, მეორე მხრივ, სოციალურ პრობლემათა დაძლევის განმაპირობებელი, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

წინამდებარე სტრატეგიით გათვალისწინებული რეკომენდაციების შესრულება, საქართველოს მისცემს შესაძლებლობას გადადგას მნიშვნელოვანი ნაბიჯი იმ ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების შესრულების გზაზე, რომლებიც მას აქვს საერთაშორისო პარტნიორებთან მიმართებით. მათ შორის, ევროკავშირისკენ სწრაფვის მიზნიდან გამომდინარე, ასოცირების შეთანხმების ფარგლებში,<sup>5</sup> ასევე გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების თვალსაზრისით.<sup>6</sup> სოციალური ინვესტიციებისა და სოციალური მეწარმეობის სფეროს განვითარების ხელშეწყობა, თავის მხრივ საქართველოსთვის გააჩენს საერთაშორისო დონორებისა და ევროპული სტრუქტურებისგან, რომლებმაც პრაქტიკული ქმედებებით არა ერთხელ დაადასტურეს სფეროს განვითარების მაღალი ინტერესი, მხარდაჭერის დამატებით შესაძლებლობებს.

<sup>5</sup>ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, 2014, მუხლი 313;

<sup>6</sup>საქართველოს მიერ გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების ნებაყოფლობითი ეროვნული მიმოხილვის ანგარიში 2020, გვ.4;

წინამდებარე სტრატეგიული დოკუმენტი შემუშავებულია ევროკავშირისა და “პური მსოფლიოსთვის” დაფინანსებული პროექტის „სოციალური მეწარმეობის განვითარება მდგრადი და ინკლუზიური საზოგადოებისთვის“ მხარდაჭერით და სოციალური მეწარმეობის ეკოსისტემის საკოორდინაციო პლატფორმის საქმიანობის ფარგლებში. მულტიპეტორული საკოორდინაციო პლატფორმა აერთიანებს სოციალური საწარმოების, საჯარო ინსტიტუციების, სფეროს მხარდამჭერი საზოგადოებრივი და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებს, აგრეთვე სფეროთი დაინტერესებულ ექსპერტებს. სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავების მიზნით ჩატარდა საკოორდინაციო პლატფორმის ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფების სამუშაო შეხვედრები, ხოლო დოკუმენტის საბოლოო რედაქცია შეთანხმდა საკოორდინაციო პლატფორმის საერთო შეხვედრაზე. დოკუმენტი ჩამოყალიბდა ევროპული საუკეთესო პრაქტიკის კვლევისა და ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებით, შესაბამისად, დოკუმენტი წარმოადგენს კერძო და საჯარო პარტნიორობის მაგალითს.

სტრატეგიის შემუშავებისას გამოყენებულ იქნა სოციალური ეკონომიკის სფეროში აღიარებული სტანდარტები, მიდგომები და ის ინფორმაცია, რომელიც სოციალური მეწარმეობის საკოორდინაციო პლატფორმის წევრი ინსტიტუციების მიერ იქნა მოწოდებული. ამასთანავე, სტრატეგიული დოკუმენტი, მიზნებისა და ამოცანების ნაწილში იზიარებს უკვე არსებული პოლიტიკის დოკუმენტების, მათ შორის სტრატეგიებისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმების სულისკვეთებას. ამ კონტექსტში, შესაძლებელია შემდეგი მასალების დასახელება: საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია – 2021-2025 წლებისთვის, „2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა, საქართველოს სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების სტრატეგია, საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია და სტრატეგია, ხედავ 2030 საქართველოს განვითარების სტრატეგია და ა.შ.

აღსანიშნავია ისიც, რომ წინამდებარე სტრატეგია არ წარმოადგენს სოციალურ მეწარმეობასთან მიმართებით სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელ ძირითად დოკუმენტს, არამედ კერძო ინიციატივის საფუძველზე შემუშავებულ სარეკომენდაციო ხასიათის სახელმძღვანელოს, რომელიც, სამომავლოდ, შეიძლება საფუძვლად დაედოს სოციალური მეწარმეობის განვითარების მიზნით შექმნილ ნებისმიერ სამართლებრივ დოკუმენტს.

## 2. არსებული სიტუაციის მიმოხილვა და პრობლემის აღწერა

მოცემული თავის ფარგლებში დაკონკრეტებულია სოციალური მეწარმეობის სფეროს განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ის მიმართულებები, რომლებიც საჭიროებს შესაბამის რეფორმებს. კერძოდ, სოციალური საწარმოების სტატისტიკის წარმოების, საკანონმდებლო გარემოს გაუმჯობესებისა და ცნების აღიარების, სოციალური მეწარმეობის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით საწარმოების საჯარო ფინანსებზე ხელმისაწვდომობის, ასევე კვლევის, განათლებისა და პოპულარიზაციის მიმართულება. თითოეულის ფარგლებში მოცემულია არსებული სიტუაციის მიმოხილვა და შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებების აღწერა, იდენტიფიცირებუ-



ლია ის ძირითადი პრობლემები, რომელთა გადაჭრის მიზანზეც აგებულია ავტორთა სტრატეგიული ხედვა, რომელთა მოგვარების მიზანსაც ემსახურება დოკუმენტში გამოკვეთილი ამოცანები/რეკომენდაციები. სიღრმისეული ანალიზისთვის, რიგი მიმართულებები ჩაშლილია უფრო კონკრეტული შინაარსის ქვემიმართულებებად.

## 2.1. სოციალური საწარმოების სტატისტიკა

ზუსტი და სანდო სტატისტიკური მონაცემების არსებობა შეიძლება ჩაითვალოს სფეროს აღიარების არაფორმალურ ინდიკატორად, იმის ფაქტობრივ დასტურად, რომ სფერო სახელმწიფოს მხრიდან აღიარებული და ყურადღებამიქცეულია. სტატისტიკური მონაცემები ქმნის ინფორმაციულ ბაზას, რომლის გათვალისწინებითაც უნდა მიიღებოდეს სფეროს განვითარებისთვის საჭირო გადაწყვეტილებათა უმრავლესობა.

დღესდღეობით, სოციალური მეწარმეობის და სოციალური საწარმოს საკანონმდებლო განმარტებების არქონა და შესაბამისად, მსგავსი სუბიექტების აღრიცხვის ინსტიტუციონალიზებული სისტემის არარსებობა, შეუძლებელს ხდის ამ სექტორში სტატისტიკის წარმოებას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოში მოქმედი სოციალური საწარმოების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია მხოლოდ ამ სფეროში მომუშავე მხარდამჭერი ორგანიზაციებისა და სხვადასხვა ქოლგა ორგანიზაციების ბაზაზე არსებული ინფორმაციის საფუძველზე. ბუნებრივია ეს მონაცემები ცვალებადი და არასრულყოფილია.

ამ მხრივ აღსანიშნავია, სოციალურ საწარმოთა ალიანსისა (SEA) და საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSRDC) მიერ სხვადასხვა პროექტების და კვლევების საფუძველზე მოპოვებული და წარმოებული სტატისტიკა, რომელიც ეყრდნობა სოციალური მეწარმეობის განმსაზღვრელ ძირითად კრიტერიუმებს. ამ მონაცემებზე დაყრდნობით, 2022 წლის მდგომარეობით საქართველოში 140-ზე მეტი სოციალური საწარმო ფუნქციონირებს. აქედან ძირითადი ნაწილი პოზიციონირებს როგორც სოციალურ საწარმო, ხოლო ნაწილი არის სოციალური სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაცია, რომელიც ასევე მოიცავს სოციალური მეწარმეობის კომპონენტს, თუმცა ისინი ამ ეტაპზე თავს არ აღიქვამენ სოციალურ საწარმოდ.

სოციალური მეწარმეობის განმსაზღვრელ ძირითად კრიტერიუმებზე დაყრდნობით, სოციალურ საწარმოთა ალიანსის მონაცემების მიხედვით სოციალური საწარმოების **72%** ოპერირებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმით, ხოლო **28%** ფუნქციონირებს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამეწარმეო სუბიექტების სამართლებრივი ფორმით. სოციალური საწარმოების მეტწილად არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმით არსებობა, მნიშვნელოვნად არის განპირობებული მათი საკანონმდებლო სტატუსის არარსებობით და საგრანტო დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობის საკანონმდებლო შეზღუდვით.

სოციალური მისიისა და მიზნის მიხედვით სოციალური საწარმოები გამოირჩევიან მრავალფეროვნებით, კერძოდ მათი სოციალური მიზნებია: ა) დასაქმებისა და სიღარიბის დაძლევა - **35%**; ბ) ახალგაზრდებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების თვითრეალიზების ხელშეწყობა - **20%**; გ) განათლება - **10%**; გარემოსდაცვითი მიზნები - **13.3%**. დ) სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდა - **8.4%**; ე) სხვა სოციალური მიზნები (კულტურა და ა.შ) - **13.3%**.

საქმიანობის ტიპის მიხედვით, საწარმოთა 57% ქმნის გარკვეულ პროდუქციას, ხოლო 43% სერვისის მიწოდებელია.<sup>7</sup>

## 2.2. საკანონმდებლო გარემო და აღიარება პოლიტიკის დოკუმენტებით

საქართველოში სოციალური მეწარმეობა შეიძლება შეფასდეს, როგორც სწრაფად განვითარებადი, თუმცა დაურეგულირებელი და სამართლებრივი აღიარების არ მქონე სფერო. მოცემული, პირველ რიგში, გამომდინარეობს სფეროსთან დაკავშირებული განმარტებებისა და დეფინიციების ნორმატიული განსაზღვრების არარსებობით. ეს ართულებს სოციალური მეწარმეობის მნიშვნელობის აღქმას როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორისთვის, ხელს უშლის სახელმწიფოს მხრიდან თანმიმდევრული და ქმედითი მექანიზმების დანერგვისა და სფეროს ხელშეწყობი სტრატეგიების შემუშავება/აღსრულების პროცესს. სოციალურ საწარმოთა სამართლებრივი სტატუსის არარსებობა ასევე ართულებს სოციალური მეწარმეობის სფეროს წარმომადგენელთა იდენტიფიცირებას, აღრიცხვასა და მათი საქმიანობის შესახებ საჭირო ფარგლებში ზუსტი ინფორმაციის მოძიებას, რაც აუცილებელია სოციალური მეწარმეობის პოზიტიური გავლენების ობიექტურად შესაფასებლად, მათ შორის, მათი საქმიანობის სოციალური ზემოქმედების ხარისხის გასაზომად.

ამ ეტაპზე, საქართველოში არ არსებობს კონკრეტული სახელმწიფო მხარდაჭერის მექანიზმები, რომლებიც უშუალოდ შეეხება სოციალურ მეწარმეობას/სოციალურ საწარმოებს და მათ საჭიროებებზე იქნება მორგებული. შედეგად, სოციალურ საწარმოებს არ აქვთ შექმნილი იმგვარი საარსებო გარემო, რომელიც მათ სოციალური მიზნების სრულფასოვნად განსახორციელებლად, საკუთარი პოტენციალის მაქსიმალურად გამოსავლენად სჭირდებათ.

სოციალური მეწარმეობის საკანონმდებლო აღიარების და სოციალურ საწარმოთა საარსებო გარემოს განვითარების ხელშეწყობის მიზნით, 2018 წლის ნოემბერში საქართველოს პარლამენტში ინიცირებულ იქნა კანონპროექტი "სოციალური მეწარმეობის შესახებ" თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად. კანონპროექტი განსაზღვრავდა სოციალური მეწარმეობის ცნებას, სოციალური საწარმოს სტატუსის მიღების წინაპირობებს, გზებსა და საშუალებებს, სოციალური საწარმოების ფუნქციონირებისთვის სავალდებულო მოთხოვნებს, სოციალური მეწარმეობის სახელმწიფო ხელშეწყობის საფუძვლებს (მათ შორის საქართველოს მთავრობის მიერ სტრატეგიის დამტკიცების ვალდებულებას), სოციალური საწარმოს სტატუსის გაუქმებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ შედეგებსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. საკანონმდებლო პაკეტი განხილული იქნა პარლამენტის კომიტეტების მიერ, თუმცა პარლამენტის სესიაზე მისი განხილვა არ მომხდარა, ხოლო შემდეგი მოწვევის პარლამენტმა იგი არ შეიტანა განსახილველ საკანონმდებლო აქტების სიაში და არ გაუგრძელებია მისი განხილვა.

საქართველოში არ არსებობს საკანონმდებლო აქტი, ოფიციალური პოლიტიკური დოკუმენტი ან სტრატეგია, რომელიც განსაზღვრავს სოციალური მეწარმეობის კონცეფციის არსს და მისი მთავარი აქტორის სოციალური საწარმოს დეფინიციას/განმარტებას. ამასთან, სოციალური

<sup>7</sup> სოციალურ საწარმოთა აღიარების მონაცემთა ბაზა: <https://seageorgia.ge/>

მეწარმეობის ეკოსისტემის განვითარების საჭიროებისა და მნიშვნელობის შესახებ ფრაგმენტულ და ზოგად ჩანაწერებს ვხვდებით გადამკვეთი სფეროს სტრატეგიებში. საქართველოს პოლიტიკის დოკუმენტების დონეზე უშუალოდ სოციალური მეწარმეობის განვითარებისა და ხელშეწყობის მნიშვნელობა ახალგაზრდობის პოლიტიკის კონტექსტშია აღიარებული. **“2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია”** მიუთითებს სოციალური მეწარმეობის მიმართულებით სამართლებრივი ბაზის გაუმჯობესების საჭიროებაზე. კონცეფციაში სოციალური მეწარმეობა აღიარებულია ახალგაზრდობის ეკონომიკური გაძლიერების ნაწილად. მოცემულია, რომ ახალგაზრდობის ეკონომიკური გაძლიერების მიზნით სახელმწიფო გადადგამს შესაბამის ნაბიჯებს, მათ შორის, ისეთი შედეგის მიღწევისთვის, როგორცაა ახალგაზრდებს შორის მეწარმეობის დონის ამაღლება. ამ თვალსაზრისით აღნიშნულია, რომ სოციალური მეწარმეობის მიმართულებით საჭიროა შესაბამისი სამართლებრივი ბაზის გაუმჯობესება, ხელშემწყობი პროექტების ინიცირება და მათი მხარდაჭერის გაძლიერება, საზოგადოების ინფორმირებულობის დონის გაზრდა და ამ მიმართულების განვითარების ხელშემწყობი სხვა ღონისძიებების განხორციელება.<sup>8</sup> **სახელმწიფოს ახალგაზრდულ სტრატეგიაში (2023-2026)** კი მითითებულია სოციალური მისიის მნიშვნელობა, როდესაც საქმე ახალგაზრდათა სამეწარმეო საქმიანობაში ჩართვას ეხება. ხაზგასმულია, რომ სოციალური მეწარმეობა სამართლებრივი ჩარჩოს ფარგლებში აღიარებული არ არის და სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერა ნაკლებად ხდება. სტრატეგიის ერთ-ერთ მიზნად დასახულია ახალგაზრდობის მხარდაჭერა სამეწარმეო საქმიანობაში და ზოგადად, სოციალური მეწარმეობის ხელშეწყობა. ამ მიზნით დაგეგმილია ახალგაზრდობის საჭიროებებზე მორგებული სოციალური მეწარმეობის განვითარების ხელშემწყობი რეკომენდაციების მომზადება, აგრეთვე განხორციელდება სოციალურ მეწარმეობასა და სტარტაპ-ინკუბატორების განვითარებისთვის საჭირო აქტივობები. სტრატეგიასთან ერთად დამტკიცებულია მისი 2023 წლის სამოქმედო გეგმა.<sup>9</sup>

ბუნებრივია, განხილული მაგალითები არ იძლევა იმის საშუალებას, რომ სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერა სახელმწიფოს დეკლარირებულ მიზნად აღვიქვათ, ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ სოციალური მეწარმეობის ფარგლები მრავალფეროვანი და ფართოა, სფერო დავიწროვებულია მხოლოდ ახალგაზრდობის კონტექსტში.

სოციალური მეწარმეობის საკანონმდებლო რეგულირების არ არსებობის პირობებში, სექტორი აწყდება ისეთი ტიპის პრობლემებს, როგორცაა: ფართო ეკონომიკურ ბაზარზე გასვლის შეუძლებლობა; ბიუროკრატიასთან და ადმინისტრაციულ საკითხებთან დაკავშირებული მაღალი ხარჯები; სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ დონეზე მათი საქმიანობის მნიშვნელობის აღქმადობის პრობლემა; ხელშეწყობისა და მხარდაჭერის ინსტიტუციური მექანიზმების არ არსებობა; მონიტორინგისა და ზედამხედველობის ბალანსირებული სისტემის დანაკლისი; საყრდენი მარეგულირებელი ჩარჩოს არ არსებობის გამო, პრაქტიკასა და თეორიაში წამოჭრილ საკითხთა გადაწყვეტის პრობლემა.

<sup>8</sup>საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 17 ივლისის N7054 დადგენილებით დამტკიცებული 2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია. სტრატეგიული პრიორიტეტი 4 - ახალგაზრდობის ეკონომიკური გაძლიერება, მოსალოდნელი შედეგი 4.5 - ახალგაზრდებს შორის მეწარმეობის დონის ამაღლება.

<sup>9</sup>საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის N606 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგია 2023-2026“. სტრატეგიული მიზანი 3 - ახალგაზრდობის ეკონომიკური გაძლიერება, ამოცანა 3.2 - ახალგაზრდული მეწარმეობის გაძლიერება.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში სოციალური საწარმოები საქმიანობენ მათი სტატუსის სამართლებრივი აღიარების გარეშე, რაც, პირველ რიგში გამოწვეულია იმით, რომ სფეროს ხელშეწყობა არ წარმოადგენს სახელმწიფოს გაცხადებულ მიზანს.

### **2.3. სოციალური მეწარმეობის ფინანსური მხარდაჭერა და სოციალური საწარმოების ხელმისაწვდომობა საჯარო ფინანსებზე**

როგორც აღინიშნა, სოციალური მეწარმეობის განვითარება დაკავშირებულია სახელმწიფოს მხრიდან სექტორის ფინანსური მხარდაჭერის და რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის ხელშეწყობი მექანიზმების არსებობასთან. როდესაც სოციალურ საწარმოებს აქვთ მსგავსი შესაძლებლობები, მათი საქმიანობა მაქსიმალურად ეფექტური, მიღწეული სოციალური შედეგები თვალსაჩინო და მასშტაბურია. ეს, პირველ რიგში, განპირობებულია სახელმწიფოს აქტიური ჩართულობით პრიორიტეტული სოციალური მიზნების იდენტიფიცირების პროცესში. ამ მიზნების მიღწევით რესურსების გაღებით, სახელმწიფო აკონტროლებს პროცესს, საბოლოო ჯამში კი მიღწეულმა შედეგებმა შეიძლება მოიცვას პასუხისმგებელი საჯარო უწყებების მიერ მისაღწევი სოციალური მიზნებიც.

მიუხედავად იმისა, რომ ამ მხრივ შესაძლებლობათა მრავალფეროვნებაა, კერძოდ, ხელშეწყობა მექანიზმებმა შეიძლება მოიცვას ისეთი მიმართულებები, როგორცაა სახელმწიფო/საჯარო შესყიდვები, საგადასახადო რეგულირება, მუნიციპალური პროგრამები, სახელმწიფო სტრატეგიები და პროგრამები, დღესდღეობით სოციალური მეწარმეობის ხელშეწყობის მიზნით თითქმის არც ერთი მიმართულებით გატარებულა რაიმე სახის ღონისძიება უფრო მეტიც, ფინანსური ხელმისაწვდომობის საკითხი სფეროს განვითარებისკენ მიმართული დიალოგის ძირითად და ყველაზე კომპლექსურ საკითხს წარმოადგენს, რადგან სწორედ ამ საკითხებთან დაკავშირებით ხდება თვალსაჩინო დაინტერესებულ პირთა მოსაზრებების სხვადასხვაობა.

#### **2.3.1. სახელმწიფო/საჯარო შესყიდვები**

საერთაშორისო გამოცდილებით, საჯარო შესყიდვების მიმართულებით დანერგილი სიახლეები, ხშირად გამხდარა სოციალური მეწარმეობის ფინანსური ხელშეწყობის მიზნის რეალიზების საშუალება.<sup>10</sup> იქნება ეს დარეზერვებული საჯარო კონტრაქტების (რაშიც იგულისხმება კანდიდატთა მიმართ დადგენილი, კონკრეტული, სოციალური საწარმოსთვის დამახასიათებელი მახასიათებლები)<sup>11</sup> თუ სოციალურ საჯარო შესყიდვების კონცეფციის განვითარების გზით.<sup>12</sup> თავის მხრივ, აღსანიშნავია, რომ აღნიშნული კანონმდებლობა ძირითადად კონკურენ-

<sup>10</sup> ჯიქია ა., გვრიტიშვილი ე., საერთაშორისო გამოცდილების კვლევა, „სოციალური მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერა საერთაშორისო გამოცდილება და სფეროს განვითარების ადგილობრივი პერსპექტივები, მომზადებული პროექტის - სოციალური მეწარმეობის განვითარება მდგრადი და ინკლუზიური საზოგადოებისთვის - ფარგლებში, გვ. 75

<sup>11</sup> იქვე.

<sup>12</sup> ჯიქია ა., გვრიტიშვილი ე., საერთაშორისო გამოცდილების კვლევა, „სოციალური მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერა საერთაშორისო გამოცდილება და სფეროს განვითარების ადგილობრივი პერსპექტივები, მომზადებული პროექტის - სოციალური მეწარმეობის განვითარება მდგრადი და ინკლუზიური საზოგადოებისთვის - ფარგლებში, გვ.

ციის პირობების მაქსიმალურ დაცვაზეა ორიენტირებული, რის გამოც სტანდარტულად, საკანონმდებლო რეგულირება ხისტია სოციალურ-კულტურული მიმართულებით განსახორციელებელი შესყიდვების მიმართულებით. რეგულირების მსგავსი სტანდარტია საქართველოშიც.

2025 წლის 1 იანვრამდე საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების სფეროს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი და მის საფუძველზე მიღებული ნორმატიული აქტები არეგულირებს.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების თანახმად საქართველომ აიღო ვალდებულება მოქმედი კანონმდებლობა, მათ შორის სახელმწიფო შესყიდვების სფეროში, შესაბამისობაში მოიყვანოს ევროკავშირში მოქმედ რეგულაციებთან.<sup>13</sup> ასოცირების შეთანხმების მე-8 თავი სახელმწიფო შესყიდვებს ეხება, რომელიც ითვალისწინებს საქართველოში საჯარო შესყიდვების კანონმდებლობის ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის საჯარო შესყიდვების კანონმდებლობასთან, ევროკავშირში საჯარო შესყიდვების მმართველ პრინციპებსა და იმ ტერმინებსა და განმარტებებზე დაყრდნობით. სტანდარტები მოცემულია ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2004 წლის 31 მარტის N2004/18/EC დირექტივაში სამუშაოების, საქონლის მიწოდებისა და მომსახურების საჯარო ხელშეკრულების დასადავად გამარჯვებულის გამოვლენის პროცედურების კოორდინაციის შესახებ (დირექტივა 2004/18/EC), ასევე ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2004 წლის 31 მარტის N2004/17/EC დირექტივაში წყლის, ენერგეტიკის, ტრანსპორტისა და საფოსტო მომსახურების სექტორში მოქმედი ორგანიზაციების მიერ შესყიდვების პროცედურების კოორდინაციის შესახებ (დირექტივა 2004/17/EC).

ზემოთმოყვანილი ევროდირექტივების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების დროს შესაძლებელია შემსყიდველი ორგანიზაციის სოციალური მიზნებიდან და მომსახურების სახეობიდან გამომდინარე სტანდარტულისგან განსხვავებული შესყიდვის ფორმის გამოყენება და შესაბამისად კონკრეტული „სფეროს“ წახალისება.

ასოცირების შეთანხმების საფუძველზე ნაკისრი ვალდებულების შესრულების მიზნით საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „საჯარო შესყიდვების შესახებ“, რომლის ძირითადი ნაწილიც ძალაში შედის 2025 წლის 1 იანვრიდან. კანონით გათვალისწინებულია საჯარო შესყიდვების ფორმები (დია პროცედურა, შეზღუდული პროცედურა, კონკურენტული დიალოგი, ინოვაციური პარტნიორობა, კონკურსი), რომელშიც საერთო საწყისებზე მონაწილეობა შეეძლება ნებისმიერ სოციალურ საწარმოს. ამასთან, სოციალური მეწარმეობის მიმართულებით ამ კანონში საინტერესოა შემდეგი საკითხების რეგულირება: წინასწარი გამოქვეყნებით მოლაპარაკება, წინასწარი გამოქვეყნების გარეშე მოლაპარაკება, შესყიდვები სოციალურ და სხვა სპეციფიკურ სფეროებში; შესყიდვის პროცედურების დარეზერვება და მდგრადი საჯარო შესყიდვების კონცეფცია.

<sup>13</sup> ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, 2014

- წინასწარი გამოქვეყნებით მოლაპარაკება** - იგი კონკურენტულ დიალოგს ჰგავს, რადგან იდენტური საფუძვლები აქვთ. თუმცა, კონკურენტულ დიალოგში სავალდებულოა ფასისა და ხარისხის თანაფარდობის კრიტერიუმის გამოყენება, მოცემულ შემთხვევაში კი შესაძლებელია საუკეთესო წინადადება გამოვლინდეს როგორც ფასის, ისე ხარისხის საფუძველზე. იგი უფრო ნაკლებად რთული პროექტებისთვის გამოიყენება. შემსყიდველმა ორგანიზაციამ იცის გარკვეული სპეციფიკაციები, თუმცა საჭიროებს დაზუსტებას. წარმოდგენილი წინადადების საფუძველზე შემსყიდველი იღებს გადაწყვეტილებას საჭიროა თუ არა მოლაპარაკების გამართვა. კანონი განსაზღვრავს ეკონომიკური ოპერატორის შერჩევის კრიტერიუმების დადგენის სტანდარტებს და საუკეთესო წინადადების შერჩევის კრიტერიუმის დადგენის საკითხებს (მუხლები 50, 51). ამოსავალია არადისკრიმინაციულობა და პროპორციულობის პრინციპები. ამასთან, ამ კრიტერიუმების დადგენა ერთი მხრივ, უნდა ემსახურებოდეს ეკონომიკური ოპერატორის შესაძლებლობების დადგენას, ხოლო მეორე მხრივ ეკონომიკურად ყველაზე მომგებიანი წინადადების გამოვლენას. საუკეთესო წინადადების შერჩევისას კრიტერიუმი შეიძლება დაეფუძნოს ფასისა და ხარისხის საუკეთესო თანაფარდობას, რა შემთხვევაშიც გაითვალისწინება შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული ხარისხობრივი, გარემოსდაცვითი ან სოციალური ასპექტები. ამ უკანასკნელმა, საერთო საწყისებზე, შეიძლება დამატებითი შესაძლებლობები შექმნას სოციალური საწარმოებისთვის გარემოსდაცვითი და სოციალური ღირებულების მქონე მომსახურებების/საქონლის გაყიდვისას.
- წინასწარი გამოქვეყნების გარეშე მოლაპარაკება** - ამ შემთხვევაში შემსყიდველს შეუძლია შესყიდვის გამოცხადების გარეშე გამართოს მოლაპარაკება ეკონომიკურ ოპერატორებთან. თუმცა, ეს მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევებში დაიშვება. აღნიშნული, გამარტივებული შესყიდვის მექანიზმის ანალოგიურია, იცვლება მონეტარული ზღვრები (ერთგვაროვანი ობიექტების ჯამური ღირებულება 10 000 ლარი საქონლის ან მომსახურების შემთხვევაში, ხოლო 20 000- სამუშაოს შემთხვევაში). აღნიშნული შესაძლოა საინტერესო იყოს სოციალური მეწარმეობის კუთხით მუნიციპალურ დონეზე, განსაკუთრებით მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების მიერ შესყიდვების განხორციელებისას, ვინაიდან ისინი დამოუკიდებლად განიხილებიან შემსყიდველ ორგანიზაციებთან და დადგენილი მონეტარული ზღვარი (10 000 ლარი) თითოეულისთვის დგინდება დამოუკიდებლად. ამიტომ, მნიშვნელოვანი იქნება მუნიციპალიტეტებთან მუშაობა ამ მექანიზმის გამოყენებით სოციალური მეწარმეობის ხელშეწყობა მოხდეს, ამასთან, აუცილებელია შესაბამისი დასაბუთების არსებობა კონკრეტული მიმწოდებელი ორგანიზაციის შერჩევისას (ფასისა და ხარისხის კრიტერიუმის გათვალისწინების საჭიროებისას).
- საჯარო შესყიდვის პროცედურები სოციალურ და სხვა სპეციფიკურ სფეროში მომსახურების შესყიდვის მიზნით** - აღნიშნული საკითხი ახალია და მსგავსი საკითხების ამოქმედება ძირითადად 2025-2027 წლებში განიხილება. აღნიშნული საინტერესოა იმდენად, რამდენადაც კანონი განსაზღვრავს, რომ სოციალურ და სხვა სპეციფიკურ სფეროში შესაძლებელია მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოყენებულ იქნეს საჯარო შესყიდვების განსხვავებული პროცედურები, რომელიც განისაზღვრება საჯარო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებით. აქვე, განსაზღვრულია CPV კოდები, რომლებთან მიმართებაშიც არის შესაძლებელი შესყიდვის აღნიშნული პროცედურის გამოყენება. „განსხვავებული პროცედურები“ განისაზღვრება ერთიანი წესით ან და დადგინდება

მომსახურებების მიხედვით (ამ ეტაპზე უცნობია რა მიდგომა იქნება გამოყენებული). თუმცა ძირითადი პრინციპები ყველა შემთხვევაში უნდა იყოს დაცული და არ უნდა მოიცავდეს დისკრიმინაციულ ჩანაწერებს. კანონში არის განმარტება, რომ შემსყიდველ ორგანიზაციას შეუძლია გაითვალისწინონ სხვადასხვა კატეგორიის მომხმარებელთა საჭიროებები (მათ შორის, შშმ პირების და მოწყვლადი ჯგუფების), მომხმარებელთა ჩართულობა და წახალისება. შერჩევის კრიტერიუმად გარდა ფასისა და ხარისხის საუკეთესო თანაფარდობისა, გათვალისწინებული უნდა იყოს ხარისხისა და მდგრადობის კრიტერიუმებიც. კანონის 50-ე მუხლში განსაზღვრულია ეკონომიკური ოპერატორის შერჩევის კრიტერიუმები, ხოლო 51-ე მუხლში საუკეთესო წინადადების შერჩევის კრიტერიუმები. შესაბამისი დასაბუთების არსებობისას, შესაძლებელია სოციალური მიზნობრიობის კრიტერიუმის დადგენა შესყიდვის ობიექტთან მიმართებაში. ამასთან, ეს უნდა იყოს არადისკრიმინაციული და პროპორციული.

- **საჯარო შესყიდვის პროცედურების დარეზერვება** - აღნიშნული მექანიზმი განსაკუთრებით საინტერესოა სოციალური მეწარმეობის კუთხით. ევროკავშირის დირექტივებიდან გამომდინარე, კანონი ერთგვარად უშვებს ე.წ. „პოზიტიურ დისკრიმინაციას“, რადგან მონაწილე ეკონომიკური ოპერატორები, ნორმალურ პირობებში, ვერ გაუწევენ კონკურენციას სხვა ეკონომიკურ ოპერატორს. კანონით განსაზღვრულია, რომ აღნიშნული მექანიზმის გამოყენება შესაძლოა მაშინ, როდესაც ეკონომიკური ოპერატორი მიზნად ისახავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ან სხვა მოწყვლადი ჯგუფის წევრთა, მათ შორის ნაკლებად წარმოდგენილი სქესის სოციალურ და პროფესიულ ინტეგრაციას. ევროკავშირის დირექტივის საფუძველზე, აქაც განსაზღვრულია, რომ შესაბამისი ჯგუფის წარმომადგენელთა სულ მცირე 30% უნდა იყოს დასაქმებული. აღსანიშნავია, რომ მოწყვლადი ჯგუფების ტერმინი კანონში არ არის განმარტებული. რეგულაცია ითვალისწინებს ჩამკვეტ მექანიზმებს და აკეთებს მომსახურებების ჩამონათვალს CPV კოდების სახით, რომელზეც შეიძლება გამოყენებული იქნეს პროცედურების დარეზერვება. პროცედურების დარეზერვება შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ მომსახურებებზე (კანონპროექტით გათვალისწინებული CPV კოდების მიხედვით) და არ ვრცელდება საქონელის შესყიდვაზე. შესაბამისად, პროცედურების დარეზერვებით ვერ ისარგებლებენ ის საწარმოები, ვინც პროდუქციას აწარმოებს. ამასთან აღსანიშნავია, რომ საქართველოში მოქმედი სოციალური საწარმოების უმრავლესობა სწორედ საქონლის წარმოებით არიან დაკავებული. კანონით განსაზღვრულია, რომ შემსყიდველს არ შეუძლია შესყიდვის 100%-ით დარეზერვების პროცედურით განხორციელება. ასევე, აღნიშნულია კრიტერიუმები, რომელსაც ეკონომიკური ოპერატორი უნდა აკმაყოფილებდეს.
- **მდგრადი საჯარო შესყიდვების კონცეფცია** - კანონის სიახლეს წარმოადგენს - ე.წ. „მდგრადი საჯარო შესყიდვების“ პრინციპების და მიდგომების დანერგვა. ამ კონცეფციის შემოტანამ საჯარო შესყიდვების სივრცეში ხელი უნდა შეუწყოს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას, მათ შორის საზოგადოებისათვის ისეთი პოპულარული მიმართულებების განვითარებას, როგორცაა „მწვანე“ და „ენერგოეფექტური“ შესყიდვები. აღსანიშნავია, რომ უკვე მოქმედებს საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტი, რომელიც ეხება

სახელმწიფო შესყიდვებისას ენერგოეფექტურობის წესებს.<sup>14</sup> კანონის მიხედვით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ შემთხვევებში, შესყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, შესყიდვის პირობებში აგრეთვე გაითვალისწინოს მდგრადი განვითარებისთვის აუცილებელი მახასიათებლები. საჯარო შესყიდვის განხორციელებისას, მდგრადი განვითარებისთვის იმ შესყიდვის ობიექტის (საქონლის, მომსახურების, სამუშაოს) CPV კოდები, რომლის შესყიდვისას სავალდებულოა მდგრადი განვითარების მახასიათებლების გათვალისწინება, აგრეთვე, საჯარო შესყიდვის კონკრეტულ პროცედურაში მდგრადი განვითარების მახასიათებლების მითითების წესი 2025 წლიდან განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით. აღნიშნული მიმართულება საინტერესო შეიძლება იყოს სოციალური მეწარმეობის კუთხითაც.

„საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის ანალიზის შედეგად საჯარო შესყიდვების კუთხით შესაძლებელია სოციალური მეწარმეობის მიმართულებით მთავარი ასპექტების გამოყოფა:

- კანონი ითვალისწინებს საჯარო შესყიდვების პროცედურების მრავალფეროვნებას, შესაბამისად, სოციალურ საწარმოებს საერთო საწყისებზე შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ საჯარო შესყიდვებში;
- კანონი უფრო მეტ საშუალებას იძლევა სოციალური და ეკონომიკური კუთხით და ფასი აღარაა ყოველთვის მთავარი განმსაზღვრელი კრიტერიუმი. აღნიშნული კი შესაძლებლობებს ქმნის სოციალური მიზნის მქონე სუბიექტებისთვის, თუ შემსყიდველი ორგანიზაციების მხრიდან ეფექტიანად და გონივრულად მოხდა ახალი პროცედურების გამოყენება;
- სოციალური მეწარმეობის კუთხით საინტერესოა, საჯარო შესყიდვების პროცედურები სოციალურ და სხვა სპეციფიკურ სფეროში, სადაც საჯარო შესყიდვების სააგენტოს ხელმძღვანელს შესაძლებლობა აქვს დააწესოს საჯარო შესყიდვების განსხვავებული პროცედურები;
- „საჯარო შესყიდვის პროცედურების დარეზერვება“-ის მექანიზმი ეხება მხოლოდ განსაზღვრული სახის მომსახურებების შესყიდვას, თუმცა, იგი მაინც საინტერესოა სოციალური საწარმოებისთვის. ამ კუთხით დამატებით იქნება სამუშაო შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შემუშავებისას;
- სოციალური მეწარმეობის კუთხით საინტერესოა კანონით გათვალისწინებული მდგრადი საჯარო შესყიდვების კონცეფცია, სადაც საქართველოს მთავრობას შეუძლია განსაზღვროს პრინციპები როგორც მომსახურებაზე, ისე საქონელთან მიმართებაში. ამიტომ, ამ კუთხით დამატებით იქნება სამუშაო შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შემუშავებისას.

### 2.3.2. საგადასახადო რეგულირება

საგადასახადო შეღავათები ფინანსური წახალისების მექანიზმთა შორის ერთ-ერთი ყველაზე აპრობირებული და ფართოდ გავრცელებულია. მსგავსი შეღავათების დაწესების ლოგიკა

<sup>14</sup> „სახელმწიფო შესყიდვების სფეროში ენერგოეფექტურობის განხორციელების წესებისა და სახელმძღვანელო პრინციპების, აგრეთვე ენერგოეფექტური სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიზნით ეროვნული მონეტარული ზღვრების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 1 აგვისტოს N411 დადგენილება.



გამომდინარეობს კონკრეტული ტიპის, როგორც წესი, სოციალურ მიზანთან დაკავშირებული საქმიანობის (მაგალითად, ფილანტროპიული, მოხალისეობრივი ან საქველმოქმედო საქმიანობა) ხელშეწყობიდან.<sup>15</sup> მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მოქმედი საგადასახადო სისტემა მსგავსი მექანიზმებით დატვირთული არ არის, საგადასახადო შეღავათების დაწესების მაგალითებს ქართული მართლწესრიგი მაინც იცნობს.<sup>16</sup>

საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულია ხუთი საერთო-სახელმწიფოებრივი და ერთი ადგილობრივი გადასახადი. ზოგადი მიმოხილვა აჩვენებს, რომ საგადასახადო შეღავათები ძირითადად სოციალურ საწარმოში დასაქმებულ მოწყვლად ჯგუფებს ეხებათ და მათთან არის დაკავშირებული. ამასთან, სპეციფიურად სოციალური მეწარმეობის ან სოციალური საწარმოების ხელშეწყობის მიმართულებით საგადასახადო კანონმდებლობა შეღავათიან საგადასახადო რეჟიმს არ ითვალისწინებს. მნიშვნელოვანია თითოეული სახის გადასახადის მიმოხილვა და ანალიზი, რომ მოხდეს ამ მიმართულებით სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერის კომპონენტების იდენტიფიცირება.

- **საშემოსავლო გადასახადი** - საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილია შემოსავლის სახეობები და გადამხდელთა კატეგორიები, რომლებიც შეღავათებით სარგებლობენ ან განთავისუფლებულები არიან საშემოსავლო გადასახადისგან. რადგან საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირის გადასახადია, ხოლო თუ სოციალურ საწარმოს ექნება შესაბამისი იურიდიული სტატუსი, შესაძლოა მსჯელობა შეღავათების დაწესებაზე არა ორგანიზაციისთვის, არამედ მასში დასაქმებული პირებისთვის. საგადასახადო კოდექსის მოქმედი რედაქციით არსებობს ჯგუფების ჩამონათვალი, ვინც სარგებლობს ამგვარი შეღავათით, მაგალითად: შშმ პირები, ომის მონაწილე ან ვეტერანი, მაღალმთიანი რეგიონის მოსახლეობა და სხვა. შესაძლებელია ამ ჩამონათვალის გადახედვა და სოციალური მეწარმეობის სტიმულირების მიზნობრიობით მისი ცვლილება. გარდა ამისა, საშემოსავლო გადასახადისგან განთავისუფლებული შემოსავლის მაქსიმალური ზღვრები 10 წელზე მეტია არ შეცვლილა. შესაბამისად წლების განმავლობაში დაფიქსირებული ინფლაციის მაჩვენებელი საგადასახადო კანონით დადგენილ რეალურ შეღავათს მნიშვნელოვნად ამცირებს.

სოციალური მეწარმეობის ჭრილში საშემოსავლო გადასახადზე შეღავათის დაწესება პირველ ეტაპზე რთულად მისაღწევი, უფრო გრძელვადიანი პერსპექტივის საკითხია. გასათვალისწინებელია, რომ საჭიროებს დეტალურ დასაბუთებას, თუ რატომ უნდა ისარგებლოს შეღავათებით სოციალურ საწარმოში დასაქმებულმა, ასევე რა ფინანსური გავლენა ექნება ამგვარ შეღავათს. საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, რომ სოციალური

<sup>15</sup> ჯიქია ა., გვრიტიშვილი ე., საერთაშორისო გამოცდილების კვლევა, „სოციალური მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერა საერთაშორისო გამოცდილება და სფეროს განვითარების ადგილობრივი პერსპექტივები, მომზადებული პროექტის - სოციალური მეწარმეობის განვითარება მდგრადი და ინკლუზიური საზოგადოებისთვის - ფარგლებში, გვ. 83

<sup>16</sup> ტივიშვილი დ., გზამკვლევი საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის ფინანსური ანგარიშგების და საგადასახადო დაბეგვრის საკითხებზე, მომზადებული პროექტის - „სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა: მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის - ფარგლებში; გვ. 113

საწარმოს სტატუსის მინიჭების ერთ-ერთი კრიტერიუმი სწორედ მოწყვლადი ჯგუფების დასაქმების მაჩვენებელი წარმოადგენს. ამასთანავე, ამ ეტაპისთვის საქართველოში მოწყვლად ჯგუფებზე მომუშავე სოციალური საწარმოების დიდი რაოდენობა არ არის, შესაბამისად, არსებული რეალობის გათვალისწინებით, მხოლოდ ადამიანთა მცირე რაოდენობას შეიძლება შეეხოს აღნიშნული შეღავათი. პრაქტიკის სიმცირიდან გამომდინარე, ამგვარი შეღავათის დაწესების საჭიროება, ამ ეტაპზე არ იკვეთება. საგადასახადო კანონმდებლობით შესაძლო შეღავათების დაწესება დაკავშირებულია სოციალური საწარმოს სტატუსის საკანონმდებლო აღიარებასთან.

- **მოგების გადასახადი** - მოგების გადასახადი წარმოადგენს საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადს და მისი გადამხდელია რეზიდენტი საწარმო, აგრეთვე არარეზიდენტი საწარმო, რომელიც საქართველოში საქმიანობას მუდმივი დაწესებულების მეშვეობით ახორციელებს ან/და შემოსავალს იღებს საქართველოში არსებული წყაროდან. მოგების გადასახადი პირდაპირ ეხება სოციალურ საწარმოს (მისი ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმის მიუხედავად), თუმცა მოგების გადასახადის ე.წ „ესტონური“ მოდელის ამოქმედებამ ხელსაყრელი პირობები შექმნა გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრისგან განთავისუფლების სახით - იგულისხმება გაუნაწილებელი მოგების განსხვავებული დაბეგვრის რეჟიმი. „ესტონური მოდელი“ ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების განთავისუფლებას საგადასახადო ტვირთისგან. იმ შემთხვევაში ხდება დაბეგვრა თუ მოხდება მოგების გაცემა დივიდენდის სახით ან მოახდენენ მოგების ისეთ განაწილებას, რაც არ იქნება დაკავშირებული კომპანიის ბიზნეს საქმიანობასთან ან ორგანიზაციის საწესდებო მიზნებთან. ანუ, ესტონური მოდელით დაბეგვრა ხდება არა მოგების მიღებისთანავე, არამედ მისი განაწილებისას.

მიუხედავად ამისა, არსებობს ამ კუთხით გამოწვევები. მაგალითად, როდესაც სოციალური მიზნის მქონე ა(ა)იპ აფუძნებს შპს-ს, ამ შემთხვევაში, ა(ა)იპ-ში გადამისამართებული დივიდენდი ჩვეულებრივად იბეგრება. ამ პრობლემის გადაჭრისას, არ უნდა შეიქმნას წინააღმდეგობა სხვა ბიზნესის მწარმოებლებთან, ვინაიდან მოგების გადასახადით არ იბეგრება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ სუბიექტებზე (გარდა ინდივიდუალური მეწარმისა) დივიდენდის განაწილება<sup>17</sup>, შესაბამისად, აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა შესაძლოა იყოს შეღავათების არა ორგანიზაციულ ფორმასთან, არამედ მიზნებთან დაკავშირება.

მოგების გადასახადთან არის დაკავშირებული სამეწარმეო სამართლებრივი ფორმით რეგისტრირებული სოციალური საწარმოების გრანტის მიმღებად საკანონმდებლო აღიარება. კერძოდ, სოციალური საწარმოები მიღებული გრანტის ხელშეკრულებით გაწეული

---

<sup>17</sup> საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98<sup>1</sup> მუხლის თანახმად, განაწილებული მოგება არის მოგება, რომელიც საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით, ფულადი ან არაფულადი ფორმით ნაწილდება. განაწილებულ მოგებად არ ითვლება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ სუბიექტებზე (გარდა ინდივიდუალური მეწარმე) დივიდენდის განაწილება.

ხარჯების ნაწილში, რომელიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან და გამომდინარეობს საგრანტო ხელშეკრულებიდან, განთავისუფლდებიან მოგების გადასახადისაგან.<sup>18</sup>

ზემოთ მოცემული საკითხების მოგვარება შესაძლებელია სოციალური საწარმოს სტატუსის საკანონმდებლო რეგულირების არსებობის შემთხვევაში.

- **დამატებული ღირებულების და აქციზის გადასახადი** - დამატებული ღირებულების გადასახადი არის საქონლის/მომსახურების მოხმარებაზე დადგენილი გადასახადი, რომელიც ამ საქონლის/მომსახურების ფასის პირდაპირპროპორციულია. აქციზის გადასახადი, ამ გადასახადით დასაბეგრი ობიექტის თავისებურებებიდან გამომდინარე არ არის სოციალური მეწარმეობის საკითხთან პირდაპირ შემხებლობაში. ხოლო დღგ-სთან დაკავშირებით კი არსებობს გარკვეული საკითხები, რომლებსაც შეიძლება შემხებლობა ჰქონდეს სოციალურ მეწარმეობასთან და ამ მიმართულებით მოითხოვს მუშაობას.

მიუხედავად იმისა, რომ დღგ-ის საბოლოო გადამხდელი მომხმარებელია, მწარმოებელს მაინც აწევება ტვირთად. აქ შეღავათები არსებობს არა ორგანიზაციული ფორმის მიხედვით, არამედ განსაზღვრულია კონკრეტული სფეროები/საქმიანობები, რომელიც გათავისუფლებულია აღნიშნული გადასახადისგან (მაგალითად განათლება, ჯანდაცვა).

სოციალური მეწარმეობის ჭრილში დღგ-ს საკითხი აქტუალურია გრანტის კომპონენტში. გრანტის მიღების შესაძლებლობა სოციალური საწარმოსთვის დღგ-ით დაბეგვრის გარეშე მნიშვნელოვანი საკითხია. აღნიშნული სოციალური საწარმოებისთვის იქნება მნიშვნელოვანი მოტივატორი. აღსანიშნავია, რომ სამეწარმეო სუბიექტებისთვის ან სამეწარმეო მიზნებისთვის გრანტის გაცემა არ არის უცხო საქართველოს სამართლებრივი სივრცისთვის. მაგალითად, გრანტის მიმღები შეიძლება იყოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მქონე იურიდიული პირი.<sup>19</sup> მსგავსი მიდგომის გამოყენება შეიძლება სოციალური საწარმოს სტატუსის მქონე სუბიექტების მიმართაც. შესაბამისად, როგორც სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები შეიძლება იყვნენ გრანტის მიმღებები, სოციალური საწარმოს სტატუსის მქონე სუბიექტებიც შეიძლება აღიარებულ იქნენ გრანტის მიმღებებად. ამ შემთხვევაში, სოციალური საწარმოები შეძლებენ გრანტის ფარგლებში შეძენილი საქონლის იმპორტს დამატებული ღირებულების გადასახადის გადახდის გარეშე. გარდა ამისა, სოციალური საწარმოები შეძლებენ გრანტის ფარგლებში შეძენილი საქონლის და მომსახურებისთვის გადახდილი დღგ-ს დაბრუნებას/ჩათვლას.

<sup>18</sup> საგადასახადო კოდექსის 97-ე მუხლი მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის თანახმად: ორგანიზაციის რომელიც ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტია: გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან ან/და არ გამომდინარეობს ამ ორგანიზაციის საქმიანობის მიზნიდან (მათ შორის, არ არის დაკავშირებული საქველმოქმედო საქმიანობასთან ან არ გამომდინარეობს გრანტის ხელშეკრულების მიზნიდან).

<sup>19</sup> „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-4 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი.

აგრეთვე, სოციალური საწარმოები შეძლებენ გრანტის ფარგლებში შექმნილი საქონლის იმპორტს იმპორტის გადასახადის გადახდის გარეშე.<sup>20</sup>

ამასთან, აღნიშნული საკითხის მოგვარება შესაძლებელია სოციალური საწარმოს სტატუსის ან/და სოციალური საწარმოს განმარტებისა და განსაზღვრის კრიტერიუმების საკანონმდებლო რეგულირების არსებობის შემთხვევაში. ეს შედეგად ახდენს ფინანსური გავლენას საბიუჯეტო შემოსავლებზე და საჭიროებს დასაბუთებას. ამასთან, აღნიშნული დაკავშირებულია სირთულეებთან სოციალური საწარმოების ზუსტი სტატისტიკის არ არსებობის და გრანტების მოცულობის წინასწარ განსაზღვრის შეუძლებლობიდან გამომდინარე. თუმცა, საწარმოების არსებული სტატისტიკის გათვალისწინებით საბიუჯეტო შემოსავლებზე გავლენა არ უნდა იყოს არსებითი<sup>21</sup> და ასევე გასათვალისწინებელია სოციალური საწარმოების პოტენციური დადებითი გავლენა სხვადასხვა სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში, მათ შორის დადებითი გავლენა კონკრეტული მოწყვლადი ჯგუფებისთვის.

- **ქონების გადასახადი** - ქონების გადასახადი არის ადგილობრივი გადასახადი. საქართველოს კანონმდებლობა იძლევა შესაძლებლობას კონკრეტულ დარგს ან სფეროს ამ მიმართულებით გარკვეული შედეგით დაუწესდეს. სოციალური საწარმოებისთვის ქონების გადასახადის განსხვავებული განაკვეთის დადგენის უფლებამოსილება ადგილობრივი ხელისუფლების უფლებამოსილებაა და საკრებულოს მიერ ნორმატიული აქტით რეგულირდება. შესაძლებელია ადგილობრივ დონეზე მუშაობა ამ მიმართულებით დაიწყოს. განსხვავებული განაკვეთი შესაძლებელია, სფეროსთვის და/ან საქმიანობისთვის დაწესდეს. კონკრეტული სოციალური საწარმოსთვის შედეგების დაწესება საგადასახადო კოდექსით არ არის ნებადართული. საგადასახადო შედეგების და დაბეგვრის განსაკუთრებული რეჟიმის დაწესება საჭიროებს პირველ ეტაპზე სოციალური მეწარმეობის სტატუსის საკანონმდებლო რეგულირებას.

### 2.3.3. მუნიციპალური პროგრამები

სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერის მიმართულებით მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტების სოციალურ და ეკონომიკურ პროგრამებში შესაბამისი კომპონენტის ინტეგრირება.

<sup>20</sup> საგადასახადო კოდექსის 173-ე მუხლის „ც“ პუნქტის თანახმად - დღ-ისგან განთავისუფლებულია გრანტის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის იმპორტი გრანტის გამცემი ან მიმღები პირის მიერ. 181-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად - გრანტის მიმღებ პირს, რომელმაც გრანტის ხელშეკრულების ფარგლებში შეიძინა საქონელი ან/და მომსახურება, უფლება აქვს ჩაითვალოს ან დაიბრუნოს ამ საქონლისთვის/მომსახურებისთვის გადახდილი დღგ, საგადასახადო ორგანოში საგადასახადო ანგარიშ-გაქტურის ან უკუდაბეგვრისას ბიუჯეტში დღგ-ის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის საფუძველზე. 199-ე მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად - იმპორტის გადასახადისაგან განთავისუფლებულია იმ საქონლის იმპორტი, რომელიც გათვალისწინებულია გრანტის შესახებ ხელშეკრულებით, საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად განსაზღვრული წესით.

<sup>21</sup> სხვადასხვა მონაცემების მიხედვით, დაახლოებით 7 წლის განმავლობაში (2017 წლის ჩათვლით) სოციალური მეწარმეობის განვითარებაზე დახარჯულმა თანხამ შეადგინა 7 მილიონი ლარი, თუმცა ბუნებრივია აღნიშნული თანხა სრულად არ არის დაკავშირებული დღგ-ით დაბეგვრის ობიექტთან/საქმიანობასთან. <https://parliament.ge/legislation/16647>

როგორც პრაქტიკა ცხადყოფს მუნიციპალიტეტებში არსებობს მუნიციპალური საბიუჯეტო პროგრამები ისეთი მიმართულებებით, როგორცაა: მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა; შშმ პირთა ეკონომიკური საქმიანობის ხელშეწყობა; მრავალშვილიანი ოჯახების ეკონომიკური გაძლიერება; მარტოხელა დედების ეკონომიკური გაძლიერება; ახალგაზრდული ინიციატივები.<sup>22</sup>

მსგავსი მუნიციპალური საბიუჯეტო პროგრამები გაწერილია სხვადასხვა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტებში, მათ შორის გორის, ქუთაისის, ოზურგეთის, ლაგოდეხის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში. აღნიშნული პროგრამები მიმართულია ბენეფიციარების სხვადასხვა კატეგორიებზე, შესაბამისად შესაძლებელია არსებულ პროგრამებში სოციალური მეწარმეობის მიმართულების დამატება/განვრცობა, ან შესაძლებელია ცალკე სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერი პროგრამის შემუშავება.

მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში ბენეფიციართა სხვადასხვა კატეგორიაზე გათვლილი მხარდაჭერის პროგრამების შექმნისა და განხორციელების სამართლებრივ საფუძველს ქმნის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ (მუხლი 16), ხოლო მუნიციპალური პროგრამების დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს მუნიციპალური ბიუჯეტი. კონკრეტული პროგრამის დასაფინანსებლად შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სხვადასხვა მექანიზმი, მათ შორის ორგანიზაციის სუბსიდირება (ძირითადად მემორანდუმის/შეთანხმების საფუძველზე), პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარის მომსახურების დაფინანსება („ვაუჩერული“ პრინციპით, ბენეფიციარის მიერ მომსახურების მიმწოდებლის თავისუფალი არჩევა) და სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის შესაბამისად მომსახურების შესყიდვა. მუნიციპალიტეტიდან თანადაფინანსების კომპონენტში გრანტის მიმართულებაც შეიძლება იყოს გათვალისწინებული, თუმცა ეს დაკავშირებულია შესაბამის საკანონმდებლო ცვლილებებთან.

მუნიციპალიტეტების გააქტიურება ამ მიმართულებით შესაძლოა ძალიან ნაყოფიერი აღმოჩნდეს. შესაძლებელია ახალი პროგრამები შეიქმნას სოციალური მეწარმეობის მიმართულებით (სადაც განსაზღვრული იქნება პროგრამის მიზანი, ამოცანა, გადაწყვეტილების მიღების პროცედურები და ა.შ.) ან არსებულ მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პროგრამებში მოხდეს სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერის მიმართულების ინტეგრაცია. ასევე, გასათვალისწინებელია, რომ მუნიციპალიტეტები ხშირად ცდილობენ ერთმანეთის საუკეთესო გამოცდილებაზე დაფუძნებული პროგრამების გაზიარებას, შესაბამისად, რამდენიმე მუნიციპალიტეტში მსგავსი პროგრამების დანერგვას მულტიპლიკაციის ეფექტი შეიძლება გააჩნდეს.

#### **2.3.4. სახელმწიფო სტრატეგიები და პროგრამები**

როგორც ზოგადად, ისე ფინანსური ხელშეწყობის თემატიკასთან მიმართებით, მნიშვნელოვანია იმ სახელმწიფო სტრატეგიებისა და პროგრამების მიმოხილვა, რომლებიც საინტერესოა

---

<sup>22</sup> მსგავსი მუნიციპალური საბიუჯეტო პროგრამები გაწერილია სხვადასხვა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტებში, მაგალითად: გორის, ქუთაისის, ოზურგეთის, ლაგოდეხის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში.

სოციალური მეწარმეობის კუთხით, რაც, საჭიროების შემთხვევაში, ამ დოკუმენტებში სოციალური მეწარმეობის თავისებურებების ასახვისა და მისი ხელშეწყობი მექანიზმების ინტეგრირების შესაძლებლობას მოგვცემს.

- **მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია** - ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი არის საქართველოს მთავრობის 2021 წლის 13 ივლისის N351 დადგენილებით დამტკიცებული „მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2021-2025“. სტრატეგიის მიზანია მცირე და საშუალო მეწარმეობის შემდგომი განვითარების ხელშეწყობა და პანდემიამდე არსებული დადებითი ტენდენციების აღდგენა. სტრატეგიის ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებებია: საკანონმდებლო გარემოს დახვეწა, ინსტიტუციური გაძლიერება და ოპერაციული გარემოს გაუმჯობესება მცირე და საშუალო მეწარმეობისთვის; მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარებისა და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა; ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება; მცირე და საშუალო საწარმოთა ექსპორტის ზრდის, ბაზარზე წვდომისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა; ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ინოვაციების, კვლევისა და განვითარების ხელშეწყობა მცირე და საშუალო მეწარმეობისთვის; ქალთა მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა; მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა.

სტრატეგიის ფარგლებში ხორცილდება საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული პროგრამა „აწარმოე საქართველოში“,<sup>23</sup> რომელშიც გამოყოფილია ისეთი ჯგუფები როგორებიცაა შპს პირები, ქალი მეწარმეები და ახალგაზრდები. გარდა ამისა, „მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2021-2025“-ით დასახული მიზნების მისაღწევად სსიპ „აწარმოე საქართველოში“ ახორციელებს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ სხვადასხვა პროგრამებს (საკრედიტო საგარანტიო სქემა; მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერა და სხვა). ზემოთმოყვანილი პროგრამებით სარგებლობა შეუძლიათ მხოლოდ მეწარმე სუბიექტებს (მეწარმეთა შესახებ კანონით განსაზღვრული სამართლებრივი ფორმებით არსებულ სუბიექტებს).<sup>24</sup>

სოციალურ მეწარმეობასთან დაკავშირებით ჩარჩო კანონის მიღების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება სოციალური მეწარმეობის ჩასმა ამ კომპონენტში. თუმცა პრობლემური საკითხია ის, რომ პროგრამაში მონაწილეობა შეუძლია მხოლოდ სამეწარმეო სუბიექტად რეგისტრირებულ პირს. ამ კუთხით საჭირო იქნება ცვლილებები, რომ სოციალური საწარმოების შემთხვევაში დაშვებული იყოს ა(ა)იპ-ის ფორმით არსებული სუბიექტებიც, ან ცალკე კომპონენტი იყოს ზოგადად ყველა სახის სოციალური საწარმოსთვის.

<sup>23</sup> „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის N365 დადგენილება.

<sup>24</sup> „საკრედიტო საგარანტიო სქემის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 29 მარტის N163 დადგენილება; „მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების სახელმწიფო მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 დეკემბრის N567 დადგენილება.

სოციალური მეწარმეობის სტატუსის განსაზღვრის ან/და სოციალური საწარმოს განმარტებისა და განსაზღვრის საკანონმდებლო კრიტერიუმების დადგენის გარეშე რთული იქნება „აწარმოე საქართველოში“ და სხვა პროგრამებში შესაბამისი მიმართულების ამუშავება. ამ შემთხვევაში აუცილებელი იქნება პროგრამამ განსაზღვროს სოციალური მეწარმეობის და სოციალური საწარმოს კრიტერიუმები. აღნიშნული კი, შეიძლება პრობლემური იყოს კრიტერიუმთან შესაბამისობის დადგენის პროცესის განხორციელების კუთხით.

აღნიშნულ პროგრამაში სოციალური საწარმეობის ინტეგრირება შესაძლოა ახლო პერსპექტივის რეკომენდაციებში მოხდეს.

- **საქართველოს სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების სტრატეგია** - სოციალური მეწარმეობა შესაძლებელია ხორციელდებოდეს სოფლის მეურნეობის მიმართულებით. შესაბამისად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახელმწიფო დოკუმენტი საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის N2665 განკარგულებით დამტკიცებული „საქართველოს სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგია“.

სტრატეგიის განხორციელებით დაგეგმილია არსებულ გამოწვევებთან გამკლავება და სოფლად სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიმართულებით მნიშვნელოვანი გარდატეხა. სტრატეგიის ხედვაა მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაყრდნობით, სოფლად ეკონომიკური შესაძლებლობების დივერსიფიცირება/განვითარება, სოციალური მდგომარეობის და ცხოვრების დონის გაუმჯობესება. სტრატეგიის მიზნებია: კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო სექტორები; ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება, ეკოსისტემების შენარჩუნება, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია; სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეფექტური სისტემები.

სტრატეგიის შემუშავების და განხორციელების ეფექტიანობის გასაზრდელად შეიქმნა ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო, რომელიც წარმოადგენს სამინისტროს მიერ ინიცირებული პროექტებისა და პროგრამების ძირითად განმახორციელებელ უწყებას.

სტრატეგიის განსახორციელებლად შექმნილი პროგრამებიდან სოციალური მეწარმეობის ჭრილში მნიშვნელოვანია: სახელმწიფო პროგრამა „დანერგე მომავალი“<sup>25</sup>; „ბიოწარმოების ხელშეწყობის პროგრამა“<sup>26</sup>; „საპილოტე პროგრამა ქალებისთვის“<sup>27</sup>.

- **საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია და სტრატეგია** - საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 17 ივლისის N7054-რს დადგენილებით დამტკიცდა „2020–2030

<sup>25</sup> „დანერგე მომავალი“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 თებერვლის N56 დადგენილება.

<sup>26</sup> „ბიოწარმოების ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 12 ივლისის N358 დადგენილება.

<sup>27</sup> „საპილოტე პროგრამის ქალებისთვის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 აგვისტოს N1488 განკარგულება.

წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია“, რომლის მთავარი მიზანია ისეთი გარემოს შექმნა, სადაც უზრუნველყოფილია ახალგაზრდების, როგორც საზოგადოების სრულფასოვანი წევრების, მონაწილეობა, ღირსეული დასაქმება, ჯანმრთელობის დაცვა და კეთილდღეობა, მათთვის თანაბრად ხელმისაწვდომია ინფორმაცია, რესურსები და განვითარების შესაძლებლობები.

კონცეფციის სტრატეგიული პრიორიტეტებია: საზოგადოებრივ ცხოვრებასა და დემოკრატიულ პროცესებში ახალგაზრდების აქტიური მონაწილეობა; ახალგაზრდების განვითარებისა და მათი პოტენციალის რეალიზების ხელშეწყობა; ახალგაზრდების ჯანმრთელობა და კეთილდღეობა; ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერება; ცენტრალურ და მუნიციპალიტეტების დონეებზე სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის მართვის სრულყოფა.

კონცეფციის საფუძველზე მთავრობამ 2022 წლის 29 დეკემბრის N606 დადგენილებით დაამტკიცა სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგია 2023-2026. სტრატეგიით აღიარებულია სოციალური მეწარმეობის სოციალური მისია და მისი მნიშვნელობა ახალგაზრდების მეწარმეობაში ჩართვის საქმეში. ხაზგასმულია, რომ სოციალური მეწარმეობა სამართლებრივი ჩარჩოს ფარგლებში აღიარებული არ არის და სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერა ნაკლებად ხდება. სტრატეგიის ერთ-ერთ მიზნად დასახულია ახალგაზრდების მეწარმეობის მხარდაჭერა და სოციალური მეწარმეობის ხელშეწყობა. ამ მიზნით მომზადდება ახალგაზრდების საჭიროებებზე მორგებული სოციალური მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის რეკომენდაციები, აგრეთვე განხორციელდება სოციალურ მეწარმეობასა და სტარტაპ-ინკუბატორების განვითარებისთვის საჭირო აქტივობები. სტრატეგიასთან ერთად დამტკიცდა მისი 2023 წლის სამოქმედო გეგმა (სტრატეგიული მიზანი 3, ამოცანა 3.2).

- **ხედავ 2030 საქართველოს განვითარების სტრატეგია** - საქართველოს მთავრობის 2022 წლის 3 ნოემბრის N517 დადგენილებით დამტკიცდა [ხედავ 2030 საქართველოს განვითარების სტრატეგია](#) - სტრატეგიაში ერთ-ერთ პრიორიტეტად აღიარებულია სოციალური პოლიტიკა და ადამიანური კაპიტალის განვითარება, ხოლო ერთ-ერთი სექტორული პრიორიტეტია ახალგაზრდული პოლიტიკა რომლის მიზანია ახალგაზრდების გაძლიერება და საზოგადოებრივ/დემოკრატიულ პროცესებში მათი მონაწილეობის ხელშეწყობა. ამ კომპონენტის ერთ-ერთი ამოცანაა ახალგაზრდების განვითარებისა და მათი პოტენციალის რეალიზების ხელშეწყობა. ამ ამოცანის შესრულებისთვის აღიარებულია, რომ ქვეყანაში გაძლიერდება ახალგაზრდების სოციალური მეწარმეობა, კერძოდ, შემუშავდება ახალგაზრდების საჭიროებებზე მორგებული სოციალური მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის რეკომენდაციები და განხორციელდება სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერი ეკოსისტემის განვითარების ხელშეწყობის სხვადასხვა ტიპის საინფორმაციო და ადვოკატირების კამპანიები, ხელი შეეწყობა ახალგაზრდებში სოციალური მეწარმეობისთვის საჭირო მწვანე და ციფრული კომპეტენციების განვითარებასა და სოციალური მეწარმეობის მიმართულებით ახალგაზრდების ცნობიერების დონის ამაღლებას (ახალგაზრდული პოლიტიკა 2.3.7, მიზანი 8, ამოცანა 8.2.).



- **სხვა პოლიტიკის დოკუმენტები** - ასევე გასათვალისწინებელია შემდეგი სტრატეგიები, რომელთა მიზნებიც თანხვედრაშია სოციალური მეწარმეობის მიზნებთან, კერძოდ: 1) საქართველოს მთავრობის 2019 წლის 30 დეკემბრის N662 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის 2019-2023 წლების ეროვნული სტრატეგია“; 2) საქართველოს მთავრობის 2021 წლის 8 აპრილის N167 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგია“

## 2.4. კვლევა, განათლება და პოპულარიზაცია

კვლევის, განათლებისა და თემის პოპულარიზაციის მიმართულებით მუშაობა უზრუნველყოფს სოციალური მეწარმეობის თემისთვის აქტუალობის შენარჩუნებას, სფეროთი საზოგადოების დაინტერესებას, ასევე დაინტერესებულ პირებში საჭირო ცოდნისა და უნარების აკუმულირებას, რაც დანერგილი და თეორიულად მოქმედი მექანიზმების პრაქტიკაში ეფექტური გამოყენებისთვის, ასევე მდგრადი პროგრესის უზრუნველყოფისთვის აუცილებელია. მიმართულება ერთ-ერთი ყველაზე ფართო და მრავალფეროვანია და აერთიანებს როგორც განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებს, ისე ცნობიერების ამაღლების კამპანიებსა და სფეროს ხელშეწყობის სხვა არაფორმალურ მექანიზმებს, ამასთანავე მოიცავს იმგვარ ამოცანებსა და აქტივობებს, რომლებიც სოციალური მეწარმეობის თემის უკეთ გაცნობის, შესწავლისა და გამოცდილებაზე დაფუძნებული ცოდნის შემდგომი გამოყენების, ასევე დაინტერესებულ მხარეთა შორის ძლიერი კავშირების, თანამშრომლობითი ურთიერთობების ჩამოყალიბების წინაპირობა ხდება.

### 2.4.1. განათლების ხელშეწყობა და სწავლება

საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს „*შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის.*“ როგორც ეს პირდაპირ არის მითითებული საქართველოს მთავრობის დადგენილებაში „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების“ დამტკიცების შესახებ (N84 2004 წლის 18 ოქტომბერი). ზოგადი ფორმით ჩამოყალიბებული ეს მიზანი თავის მხრივ ასევე გამოიხატება მოზარდის უნარში, „*იყოს შემოქმედი, თავად შექმნას ღირებულებები და არ იცხოვროს მხოლოდ არსებულის ხარჯზე.*“

ის, რომ სასკოლო განათლებამ უნდა უზრუნველყოს მოზარდში იმ უნარ-ჩვევების განვითარება, რომლებიც მისცემს მას საშუალებას, „*უკვე არსებული გამოცდილება და მიღწევები გამოიყენოს ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად*“ პრაქტიკაში პირდაპირ უკავშირდება მეწარმეობასთან დაკავშირებული უნარების განვითარებას რაც, ბუნებრივია, იკავშირებს მეწარმეობის უახლესი, განვითარებადი სფეროს, სოციალური მეწარმეობის მიმართულებასაც.

სოციალური მეწარმეობის მიმართულებით განათლების ხელშეწყობა და სწავლება გულისხმობს ფორმალური და არაფორმალური განათლების შესაბამის საფეხურზე მყოფი პირებისთვის სოციალურ მეწარმეობასთან დაკავშირებული ცოდნის გადაცემის, ასევე მათ მიერ შესაბამისი პრაქტიკული უნარების გამომუშავების პროცესის ხელშეწყობას. მოცემული

თავისთავად გულისხმობს, სოციალური მეწარმეობის მიმართულების ინტეგრაციას სასკოლო და საუნივერსიტეტო, ასევე პროფ-სასწავლებლების სასწავლო პროგრამაში.

საერთაშორისო პრაქტიკა მიუთითებს, რომ სწავლების საწყის, კერძოდ, ზოგადი განათლების ეტაპზე დაწყება ყველაზე პროდუქტიულია - როგორც ახალგაზრდებში თემისადმი ინტერესის გაჩენის - ისე გაცემული ცოდნის ხარისხიანად ათვისების მიზნებისთვის.

დღესდღეობით მოქმედი საგანმანათლებლო სისტემა ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად მართლაც განსაზღვრავს „მეწარმეობას“ და სამეწარმეო უნარების განვითარებაზე ზრუნვა სწორედ ზოგადი განათლების ეტაპიდან იწყება. კერძოდ, სამეწარმეო უნარს მოსწავლეებში ავითარებენ გამჭოლი სწავლების მეთოდის გამოყენებით, რაც ნიშნავს, რომ სკოლის მოსწავლეთა სამეწარმეო უნარების განვითარება ხდება „შეფარულად“, ნებისმიერი სხვა საგნის სწავლების პროცესში, ამ საგნის პროგრამის ფარგლებში იმგვარი დავალებების, ინფორმაციისა და სავარჯიშოების ინტეგრაციის გზით, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეში სამეწარმეო უნარების განვითარებას. ამის გარდა, სკოლებს, ნების და რესურსების არსებობის შემთხვევაში დამატებით შეუძლიათ დაიწყონ მეწარმეობის - როგორც დამოუკიდებელი საგნის სწავლება.<sup>28</sup> (მაშინაც კი, თუკი სკოლა გადაწყვეტს საგნის სასწავლო გეგმაში შეტანას, მოსწავლეები დამოუკიდებლად წყვეტენ, სურთ თუ არა ამ საგნის აღება.)

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმას, რომ „მეწარმეობის“ ცნება, შესაბამისად, მისი შინაარსი საკმაოდ ზოგადი და მუდმივად განვითარებადია. როგორც წესი არსად კონკრეტდება მოიცავს თუ არა მეწარმეობის - როგორც პრიორიტეტულად სასწავლებელი მიმართულების - სახელმწიფოსეული გაგება **სოციალური მეწარმეობის** საკითხებსაც, რაც, ბუნებრივია, საჭიროს ხდის უკვე არსებული მექანიზმების ამ მიმართულებით შემდგომ განვითარებას და დაკონკრეტებას. მეწარმეობა, მასთან ერთად კი, სოციალური მეწარმეობა, უნდა გახდეს ფორმალური და არაფორმალური სწავლების, ასევე კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის სავალდებულო ნაწილი.

ამ მხრივ მნიშვნელოვანი პროგრესი ფიქსირდება პროფესიული განათლების მიმართულებით, რომლის ფარგლებშიც შემუშავებული და 2023 წლის სექტემბერში დამტკიცებული, ახალი, მეწარმეობის სასწავლო **მოდული**, შექმნილია EntreComp: მეწარმეობის კომპეტენციების ჩარჩოს საფუძველზე და სხვა საკითხებთან ერთად, პირდაპირ უნდა ითვალისწინებდეს სოციალური მეწარმეობის მიმართულებას, გამოყოფდეს კონკრეტულ მიზნებს, რომელსაც სწავლება ემსახურება, კომპეტენციებს, რომლებიც პროფ.სასწავლებლის სტუდენტს უნდა ჰქონდეს სწავლების ბოლო ეტაპზე და ძირითად მექანიზმებს, რომლებიც პრაქტიკაში მოხმარდება ზემოხსენებულს, იქნება ეს პროფ. სასწავლებლებში მასწავლებელთა უნარების განვითარების, სასწავლო მასალების შექმნისა თუ სასწავლო გეგმის დახვეწის მიმართულებით. მნიშვნელოვანია ერთი მხრივ, გატარდეს ღონისძიებები რომლებიც ამ სიახლეთა პრაქტიკაში

---

<sup>28</sup>2015 წლიდან, ყველა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში, ინტეგრირდა სამეწარმეო კომპეტენციების განმავითარებელი მოდული და ის ამჟამად, პროგრამის სავალდებულო კომპონენტს წარმოადგენს. საქართველომ, 2018 წლიდან დაიწყო აღნიშნული ჩარჩოს მიხედვით, სწავლების მიდგომების მოდიფიკაცია და შეიმუშავა “განათლების სისტემის ყველა დონეზე უწყვეტი სამეწარმეო სწავლების დანერგვის 2019 – 2020 წლების სამოქმედო გეგმა“, რომლის საფუძველზეც დაიწყო მეწარმეობის სწავლების ხარისხის გაუმჯობესება კოლეჯებში.

ეფექტურად რეალიზებას უზრუნველყოფს, (რაც 2021 წლიდან მოყოლებული ინერგება პროფესიული განათლების მიმართულებით, რის მაგალითადაც მეწარმეობის მასწავლებელთა დარგობრივი ქსელის არსებობა შეგვიძლია მივიჩნიოთ) ამასთანავე მსგავსი სტანდარტით გაუმჯობესდეს ზოგადი და უმაღლესი განათლების მიმართულებებიც.

#### **2.4.2. ინკუბაცია და ქსელი**

ბიზნეს ინკუბატორის მთავარი ფუნქცია, დამწყებ მეწარმეთათვის ხელის იმგვარად შეწყობაა, რომ მათ მოკლე პერიოდში მოახერხონ ბიზნეს იდეის განვითარება. მსგავს ფუნქციას ასრულებს ბიზნეს აქსელერატორიც, რომელიც, დამწყებ ბიზნესს ნებისმიერი შესაძლო და საჭირო ფორმით ეხმარება წინსვლაში. ეს შეიძლება გამოიხატოს ახალ, ინოვაციურ პროექტებზე მომუშავე კომპანიების საქმიანობის ციკლის დაჩქარებაში, რაც მაგალითად, გულისხმობს მთელ წელზე გათვლილი პროგრამის რამდენიმე თვეში შესრულების მიზნის დასახვასა და აღსრულებას.. შესაბამისად, ბიზნეს ინკუბატორებისა და ქსელების არსებობა თავისთავად გულისხმობს საჭირო ადამიანურ და ტექნიკურ რესურსებს, იქნება ეს კონსულტაციების, ადმინისტრაციულ-ტექნიკური რესურსების გამოყოფის, თუ ზოგადად, სფეროს განვითარებაში ინტელექტუალური და ფინანსური რესურსის ჩადების თვალსაზრისით. დღესდღეობით არსებული ბიზნეს აქსელერატორის სამოქმედო ფარგლები ზოგადია და არ იკავშირებს კონკრეტულად სოციალური მეწარმეობის მიმართულებას. ამის გარდა, მნიშვნელოვანია მსგავს სივრცეთა პრაქტიკაში გააქტიურება, მათი ხელშეწყობა მუდმივი ინიციატივების განხორციელებისა და სამომავლო გეგმების დასახვის პროცესში. იმ რეალობაში, სადაც ჯერ კიდევ დასაწერია მსგავსი რესურსების გამოყენების კულტურა, საჭიროა ინკუბატორები თავადვე ეწეოდნენ საკუთარი საქმიანობის პოპულარიზაციას, თავად იწვევდნენ საწარმოებს მათ პროექტებში მონაწილეობის მისაღებად. ამ მიმართულებით ინკუბატორებისა და აქსელერატორების შექმნას/ხელშეწყობას შეუძლია გადაამწყვეტი გავლენა იქონიოს სოციალურ საწარმოთა განვითარებაზე. მათ შეუძლიათ შეითავსონ მენტორობასთან, სამუშაო სივრცეების უზრუნველყოფასთან, კონტაქტებისა და ქსელებზე წვდომასთან, სპეციალიზებული რესურსების მობილიზებასა და მოძიებასთან დაკავშირებული ვალდებულებები. სწორედ სოციალური მეწარმეობის მიმართულებით სპეციალიზებული ინკუბატორები და ბიზნეს ასოციაციები შეიძლება ჩაუდგნენ სათავეში, სფეროს შემდგომი განვითარების ადვოკატირების პროცესებს.

#### **2.4.3. საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება**

სოციალური მეწარმეობის მიმართულებით საზოგადოების ცნობიერება საჭიროებს ამაღლებას. დღესდღეობით ამ თემებზე ძირითადად კერძო სექტორის ძალისხმევას მიმართული, ხოლო ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებები უმეტესწილად გადაჯაჭვულია სოციალური საწარმოების საქმიანობის პოპულარიზაციის ზოგად მიზანთან. საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისთვის აუცილებელია სახელმწიფო ინსტიტუციების მონაწილეობა საინფორმაციო და სოციალურ კამპანიებში. სახელმწიფო ინსტიტუციებს შეუძლია წამოიწყონ, ან/და უფლებამოსილი პირების წარმომადგენლობითი კომპონენტის გაძლიერების გზით, აქტიურად ჩაერთონ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანიებში, რომლებიც მიმართულია სოციალური მეწარმეობის კონცეფციისა და საზოგადოებაზე მისი დადებითი გავლენის პოპულარიზაციისკენ. ამ კამპანიებს შეუძლიათ ხაზი გაუსვან ამ მიმართულებით სახელმწიფოს გეგმებს, განხორციელებულ საქმიანობას, მიღწეულ შედეგებს, წარმატების

ისტორიებს, აჩვენონ სოციალური საწარმოების უპირატესობები და შთააგონონ ინდივიდები, წარმოაჩინონ სოციალური მეწარმეობა, როგორც კარიერული მიზანი.

#### **2.4.4. დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობა**

სოციალური მეწარმეობის პოპულარიზაციის, ამ მიმართულებით ცნობიერების ამაღლებისა და პროცესის მდგრადი განვითარების ხელშეწყობის მიზანი, სხვა მიზნებთან შედარებით ყველაზე ზოგადი და მრავალმხრივია, სწორედ ამიტომ, ამ მიმართულებით იდენტიფიცირებული კონკრეტული მიზნები ვერ მიიღწევა სფეროს გულშემატკივარი და წარმომადგენელი სექტორების კოორდინაციისა და თანამშრომლობის გარეშე. მართალია კერძო და საზოგადოებრივი სექტორი უკვე აქტიურობს ამ მიმართულებით, რის დეკლარაციადაც შეიძლება წინამდებარე დოკუმენტიც ჩაითვალოს, თანამშრომლობა არ იქნება ეფექტური, თუ მას არ მიეცა გრძელვადიანი ხასიათი, ხოლო პროცესში ჩართულ პირებს, არ მიეცათ შესაბამისი ლეგიტიმაცია გააგრძელონ ამ მიმართულებით მუშაობა, შესაბამისად, მიუხედავად უკვე გადადგმული ნაბიჯებისა, აუცილებელია სახელმწიფოს გააქტიურება სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ბიზნეს სუბიექტებთან და აკადემიურ ინსტიტუტებთან თანამშრომლობის ნიშნით, რათა მხარეებმა ერთობლივი ძალისხმევით ხელი შეუწყოს პროცესებს.

#### **2.5. სოციალური მეწარმეობის განვითარების ხელშემშლელი გარემოებების შეჯამება**

გამსხვილებული ფორმით მიმართულებების მიხედვით იდენტიფიცირებულ პრობლემათა შინაარსი შემდეგია: **1)** საქართველოში არ არსებობს სოციალური მეწარმეობის მომწესრიგებელი კანონმდებლობა, დეფინიციის ნორმატიული განსაზღვრება და სოციალურ საწარმოთათვის კანონიერი საქმიანობის ცალსახა, განსაზღვრული ჩარჩო; მოცემული, სხვა, ზემოხსენებულ პრობლემათა პარალელურად, დაინტერესებულ მხარეებში ქმნის განსხვავებულ მოლოდინს, აფერხებს საკითხზე მხარეთა შეთანხმებისა და საკითხის გარშემო ფართომასშტაბიანი, გრძელვადიანი და სტაბილური თანამშრომლობითი ურთიერთობის ჩამოყალიბების პროცესს. **2)** საქართველოში არ არსებობს სოციალურ საწარმოთა ფინანსური მხარდაჭერის ან საშელავათო მექანიზმები, რომლებიც მოემსახურება სოციალურ საწარმოთა განვითარების ან ამგვარ საწარმოთა საქმიანობის წახალისების მიზანს, შესაბამის ეკონომიკურ თუ სოციალურ მიზნებში ინვესტირებას და პროცესის ფინანსურ ხელშეწყობას; საკითხი არათუ პრიორიტეტულია, არამედ პროცესის მხარდამჭერები, ყველაზე დიდ წინააღმდეგობას სწორედ ფინანსური მხარდაჭერის ინიციატივათა ადვოკატირებისას ხვდებიან. **3)** არ ხდება სოციალური ეკონომიკისა და მეწარმეობის მიმართულებით საკითხის კვლევა, ცოდნის დაგროვება და გაზიარება, რაც თემის გარშემო ცნობიერების დაბალი დონის და ინტერესის ნაკლებობის გამომწვევი ძირითადი ფაქტორია.

არსებული სიტუაციის სრულფასოვნად წარმოჩენის მიზნებისთვის, გარდა წინა ნაწილებიდან გამომდინარე, შესაბამისი მიმართულებებით უკვე იდენტიფიცირებული რელევანტური თუ პრობლემური საკითხების შეჯამებისა, საჭიროა აღინიშნოს სოციალური მეწარმეობის განვითარების ხელისშემშლელი დამატებითი, უფრო კონკრეტულ ფაქტორები და დაკონკრეტდეს მათგან გამომდინარე ნეგატიური შედეგები, რომლებსაც განზოგადებული სახით პასუხობს

დოკუმენტიდან გამომდინარე შესაბამისი ამოცანები და რეკომენდაციებიც. კერძოდ, სოციალური მეწარმეობის განვითარების ხელშემშლელ გარემოებათა შორის, მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას შემდეგს:

- საქართველოში არსებული სოციალური საწარმოების შესახებ ინფორმაციისა და სტატისტიკური მონაცემების ნაკლებობა, სოციალურ საწარმოთა საქმიანობის, მათი როლისა და შესაძლებლობების შესახებ ოფიციალური მონაცემების არარსებობა, რაც, თავის მხრივ, აფერხებს სოციალურ საწარმოთა ეფექტური ფუნქციონირების პირობებში ობიექტურად მოსალოდნელი ეკონომიკური მაჩვენებლების გამოკვეთას და ამ პოტენციალის პრაქტიკულ რეალიზებას, სოციალურ შედეგში ინვესტირების მსურველთა მოზიდვასა და სოციალური შედეგების გაზომვის მეთოდოლოგიის შემუშავებისთვის საჭირო რესურსების (იქნება ეს ინფორმაციული თუ ინტელექტუალური მონაცემების ბაზა) შექმნას.
- სოციალური მეწარმეობის როგორც ცალკე მდგომი დარგის აღქმის პრობლემა, როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორის წარმომადგენლების მხრიდან, რაც ართულებს სოციალური მეწარმეობის კონკრეტული მახასიათებლების გამოკვეთას, კონკრეტული საჭიროებების იდენტიფიცირებასა და ანალიზს, თავის მხრივ კი, ამგვარ თემებზე მომუშავე პირთა მხრიდან საკითხების ადვოკატირებას, შესაბამისად, სოციალური მეწარმეობის მიმართულებით კონკრეტული ხედვის ჩამოყალიბებას და მასზე შეჯერებას.
- სოციალური მეწარმეობის შესახებ ცნობიერებისა და ცოდნის დონის ასამაღლებლად ან საჭირო უნარების გამოსამუშავებლად გამოსაყენებელი მასალებისა და ინფორმაციის, ლიტერატურის, გზამკვლევის, პრაქტიკული სახელმძღვანელოების, კვლევებისა თუ სხვა სახის აკადემიური ნაშრომების ნაკლებობა.
- სახელმწიფო გრანტებთან დაკავშირებული სამართლებრივი გარემოებები, რომლებიც ზღუდავს კონკრეტული სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმით არსებულ საწარმოთა წვდომას გრანტებზე. ეს, ფაქტობრივად ნიშნავს, რომ უკვე დაშვებული ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმი მხოლოდ ნაწილობრივ აღსრულდება, პროცესში კი კონკრეტული ტიპის სოციალური საწარმოები, არალეგიტიმურად ექცევიან სხვა ტიპის სოციალურ საწარმოთაგან განსხვავებულ სამართლებრივ/ფინანსურ რეჟიმში.

### 3. ხედვა, მიზნები და პრიორიტეტული მიმართულებები

სოციალური მეწარმეობის სტრატეგიული დოკუმენტის ხედვაა საქართველოში სოციალური მეწარმეობისთვის ისეთი საარსებო გარემოს ჩამოყალიბება, რომელშიც ისინი შეძლებენ საკუთარი სტატუსის დამკვიდრებასა და მისით სარგებლობას, მდგრად განვითარებასა და დასახული სოციალური მიზნების ეფექტურ მიღწევას. ხოლო მისი მიზანია საკანონმდებლო თუ პრაქტიკული შინაარსის რეფორმებმა გაამარტივოს სოციალური მეწარმეობასთან დაკავშირებული საქმიანობის დაწყება და განვითარება, ასევე შექმნას სფეროს მხარდაჭერის ეფექტური მექანიზმები, ამგვარი მხარდაჭერის გამღები ნებისმიერი სუბიექტისთვის.

პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრის, თემატურად პრობლემების დაჯგუფებისა და შესაბამისი რეკომენდაციების გამოკვეთის მიზნით, სტრატეგიის დოკუმენტი გამოყოფს

ოთხ მირითად პრიორიტეტულ მიმართულებას, რომელთა ფარგლებშიც აკონკრეტებს მიზნებს, ამოცანებსა და რეკომენდაციებს:

- სოციალური მეწარმეობის საკანონმდებლო აღიარება და სამართლებრივი უზრუნველყოფა;
- სოციალური მეწარმეობის პოლიტიკური აღიარება;
- სოციალური მეწარმეობის ფინანსური ხელშეწყობა და საჯარო რესურსებზე ხელმისაწვდომობა;
- სოციალური მეწარმეობის კვლევა, განათლება და პოპულარიზაცია.

თუმცა, ჩამოთვლილი მხოლოდ მცირედია იმ საკითხთა შორის, რომლებიც სტრატეგიაში შესაბამისი პრიორიტეტული მიმართულებებისა და კომპონენტების მიხედვით იფარება. ზემოხსენებულ და დაკავშირებულ საკითხთა საპასუხოდ, ბუნებრივია, აუცილებელია, სოციალური მეწარმეობის განვითარების გეგმის შემუშავება, პირველ რიგში სახელმწიფოს მიერ. სოციალური მეწარმეობის მიმართულება უნდა იქცეს მეწარმეობის განვითარების მიმართულებით გამოკვეთილ ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტად, უნდა დაიწყოს თემის მოწესრიგება საკანონმდებლო დონეზე, საკითხი გახდეს ქვეყნის პოლიტიკის დღის წესრიგის ნაწილი, სათანადო კვლევისა და თემის შესწავლის საფუძველზე კი უნდა დაიგეგმოს სოციალური საწარმოების ფინანსური ხელშეწყობის მექანიზმთა შექმნისა და ამოქმედების პროცესი.

### **3.1. პრიორიტეტული მიმართულება - სოციალური მეწარმეობის საკანონმდებლო აღიარება და სამართლებრივი უზრუნველყოფა**

**მიზანი: სოციალური მეწარმეობის სფეროს საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგება, კერძოდ, სოციალური მეწარმეობისთვის სპეციალური საკანონმდებლო ჩარჩოს დადგენის გზით ამ სფეროს თავისებურებების რეგულირება.**

როგორც საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, სოციალური მეწარმეობის აღიარება ყველაზე უკეთ მიიღწევა საკითხის სამართლებრივი უზრუნველყოფითა და თემის სახელმწიფოს პოლიტიკის ნაწილად ქცევით. შეიძლება ითქვას, რომ სამართლებრივი აღიარება ყველა სხვა მიმართულებით გასატარებელ ღონისძიებათა კატალიზატორია. მაგალითისთვის, იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფო, ფინანსური სახსრების განკარგვისას უნდა იყოს მაქსიმალურად გამჭვირვალე, სამართლებრივი აღიარება სახელმწიფოს მხრიდან სფეროს ფინანსური მხარდაჭერის ლეგიტიმაციის გზაა. სწორედ ეს იძლევა შესაძლებლობას სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერის პოლიტიკა დაექვემდებაროს კანონიერებისა და განსაზღვრადობის პრინციპს და დაცული იყოს ბალანსი სფეროს იმპერატიულ და მოქნილ რეგულაციურ რეჟიმს შორის.

სოციალურ საწარმოებზე მორგებული კანონმდებლობის არსებობის შემთხვევაში სოციალური საწარმოები შეძლებენ განცალკევდნენ ბიზნესისა და არაკომერციული სფეროს სხვა წარმო-

მადგენლებისგან ისე, რომ შეინარჩუნონ მათთვის გათვალისწინებული ყველა კანონისმიერი უფლება და შეიძინონ დამატებითი უფლებები.

საერთაშორისო პრაქტიკა მიუთითებს, რომ სამართლებრივი აღიარება, პირველ რიგში, მიიღწევა საკანონმდებლო რეგულირებით.<sup>29</sup> რეგულაცია უნდა ემსახურებოდეს სოციალური მეწარმეობისა და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი კატეგორიების ლეგალური დეფინიციის განსაზღვრას, დაინტერესებულ პირთათვის სახელმძღვანელო პრინციპების ჩამოყალიბებას, რომელთა დაცვის შემთხვევაშიც, ისინი კანონიერად და ეფექტურად შეუდგებიან გრძელვადიან და სტაბილურ საქმიანობას, საკუთარ სტატუსზე მითითებით ფართო საზოგადოებაშიც შექმნიან სანდოობის განცდას. სწორედ ამ კანონს დაეფუძნება შემდეგში დარგობრივი მიმართულებების მიხედვით შემუშავებული დამატებითი სამართლებრივი აქტები.

ბუნებრივია, რომ სოციალური მეწარმეობის სფეროს საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგების მიზანი სხვადასხვა ფორმით მიიღწევა. ამ სფეროში მეტად გამოცდილი ქვეყნების მიხედვით, განირჩევა სფეროს საკანონმდებლო რეგულირების სხვადასხვა სტრატეგიები, მათ შორის: **1)** „სოციალური სექტორის“ წარმომადგენლებზე ერთიანად მოქმედი, „სოციალური ეკონომიკის“ შესახებ ჩარჩო კანონის შემუშავება, რომელიც სხვა კატეგორიებთან ერთად მოიცავს სოციალურ მეწარმეობასთან დაკავშირებულ საკითხებს.; **2)** უშუალოდ სოციალური მეწარმეობის ხელშეწყობის შესახებ კანონის დამტკიცება; **3)** უკვე მოქმედ კანონებში ცვლილებების შეტანის გზით საკითხის დარეგულირება.

ბუნებრივია ისიც, რომ საკანონმდებლო მოწესრიგების ფორმათაგან თითოეულს აქვს დადებითი და უარყოფითი მხარე, რაც, როგორც წესი, განისაზღვრება კონკრეტული ქვეყნის კონტექსტით. მაგალითისთვის, სოციალური მეწარმეობის შესახებ კონკრეტული საკანონმდებლო აქტის ამოქმედების დადებით მხარედ უნდა ჩაითვალოს ის, რომ სწორედ ამ ფორმის საკანონმდებლო ინიციატივა იძლევა შესაძლებლობას ჩამოყალიბდეს სოციალური მეწარმეობის მიმართულებისთვის რელევანტური საერთო (მირითადი) დეფინიციები, გამოიკვეთოს სფეროს საჭიროებები მისი თავისებურებების გათვალისწინებით, შეიქმნას ის პრინციპები, რომელზე დაყრდნობითაც იმოქმედებს სფეროს მიკუთვნებული ნებისმიერი აქტორი, შეიქმნას სოციალური მეწარმეობის განვითარებისთვის საჭირო სტრატეგიული ხედვის ჩამოყალიბების რეგლამენტაციის შესაძლებლობა. თუ ამგვარი, სპეციალური კანონის შემუშავება სწორედ ზემოხსენებული მიზნებით მოხდება და მოცემული არ დაიკავშირებს სხვა სახის, მაგალითად, კონკრეტული ფინანსური მექანიზმის ამოქმედების მიზანს, შესაძლებელია არ იყოს სავალდებულო რეგულირების ზეგავლენის შეფასების წინასწარ მომზადება. მეორე მხრივ, თუკი ამ მიდგომის უარყოფით მხარედ შევაფასებთ მოქმედ საკანონმდებლო სივრცეში არსებითი ჩარევის საჭიროებას, რაც გართულებს თემის ადვოკატირების და იმპლემენტაციის პროცესს, შეიძლება საკითხი გადაწყდეს უკვე მოქმედ კანონებში ცვლილებების შეტანის სასარგებლოდ. მართალია პროცესი ვერ იქნება ისეთი

<sup>29</sup> ჯიქია ა., გვრიტიშვილი ე., საერთაშორისო გამოცდილების კვლევა, „სოციალური მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერა საერთაშორისო გამოცდილება და სფეროს განვითარების ადგილობრივი პერსპექტივები, მომზადებული პროექტის - სოციალური მეწარმეობის განვითარება მდგრადი და ინკლუზიური საზოგადოებისთვის - ფარგლებში, გვ. 31-41;

ეფექტური, როგორც ახალი კანონის შემუშავების პირობებში, თუმცა რიგ პრობლემათა ოპერატიულად გადაწყვეტის მიზნებისთვის საკმარისად ჩაითვლება.

მიუხედავად იმისა, რომელი სტრატეგია იქნება არჩეული, უდავოა, რომ გატარებულმა ღონისძიებებმა, მოკლე თუ გრძელვადიან პერსპექტივაში, უნდა დაფაროს შემდეგი თემები: **1)** საკანონმდებლო დონეზე სოციალური მეწარმეობის დეფინიციის დამკვიდრება; **2)** სოციალურ მეწარმეობასთან დაკავშირებულ და მისი დეფინიციის შემადგენელ ცნებათა ნორმატიული განმარტებების ჩამოყალიბება; **3)** სოციალური მეწარმეობის განხორციელების სამართლებრივი წინაპირობების, საქმიანობის დასაშვები ფორმები და სამოქმედო სფეროების დადგენა; **4)** სოციალური საწარმოს შექმნის წინაპირობების, სტატუსის მიღების კრიტერიუმების, საწარმოს რეგისტრირების ან/და სერტიფიცირების საკითხების განსაზღვრა; **5)** სოციალური მეწარმეობის სტატუსთან დაკავშირებული პრივილეგიებისა და ვალდებულებების განსაზღვრა; **6)** სოციალურ საწარმოთა საქმიანობის პროცესში სახელმძღვანელო პრინციპებზე მითითება, მათ შორის შიდა მმართველობისა და საქმიანობის გამჭვირვალედ წარმართვასთან დაკავშირებით; **7)** სახელმწიფოს მხრიდან სფეროს მხარდაჭერის ვალდებულების ინსტიტუციონალიზაცია; **8)** სოციალურ საწარმოთა რეგისტრირებასა და მონიტორინგზე პასუხისმგებელ უწყებათა იდენტიფიკაცია.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კანონის პრაქტიკაში ამოქმედებისთვის, აუცილებელია სწორად განისაზღვროს სფეროს რეგულირების რეალური მიზანი - სოციალური მეწარმეობის სფეროს გაძლიერება და სოციალურ საწარმოთა ხელშეწყობა. ეს ნიშნავს, რომ კანონის ძალით სოციალური საწარმოს შექმნის პროცესი არ უნდა დაუკავშირდეს ბიუროკრატიასა და მაღალ ადმინისტრაციულ ხარჯებს, ასევე იმ მოცულობის პასუხისმგებლობას, რომელსაც სოციალური საწარმოები პრაქტიკულად ვერ აიღებენ.

### **3.1.1. ამოცანა - სოციალური მეწარმეობის სფეროს საკანონმდებლო მოწესრიგების სწორი სტრატეგიის შერჩევა და შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივების/ცვლილებების სტრუქტურისა და შინაარსის განსაზღვრა.**

მნიშვნელოვანია სახელმწიფომ შეაფასოს ქვეყნის კონტექსტი და შეჯერდეს, სოციალური მეწარმეობის საკანონმდებლო რეგულაცია უნდა მოხდეს „სოციალური მეწარმეობის შესახებ“ სპეციალური ჩარჩო კანონის მიღების გზით, თუ არსებულ კანონებში შესაბამისი ცვლილებების ინიცირების/იმპლემენტაციის გზით.

#### **რეკომენდაცია #1**

ქვეყნის კონტექსტისა და სოციალური მეწარმეობის განვითარების პერსპექტივების შეფასების გათვალისწინებით, შეიძლება მოხდეს „სოციალური მეწარმეობის“ შესახებ ცალკე კანონის მიღება, რაც გულისხმობს ცალკე ჩარჩო საკანონმდებლო რეგულირების მიდგომის არჩევას. იმ შემთხვევაში, თუ არჩეული იქნება საკითხის მოწესრიგების ეს მიდგომა, კანონმა, პირველ რიგში უნდა მიუთითოს რა არის კანონის მიღების მიზანი, რა საკითხებს არეგულირებს იგი და როგორია მისი მიმართება სხვა დარგობრივ კანონმდებლობასთან, იმგვარად, რომ



შესაძლებელი იყოს ერთი მხრივ, ამავე აქტში სხვადასხვა საკითხების დამატებით ინტეგრაცია, მეორე მხრივ, სხვა დარგობრივ საკანონმდებლო აქტებში დაკავშირებული საკითხების დაკონკრეტება.

იმისთვის, რომ ჩარჩო კანონმა უპასუხოს სიტუაციის ანალიზში იდენტიფიცირებულ პრობლემურ საკითხებს, მასში უნდა განისაზღვროს:

- სოციალური მეწარმეობისა და სოციალური საწარმოს ცნება - ცნების განსაზღვრასთან ერთად, აუცილებელია დაკავშირებულ ტერმინთა განმარტება, მათ შორის, პირველ რიგში სოციალური მეწარმეობის გაშინაარსება მის ძირითად მდგენელებსა და არსებით ელემენტებზე მითითებით;
- სოციალური საწარმოს სტატუსის მოპოვებასთან/რეგისტრაციასთან დაკავშირებული წინაპირობები და პროცედურები - სოციალური საწარმოს სტატუსის რეგისტრაციის ინსტიტუტის დადგენის გარეშე ვერ განისაზღვრება რომელმა წარმონაქმნებმა შეიძლება დაირეგისტრირონ სოციალური საწარმოს სტატუსი (საწარმოები, არასამეწარმეო იურიდიულ პირები) და პირიქით. მნიშვნელოვანია იქვე მითითოს სად ხდება სოციალური საწარმოს სტატუსის რეგისტრაცია და რომელი ორგანო ახორციელებს ამას, რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს სოციალური საწარმო სტატუსის რეგისტრაციისთვის და როგორია ამ მიზნით წარსადგენი დოკუმენტის შედგენის სტანდარტი (მაგ. მოთხოვნები წესდებასთან დაკავშირებით);
- სოციალურ საწარმოთა ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ურთიერთობები - პასუხისმგებელი და დაკავშირებული სახელმწიფო უწყებების ჩათვლით;
- სოციალური საწარმოს საქმიანობის მონიტორინგთან დაკავშირებული ურთიერთობები - (პასუხისმგებელი და დაკავშირებული სახელმწიფო უწყებების ჩათვლით);
- სოციალური საწარმოს სტატუსის მოპოვებასთან, შენარჩუნებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებულ სამართლებრივი ურთიერთობები - მოცემული ეხება სოციალური საწარმოს სტატუსის ქონასთან დაკავშირებულ დამატებით მოთხოვნებს/შეზღუდვებს და სტატუსის რეგისტრაციის გაუქმებას - რომელი ორგანო ახორციელებს სოციალური საწარმოს სტატუსის გაუქმების რეგისტრაციას, რა დამატებით ვალდებულებებთან/შეზღუდვებთან არის დაკავშირებული სოციალური საწარმოს სტატუსის ქონა და რა შემთხვევაში შეიძლება მოხდეს სოციალური საწარმოს სტატუსის გაუქმება, რას მოიცავს სოციალური საწარმოს სტატუსის დაცვის მონიტორინგი და ვინ შეიძლება იყოს სოციალური საწარმოს სტატუსის გაუქმების ინიციატორი;
- სოციალური მეწარმეობის ხელშეწყობასთან დაკავშირებული ურთიერთობები მოცემულში პირველ რიგში იგულისხმება სოციალური მეწარმეობის სახელმწიფო ხელშეწყობა - რა ღონისძიებები შეიძლება გადაიდგას სოციალური მეწარმეობის ხელშეწყობის მიმართულებით (პრინციპების დონეზე, რომელსაც შემდგომ დაეფუძნება სხვა დარგობრივი/თემატური საკანონმდებლო აქტები);
- სხვა საკანონმდებლო აქტები, რომელთაანაც ფიქსირდება კვეთა - იმის გათვალისწინებით, რომ კონკრეტული თემები შეიძლება დამოუკიდებელი კანონებით დაიფაროს, მოცემულზე მითითება უნდა გაკეთდეს ჩარჩო კანონშიც;

- გარდამავალი დებულებები - მოცემული პირველ რიგში უნდა შეეხოს კანონის ამოქმედებამდე არსებულ სოციალურ საწარმოთა თავსებადობის კრიტერიუმებს ახალ კანონთან, საჭიროების შემთხვევაში გაითვალისწინოს განსხვავებული მიდგომის შესაძლებლობა და მოცემულთან დაკავშირებით რეკომენდაციის გაზიარების შემთხვევაში, საქართველოს მთავრობის მიერ სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერის სტრატეგიის შემუშავება;
- დასკვნითი დებულებები - რაც სტანდარტულად გულისხმობს კანონის ძალაში შესვლის ვადების განსაზღვრას.

## **რეკომენდაცია #2**

ქვეყნის კონტექსტისა და სოციალური მეწარმეობის განვითარების პერსპექტივების შეფასების გათვალისწინებით, შეიძლება მოხდეს სოციალური მეწარმეობის თავისებურებების რეგულირება არა ცალკე სპეციალური ჩარჩო კანონის მიღების გზით, არამედ უკვე მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის გზით. თუ არჩეული იქნება საკითხის მოწესრიგების ეს გზა, პირველ რიგში უნდა იდენტიფიცირდეს რომელ საკანონმდებლო აქტებს უნდა შეეხოს შესაბამისი ცვლილებები და რა ძირითად ამოცანებს მოემსახურება მოცემული რეფორმა, რადგან ერთიანი, ჩარჩო კანონისგან განსხვავებით, სპეციალურ კანონში ახალი თემის გაჩენისას იგი ვიწრო, ამ კანონის მოქმედების ფარგლებისა და მიზნების კონტექსტში განიმარტება. ეს ნიშნავს, რომ არსებულ საკანონმდებლო აქტებში ცვლილებები მართლწესრიგში არსებით ინტერვენციას გამოიწვევს.

იმის გათვალისწინებით, რომ სამართლებრივი აღიარების მთავარი მიზანი და შესაბამისად, შედეგები - სოციალური მეწარმეობისა და საწარმოს ცნებების დამკვიდრებასა და აღიარებაზე, ასევე მათი ფინანსური ხელშეწყობის მიზანზე გადის, ეს მიზნები პრიორიტეტულად უნდა მიიღწეს.

მოცემულის გათვალისწინებით, რელევანტურ კანონთა შორის პირველ რიგში ხვდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონთან ერთად, რომლებშიც შეიძლება გაჩნდეს სოციალური მეწარმეობის/სოციალური საწარმოს ცნება, სტატუსი და მისი რეგისტრირების პირობები, ასევე ამგვარი საწარმოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებული რიგი მახასიათებლები, როგორც არის ქონების გადანაწილებასთან, მმართველობით სტრუქტურასთან და კომერციული საქმიანობის წარმართვასთან დაკავშირებული თემები. ამის პარალელურად, სოციალური მეწარმეობის ცნებაზე მითითება უნდა გაკეთდეს, მაგალითად, გრანტების შესახებ საქართველოს კანონშიც, მისგან გამომდინარე ფინანსური ხელშეწყობის მექანიზმებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. თავის მხრივ, სოციალური მეწარმეობის სტატუსის მოპოვების, შენარჩუნებისა და დაკარგვის წესები, გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოს საქმიანობის მომწესრიგებელ ნორმატიულ აქტებში უნდა დაკონკრეტდეს, რაც, მათ შორის, მოიცავს საჯარო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონსა და რეესტრში სუბიექტთა რეგისტრირების შესახებ შესაბამის ინსტრუქციას.

### 3.1.2. ამოცანა - სოციალური მეწარმეობის დეფინიციის ჩამოყალიბება და განმარტება

მიუხედავად იმისა, სოციალური მეწარმეობის საკანონმდებლო რეგულირების რომელი გზა იქნება არჩეული (ჩარჩო სპეციალური კანონით რეგულირება თუ მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა), აუცილებელია შედეგად მივიღოთ სოციალური მეწარმეობის ოფიციალური ცნება. იგი უნდა აკეთებდეს მითითებას სფეროს/სუბიექტის აუცილებელ ელემენტებზე/მახასიათებლებზე, ამავდროულად იყოს ლაკონური, მაგრამ ფართო შინაარსის.

#### რეკომენდაცია #1

რეკომენდირებულია შემდეგი ფორმულირების განხილვა: „*სოციალური მეწარმეობა არის ორგანიზებული სამეწარმეო საქმიანობა, რომელიც ემსახურება სოციალური მიზნის მიღწევას.*“

რა პირობებშიც დეფინიცია მოკლე და მარტივად აღსაქმელია და მოიცავს სოციალური მეწარმეობის ცნების 3 არსებით კომპონენტს (ორგანიზებული ხასიათი, სამეწარმეო საქმიანობა, სოციალური მიზანი). ამასთან, აერთიანებს იმ ძირითად ცნებებს, რომელთა დამატებითი განმარტების პირობებში, დეფინიციის ნაწილად შეიძლება იქცეს ნებისმიერი დამატებითი მდგენელი, როგორცაა, მაგალითად სოციალურ მეწარმეთა საქმიანობის სფეროების ჩამონათვალი.

#### რეკომენდაცია #2

იმის გათვალისწინებით, რომ დეფინიცია თავის თავში ვერ მოიცავს ყველა საჭირო ინფორმაციას კომპონენტების შინაარსთან დაკავშირებით, საკითხები უნდა გაიშალოს, მათ შორის, ტერმინთა განმარტების ნაწილში. სასურველია ტერმინთა შინაარსი ისე ჩამოყალიბდეს, რომ შესაძლებელი გახდეს სოციალურ საწარმოთა კატეგორიაში სუბიექტების ფართო სპექტრის გაერთიანება, ამასთან, შესაძლებელი იყოს სხვა დარგობრივ/თემატურ კანონმდებლობაში, კონკრეტული საჭიროებების გათვალისწინებით მათი შემდგომი დაკონკრეტება. იმ ცნებათა შორის, რომელთა შემდგომი განმარტების გარეშეც კანონს გაუჭირდება სიცხადისა და განსაზღვრადობის პრინციპის დაკმაყოფილება, შედის შემდეგი ტერმინები:

- სოციალური საწარმო - რაც ამ კანონის მიზნებისთვის შეიძლება გულისხმობდეს *საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილ იურიდიულ პირს, რომელიც აკმაყოფილებს ამავე კანონით დადგენილ მოთხოვნებს და აქვს ამ კანონის მიხედვით დადგენილი მახასიათებლები.* ტერმინთა აღქმადობის გამარტივების მიზნებისთვის, ის, თუ რა მოთხოვნებს/კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს სოციალური საწარმო და შესაბამისად, რომელ სუბიექტებს ვერ მოვიაზრებთ ამ კატეგორიაში, ტექნიკურად უმჯობესია ცალკე მუხლის მოწესრიგების საგანი იყოს.
- სოციალური მიზანი - რაც ამ კანონის მიზნებისთვის შეიძლება გულისხმობდეს *„სოციალურ ზრუნვას, სოციალურ ადაპტაციას, მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენელთა ან დაბალკონკურენტუნარიანი პირების დასაქმებას, სიღარიბის შემცირებას და დაძლევის, აგრეთვე სხვა სოციალური მიზნის მიღწევას ან/და საზოგადოებრივი პრობლემების გადაჭ-*

რას გარემოს დაცვის, სოფლის მეურნეობის, კულტურის, ხელოვნების, განათლების, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური კეთილდღეობის, სოციალური სერვისების, ტექნოლოგიური განვითარების და ადამიანის უფლებების დაცვის სფეროებში.“ მსგავსი შინაარსით საკითხის ჩამოყალიბების დადებითი მხარეა ის, რომ იგი ითვალისწინებს სუბიექტის სამოქმედო სფეროების დეტალურ ჩამონათვალს, ამასთან ადამიანის უფლებების სფეროზე მითითება იძლევა მისი დამატებითი გაფართოების შესაძლებლობას. ამავე ფორმით კეთდება სოციალური მიზნობრიობის სახეების ჩამონათვალიც, რაც მნიშვნელოვან ორიენტირს იძლევა ტერმინის პრაქტიკაში გამოყენების თვალსაზრისით.

- სოციალური ზრუნვა - რაც ამ კანონის მიზნებისთვის, შეიძლება გულისხმობდეს ნებისმიერი სახის საქმიანობას, რომელიც ემსახურება სოციალურად დაუცველთა, უკიდურეს სიღარიბეში მყოფთა, სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე, მარტოხელა, უმწეო და უსახლკარო პირთა ან სხვა მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენელთა მხარდაჭერას/ხელშეწყობას, მათი ეკონომიკური ან/და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.
- სოციალური ადაპტაცია - რაც ამ კანონის მიზნებისთვის შეიძლება გულისხმობდეს ნებისმიერი სახის საქმიანობას, რომელიც ემსახურება მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენელთა და საჭიროებების მქონე პირთა სოციალურ გარემო-პირობებთან, ნორმებთან და ღირებულებებთან აქტიური შეგუების პროცესს, მათი სოციალიზაციის ხელშეწყობასა და საზოგადოებაში მათ ინტეგრაციას.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მაგალითისთვის, ამ კანონის მიზნებისთვის არ არის მოწყვლადი ჯგუფების ცნების განმარტების საჭიროება, ვინაიდან სხვადასხვა საკანონმდებლო/ნორმატიული აქტი განსხვავებულად განმარტავს მოცემულს (მაგ: დასაქმების შესახებ საქართველოს კანონი; საქართველოს მთავრობის 2016 წლის 21 ივლისის დადგენილება N347, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით აღჭურვის სახელმწიფო პროგრამა). ამ კანონში დამატებითი განმარტების გაკეთებამ შეიძლება პოტენციურად შეზღუდოს მოწყვლადი ჯგუფების ჩამონათვალი. აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია მოწყვლადი ჯგუფები, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განიმარტოს შესაბამისი ნორმატიული აქტების მიზნობრიობით.

### **3.1.3. ამოცანა - სოციალური მეწარმის/საწარმოს ფორმალური და შინაარსობრივი მახასიათებლების განსაზღვრა**

იმის გათვალისწინებით, რომ სოციალური მეწარმეობის დეფინიციისა და სოციალური საწარმოს ცნების განმარტება, მოქმედ ან სამომავლო საწარმოთა ამ კატეგორიაში მიკუთვნებას უნდა მოემსახუროს, მნიშვნელოვანია განისაზღვროს სოციალური საწარმოს - როგორც სამართლებრივი სუბიექტის შინაარსობრივი და ფორმალური მახასიათებლები, ამ მიზნებისთვის, პირველ რიგში უნდა განისაზღვროს სოციალური საწარმოს მიერ, მის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმასთან, სტრუქტურასთან, საქმიანობასთან, მართვასა და დაკავშირებულ თემებთან მიმართებით დასაკმაყოფილებელი საკანონმდებლო პირობები.

### **რეკომენდაცია #1**

ამოცანიდან გამომდინარე საკითხების უზრუნველყოფა შეიძლება შესაბამის კანონში შემდეგი შინაარსის დათქმის გაჩენით - „სოციალური საწარმოს სტატუსი შეიძლება მიიღოს საქართველოში რეგისტრირებულმა შემდეგმა იურიდიულმა პირებმა: ა) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება; ბ) სააქციო საზოგადოება; გ) კოოპერატივი; დ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

### **რეკომენდაცია #2**

სოციალურ საწარმოთათვის შესაფერის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებზე მითითების პარალელურად, უნდა განისაზღვროს ის მახასიათებლები, რომლებიც თითოეულ მათგანს მიემართება. მაგალითისთვის, იმ ა(ა)იპ-ების შემთხვევაში, რომლებიც ეწევიან ამ კანონით განსაზღვრულ სოციალურ მეწარმეობას, შესაბამისად, აქვთ სოციალური საწარმოს სტატუსის რეგისტრაციის მოთხოვნის უფლება, უნდა გამოირიცხოს სოციალური საწარმოს სტატუსის რეგისტრაციისთვის დადგენილი რიგი მოთხოვნები და შეზღუდვები. ეს, პირველ რიგში გამომდინარეობს იქიდან, რომ მისი ბუნებიდან გამომდინარე, ა(ა)იპ-ი სოციალურ საწარმოთათვის წაყენებული ძირითადი მოთხოვნების მნიშვნელოვან ნაწილს ისედაც აკმაყოფილებს (მოგების განაწილებაზე შეზღუდვა, ძირითად შემთხვევებში სოციალური მიზნობრიობა), მაშინ, როდესაც სამეწარმეო იურიდიული პირებისთვის დადგენილი მოთხოვნების ნაწილის გავრცელება ა(ა)იპ-ებზე შეუძლებელს გახდის მათ ჩართვას ამ სისტემაში. მაგალითად, შემოსავლების უმეტესად სამეწარმეო საქმიანობით გენერირების მოთხოვნა, წინააღმდეგობაში მოვა ა(ა)იპ-ებისთვის კანონმდებლობით დადგენილ, სამეწარმეო საქმიანობაზე არსებითად გადასვლის აკრძალვის პრინციპთან.

### **რეკომენდაცია #3**

ამოცანის სრულფასოვნად განხორციელებისთვის საჭიროა აღინიშნონ ის სუბიექტები, რომლებიც სოციალურ მეწარმეთა რიგებში ვერ ხვდებიან. მათ შორის, შეიძლება იყოს სახელმწიფოს, მუნიციპალიტეტის ან „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის რეგულირების სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ დაფუძნებული სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი(ები). მოცემული გამომდინარეობს იქიდან, რომ სოციალურ საწარმოთათვის სხვა აუცილებელ წინაპირობებთან ერთად, განისაზღვრება დემოკრატიული მართვის სისტემა, როგორც მმართველობითი კრიტერიუმის კომპონენტი. მოცემული პირველ რიგში გულისხმობს სახელმწიფოსგან დამოუკიდებლობას და გადაწყვეტილების მიღებისას კოლექტიური საკუთრების განცდის შექმნას, მაშინაც კი, თუ საწარმო რამე ფორმით ფინანსდება სახელმწიფოსგან. არსებული საკანონმდებლო მოწყობით, თუ კერძო სამართლის იურიდიული პირის დამფუძნებელი საჯარო ინსტიტუციაა, ამ უკანასკნელის ჩართულობის ხარისხი კომპანიის მართვაში - მაღალია. შესაბამისად, არ არის რეკომენდებული სახელმწიფო ინსტიტუციების ან/და მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებს მიეცეთ სოციალური საწარმოების სტატუსის რეგისტრაციის უფლება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ შეზღუდვა უნდა მიემართებოდეს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“

საქართველოს კანონის მოქმედების ფარგლებში მოქცეულ სსიპ-ებს და არ ზღუდავდეს ისეთი სახის საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, როგორცაა რელიგიური გაერთიანება(ები). ამასთან, ეს შეზღუდვა არ უნდა უკრძალავდეს სახელმწიფო ინსტიტუციებს დააფუძნონ კერძო სამართლის იურიდიული პირები ან/და განახორციელონ პროგრამები ამ მიმართულებით.

სოციალური საწარმო ვერ იქნება უცხო ქვეყნის სუბიექტის საქართველოში არსებული ფილიალი. უცხო რეზიდენტი საწარმოს ფილიალის რეგისტრაცია ხდება საგადასახდო და წარმომადგენლობითი მიზნებისთვის, შესაბამისად, დამოუკიდებელი იურიდიული პირისგან განსხვავებით, ფილიალის რეგისტრაციის მიზანი და მოთხოვნები შემოფარგლული და კონკრეტულია. ამასთან, მსგავსი აკრძალვით უცხოურ საწარმოს არ ერთმევა სოციალური საწარმოს დაარსების პრაქტიკული შესაძლებლობა. უცხოურ სუბიექტებს თავისუფლად შეუძლიათ საქართველოში იურიდიული პირის დაფუძნება ან მსგავსი მიზნით უცხოური საწარმოს საქართველოში რედომიცილება (აღნიშნული უტოლდება რეორგანიზაციას და რეგისტრაციის საქართველოში გადმოტანას).

მნიშვნელოვანია სოციალურ საწარმოთა განმარტებიდან გამოცალკევდნენ ინდივიდუალური მეწარმეები. ინდივიდუალური მეწარმის ბუნებიდან გამომდინარე რთულია მის მიერ სოციალური საწარმოებისთვის დასადგენი მოთხოვნების დაკმაყოფილება. კერძოდ: მათთვის შეუძლებელია მართვისას დემოკრატიულობისა და ინკლუზიურობის კომპონენტის გათვალისწინება (ერთპიროვნულად გადაწყვეტილებების მიღება). ინდივიდუალური მეწარმისთვის ვერ დადგინდება მოგების განაწილებაზე შეზღუდვის კრიტერიუმი, რთულია იმის დადგენა მათი საქმიანობის ფარგლებში სოციალური მიზნობრიობის კრიტერიუმი ნამდვილად კმაყოფილდება თუ არა (ამისთვის აუცილებელი იქნება მეწარმეთა შესახებ კანონში არსებითი ცვლილება ინდივიდუალური მეწარმის რეგისტრაციის პროცედურებში); ინდივიდუალური მეწარმის საგადასახდო დაბეგვრის თავისებურებები არ შეესაბამება სტანდარტულად, სოციალური მიზნის მქონე იურიდიული პირების ან წმინდად კომერციული პირების დაბეგვრის რეჟიმს, ამასთანავე, ინდივიდუალური მეწარმის ლიკვიდაციის პროცედურები არ არსებობს, რაც ნიშნავს, რომ მისი - როგორც „სოციალური საწარმოს“ გაუქმების პირობებში დასადგენი იქნება უშუალოდ მისთვის მორგებული შეზღუდვებისა და სამართლებრივი შედეგების (ასეთის არსებობისას) მოდელი.

### **3.1.4. ამოცანა - სოციალური საწარმოს სტატუსის აღიარება და ამ სტატუსის რეგისტრირებისთვის საჭირო წინაპირობების განსაზღვრა**

იმისთვის, რომ სუბიექტები იწოდებოდნენ სოციალურ საწარმოდ, საჭიროა ამგვარი სტატუსის კანონისმიერი აღიარება, სტატუსის მიღებასთან დაკავშირებული ფორმალური და შინაარსობრივი კრიტერიუმის განსაზღვრა და დაკავშირებულ პირთა პასუხისმგებლობების დადგენა. აღნიშნული ხელს შეუწყობს ერთიანი სტატისტიკის წარმოებას და სტატუსის მქონე სოციალური საწარმოების მხარდაჭერის/სტიმულირების მექანიზმების დადგენას.

### **რეკომენდაცია #1**

არსებული სისტემის და საჭიროებების გათვალისწინებით, ამ ეტაპზე რეკომენდირებულია სტატუსის რეგისტრაციის მექანიზმის შემოღება, ნაცვლად სტატუსის მინიჭების მექანიზმისა. ეს უკანასკნელი მოითხოვს სტატუსის მინიჭების ეტაპზე უფრო სიღრმისეული შემოწმების განხორციელების აუცილებლობას (მაგალითად, საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის მინიჭების შემთხვევის მსგავსად), ხოლო სტატუსის რეგისტრირება უზრუნველყოფს სტატუსის ქონიდან გამომდინარე არსებით და მინიმალურ გარანტიებს და დაკავშირებულია ნაკლებად ბიუროკრატიულ პროცესთან.

### **რეკომენდაცია #2**

მანამ, სანამ განისაზღვრება სტატუსის მოპოვების/რეგისტრაციის პროცედურული მახასიათებლები, საჭიროა გამოიყოს ის ერთიანი და ზოგადი კრიტერიუმები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს სტატუსის მიღების ნებისმიერი მსურველი. მოცემული ემსახურება სოციალურ საწარმოთა ლეგიტიმური ფუნქციონირების შესახებ საერთო ხედვის ჩამოყალიბებას, ასევე სოციალური საწარმოების განსხვავებას სხვა დაკავშირებული კატეგორიის იურიდიული პირებისგან. ამგვარ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, მარეგისტრირებელი ორგანო შეძლებს სტატუსის რეგისტრაციასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მარტივად მიღებას. ამასთან, თუკი საჭირო გახდება რაიმე ნიშნით სოციალურ საწარმოთა შემდგომი კატეგორიზაცია, საგამონაკლისო ან/და დამატებითი მოთხოვნების გათვალისწინება, ეს კონკრეტული სამართლებრივი აქტებით, პროგრამის ტექნიკური დავალებით ან მსგავსი დოკუმენტით მოწესრიგდება. შედეგად, მსგავსი, დამატებითი/სპეციალური მოთხოვნები დაკავშირებული იქნება არა სოციალური საწარმოს სტატუსის რეგისტრაციასთან, არამედ სპეციფიკური სოციალური საწარმოს მიერ მხარდამჭერი ინსტრუმენტებით სარგებლობასთან. მაგალითად, თუ შეიქმნება მხარდამჭერი პროგრამა, რომელიც კონკრეტულად ამ პროგრამის მიზნებისთვის დამატებითი მოთხოვნებისა და მონიტორინგის სქემის დანერგვას საჭიროებს კონკრეტული კატეგორიის სოციალური საწარმოებისთვის (მაგ: მოწყვლადი კატეგორიებიდან მინიმუმ რამდენი პირი უნდა იყოს დასაქმებული საწარმოში, რომ მონაწილეობა მიიღოს კონკრეტულ პროგრამაში, მოწყვლადი კატეგორიების შრომის პირობები, სოციალური დაცვის გარანტიები და სხვა), ეს დამატებით ამ პროგრამის ფარგლებშიც გათვალისწინებადია.

### **რეკომენდაცია #3**

სოციალური საწარმოსთვის დამახასიათებელი ზოგადი კრიტერიუმების დადგენის პარალელურად, აუცილებელია ამ კრიტერიუმების მიხედვით დადგინდეს სტატუსის სარეგისტრაციო ზოგადი და უნივერსალური პირობები. შესაბამისად, შეიქმნას მარეგისტრირებელი ორგანოს სახელმძღვანელო სისტემა. ამ მიზნით, რეგისტრირებისთვის აუცილებელი ზოგადი კრიტერიუმები შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

- სოციალური საწარმო არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი იურიდიული პირი რომელიც/რომელსაც: ა) შექმნილია სოციალური მიზნების მისაღწევად; ბ) გაცხადებული აქვს სოციალური მიზნების უპირატესობა მოგების განაწილების მიზანზე; გ) მოგების არანაკლებ 60%-ის რეინვესტირებას ახორციელებს წესდებით

გათვალისწინებული სოციალური მიზნების მიღწევისათვის წარმოებულ საქმიანობაში; დ) იმართება დემოკრატიულ პრინციპების დაცვით, რაც სულ ცოტა გულისხმობს, წესდებით განსაზღვრულ პარტნიორთა მიერ გადაწყვეტილებების არანაკლებ ხმების 80%-ის უმრავლესობით მიღებას (მათ შორის ამ საკითხებზე წესდებაში ცვლილების შეტანის შესახებ) ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: დ.ა) საწესდებო მიზნების ცვლილება; დ.ბ) სოციალური მეწარმეობის სფეროების ჩამონათვალის ცვლილება; დ.გ) სოციალური მიზნის უპირატესობა მოგების განაწილების მიზანზე; დ.დ) მოგების განაწილების წესის ცვლილება (40%-ის ფარგლებში) დ.ე) საწარმოს რეორგანიზაცია, დაშლა/ლიკვიდაცია და გაკოტრება (გადაწყვეტილება ამ პროცესის დაწყება-დასრულებაზე); ე) პირდაპირ ან არაპირდაპირ არ არის დაკავშირებული ან დაქვემდებარებული სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის ორგანოსადმი.

- გარდა ამისა, საგამონაკლისოდ უნდა მიეთითოს, რომ: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც ეწევა სოციალურ მეწარმეობას და ეს გაცხადებული აქვს წესდებაში, ითვლება სოციალურ საწარმოდ და შეუძლია დაარეგისტრიროს სოციალური საწარმოს სტატუსი სამეწარმეო სუბიექტის ორგანიზაციული ფორმით მოქმედი სოციალური საწარმოსთვის დადგენილი მოთხოვნები და შეზღუდვები. (რაზეც ზემოთ უკვე გაკეთდა მითითება).

იმისთვის, რომ ზემოხსენებულ კრიტერიუმთა დაკმაყოფილების ფაქტი პრაქტიკულად დადგენადი იყოს, აუცილებელია წესდებაში სოციალურ მიზნობრიობასა და სამოქმედო (სამიზნე) სფეროებზე მითითების მოთხოვნა. ასევე, მოგების მინიმუმ 60% სოციალურ მიზანში რეინვესტირების ვალდებულების გათვალისწინება, რაც, ბუნებრივია დარჩენილი მოგების განაწილების საკითხის მოწესრიგებასაც საჭიროებს.

ფორმულირების ეს ფორმა უნდა ჩაითვალოს ოპტიმალურად შემდეგ გარემოებათა გამო:

- მოგების განაწილება - სამეწარმეო სამართლებრივი ფორმით არსებულ სოციალურ საწარმოს უნდა გააჩნდეს მოგების განაწილების შესაძლებლობა, ვინაიდან ეს აუცილებელია მათი სამეწარმეო საქმიანობის მოტივაციისთვის და პოტენციური ინვესტორების მოზიდვისთვის. ამასთან, სოციალური საწარმოს თავისებურებიდან გამომდინარე ამ ტიპის საწარმოებისთვის პრიორიტეტულია სოციალური მიზნის მიღწევა. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სოციალური მიზნის მიღწევასა და პარტნიორთა მიერ მოგების განაწილების შესაძლებლობას შორის მოიძებნოს ლოგიკური ბალანსი. საერთაშორისო პრაქტიკით, მოგების განაწილების “ჩამკეტი” პროცენტი მერყეობს 50-დან 100 პროცენტამდე. თუმცა, 100%-იანი “ჩამკეტის” შემოღება არ იქნება გონივრული, რადგან ეს ხელს შეუშლის დამატებითი ინვესტორების მოზიდვის შესაძლებლობას. ლოგიკური ბალანსის დაცვისთვის ამოსავალი უნდა იყოს ერთი მხრივ, მოგების უპირატესად სოციალურ მიზნობრიობით გამოყენება, ხოლო მეორე მხრივ, მოგების ნაწილის პარტნიორებს შორის განაწილების შესაძლებლობა. ამ პრინციპების დაცვისა და საქართველოს პრაქტიკის გათვალისწინებით, რეკომენდებულია დადგინდეს მოგების არანაკლებ 60%-ის რეინვესტირების ვალდებულება და მოცემულის საწესდებო დანაწესებით განმტკიცება. ამასთან, რეინვესტირების მოთხოვნა უნდა დადგინდეს კონკრეტული პერიოდის



მითითების გარეშე და ეს მოთხოვნა დასაცავი იქნება მოგების განაწილების ყოველ კონკრეტულ პერიოდში.

- *მმართველობის ფორმა* - სოციალური საწარმოს ერთ-ერთი კრიტერიუმია მისი მართვა დემოკრატიული პრინციპების დაცვით. დემოკრატიული მართვის პრინციპი უპირატესად გულისხმობს მართვის პროცესში დაინტერესებულ პირთა ფართო წარმომადგენლობით მონაწილეობას. შესაბამისად, ერთი მხრივ, შეიძლება გაკეთდეს ზოგადი დათქმა დემოკრატიული მართვის პრინციპის დაცვის შესახებ, რაც ხელს შეუწყობს ამ პრინციპის სხვადასხვა ფორმით გამოხატვის შესაძლებლობას. ხოლო მეორე მხრივ, კონკრეტულად განისაზღვრება საკითხები, რომელზეც გადაწყვეტილებები მაღალი კვორუმით უნდა იქნეს მიღებული. ეს უკანასკნელი იქნება ინკლუზიურობის პრინციპის დაცვის აუცილებელი მინიმალური გარანტია, რაც გამოიხატება სოციალური მეწარმეობის განმსაზღვრელ საკვანძო საკითხებზე გადაწყვეტილებების პარტნიორების მაღალი ჩართულობით მიღებაში. შესაბამისად, დგინდება საკითხების ჩამონათვალი, რომელთა შესახებაც გადაწყვეტილებები პარტნიორთა მაღალი ჩართულობით უნდა მიიღებოდეს. ასეთი მოთხოვნის დადგენა, იძლევა სოციალური საწარმოს სტატუსის რეგისტრაციის ეტაპზე დოკუმენტების საფუძველზე ამ პრინციპის დაცვის შემოწმების შესაძლებლობას.

#### **რეკომენდაცია #4**

არსებული ინსტიტუციური მოწყობის გათვალისწინებით რეკომენდებულია სოციალური საწარმოს სტატუსის რეგისტრაციის ფუნქციის სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის მინიჭება. აღსანიშნავია, რომ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს უკვე აქვს მსგავსი გამოცდილება (მაგალითად, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ახორციელებს სპეციალური მოსარჩელის სტატუსის რეგისტრაციას). ამასთან, სოციალური საწარმოს სტატუსის თავისებურებებიდან გამომდინარე (საქმიანობის მრავალფეროვნება) და საწყის ეტაპზე საშეღავათო სისტემის არარსებობის პირობებში, რთულად მოხერხდება ამ ფუნქციის სხვა მარეგისტრირებელი ორგანოსთვის მიკუთვნება. სტატუსის რეგისტრაციის წესის დადგენა გულისხმობს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის ფუნქციის მიცემას, სათანადო პირობების/მოთხოვნების არსებობისას მოახდინოს რეესტრში უკვე რეგისტრირებული იურიდიული პირისთვის სოციალური საწარმოს სტატუსის რეგისტრაცია. ამ დროს ხდება იურიდიული პირის რეგისტრირებულ მონაცემებში დამატებითი მონაცემის დამატება, მისი სოციალური საწარმოს სტატუსის შესახებ.

სოციალური საწარმოს სტატუსის რეგისტრაციის პროცესი შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგნაირად: **1)** კანონით განისაზღვრება იმ სამართლებრივი ფორმის იურიდიული პირების ჩამონათვალი, რომელსაც უფლება ექნებათ, შესაბამისი პირობების არსებობისას მიმართონ საჯარო რეესტრის სააგენტოს სოციალური სტატუსის რეგისტრაციის მოთხოვნით; **2)** კანონით დადგინდება პირობები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს იურიდიული პირის სადამფუძნებლო დოკუმენტები/წესდება (სოციალური მიზანი წესდებაში, მოგების განაწილებაზე შეზღუდვა და სხვა); **3)** საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ამოწმებს წარდგენილი დოკუმენტების შესაბამისობას კანონით დადგენილ პირობებთან (წესდებაში მითითებული მონაცემების შემოწმება). (რეესტრი ამოწმებს მხოლოდ დოკუმენტებს); **4)** სოციალური საწარ-

მოს სტატუსის შესახებ მონაცემი იქნება სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ნაწილი (რეესტრიდან ამოღებული ამონაწერის დამატებითი მონაცემი); 5) სტატუსის რეგისტრაცია გულისხმობს რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების რეგისტრაციას და გადაიხდება ამ პროცედურისთვის გათვალისწინებული მომსახურების საფასური.

ახალი ფუნქციის დამატების პირობებში საჭირო იქნება ამ საკითხზე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელთა გადამზადება. სოციალური მეწარმეობის შესახებ ცალკე კანონის გარდა, აუცილებელი იქნება „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანა (მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრის ნაწილში, მუხლები 10, 201). გარდა ამისა, ცვლილებები იქნება შესატანი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეგისტრაციის შესახებ ინსტრუქციაში (საქართველოს იუსტიციის მინისტრის 31/12/2021, N797 ბრძანება).

**3.1.5. ამოცანა - სოციალური საწარმოს სამართლებრივი სტატუსიდან გამომდინარე დამატებითი ვალდებულებების/შეზღუდვების იდენტიფიცირება და იმგვარად მოწესრიგება, რომ არათანაზომიერად არ შეიზღუდოს სოციალურ საწარმოთა თავისუფლად საქმიანობის უფლება.**

სოციალური მეწარმეობის მიზნების მიღწევის და სტატუსის ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების უზრუნველყოფა, ერთი მხრივ, ხდება სტატუსის მინიჭებისთვის პირობების დადგენით, ხოლო მეორე მხრივ, სოციალური საწარმოს სტატუსის რეგისტრაციის შემდეგ ამ სტატუსის მქონე სუბიექტებისთვის გარკვეული ვალდებულებების დაკისრებით/შეზღუდვების დადგენით. ამასთან, უნდა დადგინდეს ისეთი შეზღუდვები და ვალდებულებები, რომლებიც ერთი მხრივ, მარეგისტრირებელი ორგანოსთვის მარტივად შემოწმებადია, არსებითი ხასიათის კონტროლის გარეშე (მსგავსად სტატუსის რეგისტრაციის წესისა), ხოლო მეორე მხრივ, პროპორციული იქნება სტატუსის ქონასთან დაკავშირებულ შესაძლო სარგებელთან.

**რეკომენდაცია #1**

სოციალური საწარმოს სტატუსის მინიჭება უნდა მოხდეს უვადოდ, პირობითად, სტატუსის რეგისტრაციიდან 5 წლის განმავლობაში სტატუსის შენარჩუნების პირობით. ამ ვადამდე სტატუსის გაუქმებას შეიძლება მოჰყვეს სტატუსის ქონის პირობებში სტატუსთან დაკავშირებული სარგებლის დაბრუნების ვალდებულება, კერძოდ, კრედიტორის მოთხოვნის არსებობისას სოციალურ საწარმოს მოუწვევს სტატუსიდან გამომდინარე მიღებული სარგებლის დაბრუნება კრედიტორისთვის. სტატუსის შენარჩუნების 5 წლიანი ვადა არის პირობითი ვადა, რომელიც ემყარება სოციალური მეწარმეობის მიმართულებით არსებული მხარდამჭერი პროგრამების/პროექტების მაქსიმალურ ხანგრძლივობას.

## რეკომენდაცია #2

სოციალური საწარმოს სტატუსის რეგისტრაციიდან 5 წლის განმავლობაში სტატუსის რეგისტრაციისათვის დადგენილი პირობებიდან ერთ-ერთის შეცვლამ უნდა გამოიწვიოს სოციალური საწარმოს სტატუსის რეგისტრაციის გაუქმება. სტატუსის რეგისტრაციის გაუქმების ინიციატორი შეიძლება იყოს: სოციალური საწარმო; საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო; საგადასახადო ორგანო; სხვა დაინტერესებული პირი.

მსგავსი რეგულაცია დგინდება იმ შემთხვევებისთვის, როდესაც სტატუსის რეგისტრაციიდან 5 წლის განმავლობაში დადგება გარემოებები, რომლებიც მიუთითებს, რომ სოციალური საწარმო აღარ აკმაყოფილებს სტატუსთან დაკავშირებულ კანონით დადგენილ მოთხოვნებს. აღნიშნული კი იწვევს სოციალური საწარმოს სტატუსის გაუქმებას.

### 3.1.6. ამოცანა: სოციალური საწარმოს ანგარიშვალდებულება/კონტროლის საკითხის გადაწყვეტა და ამ მიზნით მოქმედი სისტემის საკანონმდებლო საფუძვლების უზრუნველყოფა

კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს სახელმწიფოს მხრიდან იმ სუბიექტთა კონტროლის მინიმალურ მოთხოვნას, რომლებიც მათთვის მინიჭებული სტატუსის საფუძველზე, შესაბამისად, სტატუსის შენარჩუნებისთვის აუცილებელი მოთხოვნების დაცვის პირობით, სარგებლობენ ან პოტენციურად ისარგებლებენ სპეციალური უფლებებით, შეღავათებითა თუ შესაძლებლობებით. ამასთან, მოქნილობისა და თანაზომიერების შენარჩუნების, ასევე მხარეთა ავტონომიაში უხეში ჩარევის პრევენციის მიზნებისთვის, სოციალურ საწარმოთა საქმიანობის პროცესში, მათი ანგარიშვალდებულებისა და პროცესზე აქტიური ზედამხედველობის საკითხი უნდა დაექვემდებაროს უშუალოდ სოციალურ საწარმოსა და დონორს/კრედიტორს შორის არსებულ შეთანხმებას.

არსებულ რეალობაში, სოციალური საწარმოს სტატუსის არსებობასთან დაკავშირებული მონიტორინგის/კონტროლის სისტემა მისი რეგისტრირების მოდელის შესაბამისად უნდა განისაზღვროს, კერძოდ, დაეფუძნოს სარეგისტრაციოდ წარდგენილი დოკუმენტების შემოწმებას. საწარმოთათვის ანგარიშვალდებულების მკაცრი მოთხოვნების დადგენა შეიძლება განხილვის საგანი იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინერგება სოციალური მეწარმეობის ხელშეწყობის კონკრეტული, სტაბილური მექანიზმები, სოციალური შედეგების გაზომვის სისტემა და საამისოდ შეიქმნება შესაბამისი საჯარო სამსახური/უწყება.

## რეკომენდაცია #1

სოციალური მეწარმეობის მიმართულებების მრავალფეროვნების მხედველობაში მიღებით, აგრეთვე მანამ, სანამ არ გადაწყდება სახელმწიფოს მხრიდან სოციალური საწარმოებისთვის რაიმე შეღავათების დადგენა (მაგალითად, პირდაპირი ან ირიბი შეღავათების დადგენა), სოციალური საწარმოებისთვის ანგარიშგების მოთხოვნების კანონით გათვალისწინება პროპორციულ მექანიზმად არ უნდა ჩაითვალოს.

## რეკომენდაცია #2

თანაზომიერი მონიტორინგისა და ზედამხედველობის სისტემა შეიძლება მოიცავდეს შემდეგს:

- სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს კონტროლის უფლებამოსილებას, რაც ვრცელდება სოციალურ საწარმოებზე, ამ სტატუსის რეგისტრაციის მთელი პერიოდის განმავლობაში;
- სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო კონტროლის ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებას სოციალური საწარმოს სტატუსის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ;
- სოციალური საწარმოს სტატუსის გაუქმება ხდება შემდეგ შემთხვევებში: სოციალური საწარმოს ინიციატივით: სოციალური საწარმოს სტატუსის რეგისტრაციიდან 5 წლის ვადის გასვლის შემდეგ სოციალური საწარმო თავისუფალია ამ გადაწყვეტილების მიღებაში (თუმცა რჩება დონორთან/კრედიტორთან პასუხისმგებლობა ხელშეკრულების შესაბამისად); სტატუსის რეგისტრაციიდან 5 წლის გასვლამდე შეიძლება სტატუსის გაუქმების მოთხოვნა, იმ პირობით რომ კრედიტორის მოთხოვნის შემთხვევაში უნდა დაბრუნდეს სტატუსიდან გამომდინარე უკვე მიღებული სარგებელი. ამასთან, თუ ამ შემთხვევაში მოხდება მხოლოდ კრედიტორის მოთხოვნის უფლების აღიარება, საკმარისი იქნება სოციალური მეწარმეობის შესახებ ჩარჩო კანონი. სსიპ - საჯარო რეესტრის სააგენტო კონტროლს ფარგლებში: საკუთარი ინიციატივით - სარეგისტრაციოდ წარდგენილი დოკუმენტების საფუძველზე; საგადასახადო ორგანოს განცხადებით - მისი თემატური უფლებამოსილების ფარგლებში (საგადასახადო შემოწმების შედეგად დადგინდა მოგების განაწილების შეზღუდვის დარღვევა); სხვა დაინტერესებული პირის განცხადებით - თუ სახეზეა სოციალური საწარმოს მიერ სტატუსთან დაკავშირებული კრიტერიუმების დარღვევა (სადამფუძნებლო დოკუმენტების დონეზე). ხოლო თუ დადგინდა კრიტერიუმების პრაქტიკაში დარღვევა ხდება ეს ინიციატივა შეიძლება ემყარებოდეს სასამართლო გადაწყვეტილებებს.
- ანგარიშვალდებულების საკითხი რეგულირდება სოციალურ საწარმოსა და კრედიტორს/დონორს შორის არსებული ხელშეკრულებით. კანონით არ დგინდება სოციალური საწარმოს სტატუსიდან გამომდინარე დამატებითი ანგარიშვალდებულების საკითხები.

### **3.2. პრიორიტეტული მიმართულება - სოციალური მეწარმეობის პოლიტიკური აღიარება**

მიზანი: სოციალური მეწარმეობის სფეროს განვითარების პოლიტიკის დღის წესრიგში არსებობა და სოციალური მეწარმეობის განვითარების შესახებ სახელმწიფო ხედვის ჩამოყალიბება.

როგორც წესი, მხოლოდ კანონმდებლობის არსებობა არ არის საკმარისი სფეროს განგრძობადი განვითარებისთვის. საჭიროა ამ მიმართულებით მუდმივი, გეგმაზომიერი საქმიანობა. სწორედ ამ ზოგად მიზანს ემსახურება სფეროს პოლიტიკური აღიარება, რაც გულისხმობს

სახელმწიფოს მხრიდან სოციალური მეწარმეობის სფეროს განვითარება-ხელშეწყობის ვალდებულების შესაბამისი წესით აღებას. ზემოხსენებული მიიღწევა შესაბამისი პოლიტიკური დოკუმენტების, სტრატეგიებისა თუ სამოქმედო გეგმის შემუშავების გზით. მსგავსი ტიპის დოკუმენტები არ ანაცვლებს საკანონმდებლო რეგულაციებს, არამედ აკონკრეტებს საკანონმდებლო დონეზე გათვალისწინებული მიზნების მიღწევის, მექანიზმების ამოქმედების გეგმას.

წმინდა ეკონომიკური გაგებით, საკითხის პოლიტიკური აღიარებისა და ხელშეწყობის საჭიროება დგება მაშინ, როდესაც სახეზეა ოთხი მარტივი წინაპირობა: 1) ხილვადი სოციალური ან ეკონომიკური რეალობა, რომელიც მოითხოვს საჯარო სექტორის ინტერვენციას; 2) უფლებამოსილი საჯარო უწყება, რომელიც პასუხისმგებელია იმ ქმედების განხორციელებაზე, რომელიც საჭიროა არსებული სოციალური ან ეკონომიკური რეალობიდან გამომდინარე; 3) იდენტიფიცირებადი მიზნები, რომელთა მიღწევასაც მოემსახურება უფლებამოსილი ორგანოს კონკრეტული ნაბიჯები; 4) პრაქტიკული ინსტრუმენტები, რომელთა გამოყენებითაც საჯარო სექტორის წარმომადგენლებს შეუძლიათ ამ მიზანთა ასრულება.

იმის გათვალისწინებით, რომ სოციალური ეკონომიკის პოლიტიკის განვითარების პროცესი უნდა ეფუძნებოდეს თანამონაწილეობის პრინციპს, განვითარების ყველა ეტაპზე უზრუნველყოფილი უნდა იყოს პროცესში დაინტერესებულ პირთა აქტიური ჩართულობა. ეს ნიშნავს, რომ პოლიტიკური დოკუმენტის შემუშავების პროცესის დაწყებამდე, აუცილებელია შესაბამისი საკოორდინაციო მექანიზმების ამუშავება. ამ ნიშნით, აღსანიშნავია კერძო სექტორის აქტივობა, მათ შორის სოციალური მეწარმეობის განვითარების მიზნით შეკრებილ დაინტერესებულ პირთა ერთობლივი სამუშაო პროცესის კოორდინაციის ნაწილში. მართალია ამ პროცესში მონაწილეობს სახელმწიფოც, შესაბამისი წარმომადგენლობითი ორგანოებისა და პირების ჩართულობით, თუმცა აუცილებელია პროცესების სხვა საფეხურზე აყვანა, საჯარო უწყებათა სამუშაო დღის წესრიგის ნაწილად ქცევა და ძირითადი აქტივობების სწორედ სახელმწიფოს მიერ ორგანიზება.

პოლიტიკურ დოკუმენტთა კონკრეტულ მიზნებს შორის შეიძლება იყოს: 1) სოციალური მეწარმეობის ფინანსური ხელშეწყობის მექანიზმთა შემუშავება და აღსრულება; 2) სოციალური მეწარმეობის სფეროს მონიტორინგზე პასუხისმგებელი ორგანოების განსაზღვრა; 3) სფეროსთვის აქტუალურ საკითხთა კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა; 4) სფეროს შესახებ პერიოდული ანგარიშგების სისტემის შემოღება; 5) სოციალური მეწარმეობის მიმართულებით ცნობიერების ამაღლება შესაბამისი არაფორმალური და ფორმალური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის გზით; 6) კერძო და საჯარო სექტორს შორის თანამშრომლობის და პასუხისმგებლობის გადანაწილების ძირითადი პრინციპების ჩამოყალიბება; 7) სფეროს შემაფერხებელი ბიუროკრატიული მექანიზმების აღმოჩენა და შემსუბუქება; 8) სოციალური შედეგებისა და ზემოქმედების შეფასების მეთოდოლოგიის დანერგვა.

იმისთვის, რომ მსგავსმა დოკუმენტებმა გამოიღონ სასურველი შედეგი, ისინი პასუხისმგებელ საჯარო უწყებებს უნდა აკისრებდნენ მკაფიო ვალდებულებებს, უდგენდნენ ანგარიშვალდებულების მაღალ ხარისხს. პოლიტიკური დოკუმენტი წარმატებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ მის შედეგად მიიღწევა სოციალური მეწარმეობის ფინანსური ხელშეწყობა

მათთვის ფართო ბაზარზე გასვლის შესაძლებლობის მიცემის გზით, საჯარო შესყიდვების სფეროს ოპტიმიზაცია ან საგადასახადო შეღავათების დაწესება, სფეროს სპეციალისტთა გადამზადების სისტემის დანერგვა და სოციალური გავლენის/შედეგის/ეფექტის შეფასებისა და გაზომვის ქმედითი მეთოდოლოგიის შემუშავება. მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე სოციალური მიზნების მიღწევის პროცესში დამდგარი შედეგების შეფასებისა და გაზომვის საკითხები კონკრეტული ურთიერთობის დონეზე წყდება და შესაბამისად, დონორებსა და სოციალურ საწარმოებს შორის არსებული შეთანხმებით წესრიგდება, რაც პროცესების გამარტივების გასაგებ მიზანს ემსახურება, სამომავლოდ, სახელმწიფომ შეიძლება შეიმუშაოს მიღწეული სოციალური შედეგების და დამდგარი ზეგავლენის შეფასების მეთოდოლოგია, რისთვისაც მზადება (მოკვლევა, ინფორმაციის მოძიება, საუკეთესო პრაქტიკის განსაზღვრა, ექსპერტთა მონაწილეობის დაგეგმვა და ა.შ.), შეიძლება დაიწყოს ამ გრძელვადიანი მიზნის შესაბამისი პოლიტიკური დოკუმენტის ნაწილად ქცევისთანავე.

აღნიშნული მიღწევადია, თუ პოლიტიკური დოკუმენტების შემუშავების, აღსრულებისა და შემდგომი განვითარების პროცესში გამოყენებული იქნება საჯარო რესურსების ფართო სპექტრი, დაინერგება კერძო აქტორებთან კომუნიკაციისა და თანამშრომლობის არაფორმალური და ინსტიტუციონალიზებული მექანიზმები და სტრატეგიას ექნება გრძელვადიანი მოქმედების პერსპექტივა.

### **3.2.1. ამოცანა - სოციალური მეწარმეობის სფეროს გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიის მიღება და შესაბამისი, აღსრულებადი სამოქმედო გეგმის შემუშავება**

იმისთვის, რომ სოციალური მეწარმეობის გაძლიერებისა და ხელშეწყობის პროცესი რეალურად დაიწყოს, საჭიროა სახელმწიფომ საკითხი პოლიტიკური დღის წესრიგში მოაქციოს, როგორც პოლიტიკის და სამართლებრივ დონეზე აღიარებული მიზანი. სხვანაირად რომ ითქვას, სახელმწიფო უნდა ჩამოყალიბდეს სფეროს მხარდამჭერი პოლიტიკის ჩარჩოზე და შექმნას საფუძველი, რომელზე დაყრდნობითაც ჩამოაყალიბებს მის პრიორიტეტებს, ძირითად მიზნებსა და მათი მიღწევის საშუალებებს, ასევე იმოქმედებს, შეაფასებს მიღებულ შედეგებს და დასახავს ახალ გეგმებს.

#### **რეკომენდაცია #1**

სოციალური მეწარმეობის სფეროს პოლიტიკური აღიარების მეთოდს წარმოადგენს სოციალური მეწარმეობის ხელშეწყობისა და განვითარების სტრატეგიის შემუშავება და შესაბამისი სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბება, რომელიც შეეხება საკითხის ანალიზის თავში მითითებულ ყველა ძირითად საკითხს და რომლის საფუძველიც შეიძლება გახდეს წინამდებარე დოკუმენტი.

ალტერნატივის სახით, შესაძლებელია სოციალური მეწარმეობის განვითარებისთვის საჭირო კონკრეტული კომპონენტები ინტეგრირდეს და გაიშალოს უკვე არსებული პოლიტიკური დოკუმენტების (სტრატეგია, სამოქმედო გეგმა) სამომავლო ან არსებულ რედაქციებში. მათ

შორის და არა მხოლოდ: „სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგია 2023-2026; “ხედვა 2030 - საქართველოს განვითარების სტრატეგია”; საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია – 2021-2025 წლებისთვის). ამასთან, გათვალისწინებული უნდა იქნეს სოციალური მეწარმეობის კომპლექსური ხასიათი და მისი კავშირი სხვადასხვა დარგობრივ მიმართულებებთან (კულტურა, განათლება, სოციალური დაცვა და სხვა) და სხვადასხვა კატეგორიის პირთა წრესთან (არა მხოლოდ ახალგაზრდობა).

### **3.2.2. ამოცანა - სოციალური მეწარმეობის სფეროს გრძელვადიანი განვითარების სტრატეგისა და სამოქმედო გეგმის აღსრულების უზრუნველყოფა და მიღწეული შედეგების შეფასების სისტემის დანერგვა**

იმისთვის, რომ სოციალური მეწარმეობის სფეროს გაძლიერება ფაქტობრივ შედეგებში გამოიხატოს, ამ მიმართულებით შემუშავებული, დოკუმენტის სახით არსებული სტრატეგია თუ სამოქმედო გეგმა პრაქტიკაში მოქმედ, ადრესატთა რეალურ საჭიროებებზე მორგებულ მექანიზმად უნდა გადაიქცეს. მოცემული მიღწევადია მაშინ, თუ დოკუმენტში გათვალისწინებულია მითითებულ აქტივობათა აღსრულების უზრუნველყოფის საშუალებები, ხოლო გრძელვადიანი პროგრესის შენარჩუნების მიზნით, გონივრული პერიოდულობით ხდება უკვე მიღწეული შედეგების შეფასება, დაგროვილი გამოცდილების გაანალიზება და საჭიროების შემთხვევაში სამოქმედო გეგმის შესაბამისი წესით ცვლილება.

#### **რეკომენდაცია #1**

ქვეყნის კონტექსტის გათვალისწინებით და სფეროს წარმომადგენელთა რეალური საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნებისთვის, რაც შემდგომში უნდა აისახოს სტრატეგიულ დოკუმენტსა და სამოქმედო გეგმაში, მნიშვნელოვანია სახელმწიფომ უზრუნველყოს შესაბამისი სტატისტიკების წარმოება - მათ შორის, სოციალური საწარმოს ერთიან აღქმასა და დეფინიციაზე ჩამოყალიბების შემდგომ ან პროცესის პარალელურად, უზრუნველყოს სოციალური საწარმოების აღრიცხვის შესაძლებლობა, აწარმოოს სანდოობისა და სიზუსტის პრეზუმფციის ფარგლებში მოქმედი მონაცემთა ბაზა და იზრუნოს სტატისტიკის წარმოების საჯარო მექანიზმების მუდმივ განვითარებაზე, რაც გატარებული ღონისძიებების შედეგების შეფასების ინსტრუმენტის გახდება.

#### **რეკომენდაცია #2**

იმისთვის, რომ დასახულ მიზანთა პრაქტიკული აღსრულების პროცესი ეფექტური იყოს, მნიშვნელოვანია ინსტიტუციურ დონეზე გაიმძღვროს საზოგადოებრივი და კერძო სექტორის როლი, პარალელურად კი გამოიკვეთოს სახელმწიფოს კონკრეტული ვალდებულებები და პასუხისმგებლობები, მათ შორის სექტორის ფინანსური გაძლიერების, სოციალურ მეწარმეობასთან დაკავშირებული დეფინიციების, ცნებებისა და სისტემების უნიფიცირების, პროცესის კოორდინაციისა და საზოგადოების მიმართ ანგარიშგების ვალდებულებები, რაც, თავის მხრივ უნდა ინტეგრირდეს შესაბამის პოლიტიკურ დოკუმენტებსა და სამოქმედო გეგმაში.

### **რეკომენდაცია #3**

უნდა შემუშავდეს წინასწარ შეთანხმებული საჯარო-კერძო ურთიერთობის სისტემა, რომელიც დაფუძნებულია მუდმივ სამოქალაქო დიალოგზე. უზრუნველყოფილი უნდა იყოს ძლიერი და დამოუკიდებელი, სოციალური ეკონომიკის სფეროს შუამავლის არსებობა, რომელიც იქნება დამაკავშირებელი ხიდი საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებს შორის, შესაბამისად დიალოგის პროცესის ფასილიტატორი. უნდა შეიქმნას როგორც არაფორმალური, ისე ინსტიტუციონალიზებული გარემო სოციალური დიალოგისა წარმართვისა და კონსულტაციის მიღებისთვის. უნდა დაინერგოს მიღებული რჩევების დოკუმენტირების სისტემა, რაც ხელს შეუწყობს მათ აქტიურ გამოყენებას პოლიტიკის ერთობლივი შემუშავების, განხორციელებისა და მართვის ეტაპებზე. სახელმწიფო ორგანოებმა უნდა შექმნან საკონსულტაციო ორგანოები, დაკომპლექტებული სოციალური ეკონომიკის წარმომადგენელთა მრავალფეროვანი შემადგენლობით. ოპტიმალურია არაფორმალური ფორუმებისთვის საფუძვლის ჩაყრა, რაც გაადვილებს სფეროსთან დაკავშირებული პოლიტიკური ინიციატივების ყოველდღიურ მონიტორინგს არასასურველი სამართლებრივი ბიუროკრატიისგან დამოუკიდებლად, რაც როგორც წესი უკავშირდება ახალი პოლიტიკური ინიციატივების დეკლარირებას. სოციალური ეკონომიკის პოლიტიკა არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ კონკრეტულ სიტუაციას მორგებული მექანიზმებით. მან უნდა გააერთიანოს სხვადასხვა მექანიზმები რომლებიც ფართო და მრავალწლიანი სტრატეგიის ნაწილი გახდება.

### **3.3. პრიორიტეტული მიმართულება - სოციალური მეწარმეობის ფინანსური ხელშეწყობა და საჯარო რესურსებზე ხელმისაწვდომობა**

**მიზანი: სახელმწიფოს მხრიდან სოციალური მეწარმეობის ფინანსური ხელშეწყობა და საჯარო რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმების, აგრეთვე საგადასახადო და საჯარო შესყიდვების პოლიტიკაში სოციალური მეწარმეობის თავისებურებების გათვალისწინების გზით.**

სოციალური მეწარმეობის განვითარება საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან კონკრეტული ქმედებების დაგეგმვას და განხორციელებას. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმების შემუშავებაა. საერთაშორისო გამოცდილების ანალიზი აჩვენებს, რომ განვითარებული და ძლიერი საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების დიდი ნაწილი იყენებს სოციალური მეწარმეობის ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმებს და აღნიშნული არ ითვლება საბაზრო პრინციპების დარღვევად, რადგან მკაფიოდ არის გაწერილი როგორც საქმიანობების ჩამონათვალი ასევე მხარდაჭერის მექანიზმები.

წარმოდგენილი დოკუმენტი შემუშავდა სოციალური მეწარმეობის ეკოსისტემის საკოორდინაციო პლატფორმის ფარგლებში ჩამოყალიბებული ფინანსური მხარდაჭერისა და რესურსებზე ხელმისაწვდომობის სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციების საფუძველზე. სამუშაო ჯგუფის მიერ პირველ ეტაპზე განხორციელდა იმ მიმართულებების იდენტიფიცირება, რომლებშიც შესაძლებელია სახელმწიფოს მხრიდან სოციალური მეწარმეობისთვის ფინანსური მხარდაჭერის



მექანიზმების შემუშავება. გამოკვეთილი მიმართულებებია: 1) სახელმწიფო შესყიდვები; 2) საგადასახადო რეგულირება; 3) მუნიციპალური პროგრამები; 4) სახელმწიფო სტრატეგიები და პროგრამები.

საჯარო შესყიდვებში სოციალური მეწარმეობის ხელშემწყობ მექანიზმებში მოიაზრება სახელმწიფოს მიერ საჯარო ფინანსების მეშვეობით განსახორციელებელი შესყიდვების პროცედურებში შესაბამისი რეგულაციის გათვალისწინება. აღნიშნული ხელს შეუწყობს სოციალური საწარმოების განვითარებას, რომელთა ერთ-ერთ მთავარ მიზანს სოციალური პრობლემების გადაჭრა წარმოადგენს. ამასთანავე გასათვალისწინებელია საჯარო შესყიდვების დროს პრეტენდენტთა შორის კონკურენციის პრინციპების დაცვა. შესაბამისად სოციალური მეწარმეებისთვის შეღავათები საჭიროებს საერთაშორისო კანონმდებლობის/პრაქტიკის დეტალური შესწავლის საფუძველზე დასაბუთებას.

საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი საგადასახადო შეღავათები და დაბეგვრის სპეციალური რეჟიმები შესაძლებელია განხილულ იქნას სოციალური მეწარმეობის ხელშემწყობ მექანიზმებად. ამასთანავე გასათვალისწინებელია შეღავათების დაწესების დროს ბაზარზე არსებული კონკურენციის პრინციპების დაცვა. შესაბამისად, საგადასახადო შეღავათები საჭიროებს საერთაშორისო კანონმდებლობის/პრაქტიკის დეტალური შესწავლის საფუძველზე დასაბუთებას. ზოგადი მიმოხილვა აჩვენებს, რომ საგადასახადო შეღავათები ძირითადად სოციალურ საწარმოში დასაქმებულ მოწყვლად ჯგუფებს ეხებათ და მათთან არის დაკავშირებული.

სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერის მიმართულებით მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტების სოციალურ და ეკონომიკურ პროგრამებში შესაბამისი კომპონენტის ინტეგრირება. როგორც პრაქტიკა ცხადყოფს მუნიციპალიტეტებში არსებობს მუნიციპალური საბიუჯეტო პროგრამები რომლებიც მიმართულია ბენეფიციარების სხვადასხვა კატეგორიებზე, შესაბამისად შესაძლებელია არსებულ პროგრამებში სოციალური მეწარმეობის მიმართულების დამატება/განვრცობა, ან შესაძლებელია ცალკე სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერი პროგრამის შემუშავება. მუნიციპალიტეტების გააქტიურება ამ მიმართულებით შესაძლოა ძალიან ნაყოფიერი აღმოჩნდეს. შესაძლებელია ახალი პროგრამები შეიქმნას სოციალური მეწარმეობის მიმართულებით (სადაც განსაზღვრული იქნება პროგრამის მიზანი, ამოცანა, გადაწყვეტილების მიღების პროცედურები და ა.შ.) ან არსებულ მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პროგრამებში მოხდეს სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერის მიმართულების ინტეგრაცია. ასევე, გასათვალისწინებელია, რომ მუნიციპალიტეტები ხშირად ცდილობენ ერთმანეთის საუკეთესო გამოცდილებაზე დაფუძნებული პროგრამების გაზიარებას, შესაბამისად, რამდენიმე მუნიციპალიტეტში მსგავსი პროგრამების დანერგვას მულტიპლიკაციის ეფექტი შეიძლება გააჩნდეს.

მნიშვნელოვანია სახელმწიფოს პოლიტიკურ დოკუმენტებში და პროგრამებში სოციალური მეწარმეობის ხელშემწყობი მექანიზმების ინტეგრირება. პირველ ეტაპზე მიზანშეწონილია სოციალური მეწარმეობის საკითხის ინტეგრირება არსებულ სტრატეგიებში (განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია). ასევე მნიშვნელოვანია სტრატეგიების განსახორციელებლად

შექმნილ სახელმწიფო პროგრამებში სოციალური მეწარმეობის ფინანსური მხარდაჭერის გათვალისწინება, რის წინაპირობას უმეტესწილად სტრატეგიაში სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერის მკაფიო განსაზღვრა შეიძლება წარმოადგენდეს.

სოციალური მეწარმეობის მიმართულებით ცალკე სტრატეგიის დამტკიცება დამოუკიდებელი პროცესი და კომპლექსური საკითხია. შესაბამისად, საწყის ეტაპზე რეკომენდებულია უკვე არსებულ მოქმედ სტრატეგიებში იყოს სოციალური მეწარმეობის საკითხი ასახული.

**3.3.1. ამოცანა - საჯარო შესყიდვების პროცედურების შემუშავებაში და განხორციელებაში სოციალური მეწარმეობის თავისებურებების და სოციალური ასპექტების/სოციალური მიზნობრიობის კრიტერიუმის გათვალისწინება, აგრეთვე დარეზერვების მექანიზმის ამუშავება.**

საჯარო შესყიდვების კანონმდებლობაში კონკრეტული პროცედურების, მხარდაჭერის მექანიზმების ან/და სოციალური ასპექტების გათვალისწინება-დანერგვის წინაპირობას საკანონმდებლო დონეზე სოციალური მეწარმეობის სტატუსის ან/და სოციალური საწარმოს განმარტების და განსაზღვრის საკანონმდებლო კრიტერიუმების დადგენა წარმოადგენს. შესაბამისად, ამ მიმართულებით კონკრეტული რეკომენდაციების განხორციელება მეტწილად დაკავშირებულია სოციალური მეწარმეობის და სოციალური საწარმოს განმარტებების საკანონმდებლო აღიარებასთან.

**რეკომენდაცია #1**

„საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე მისაღები ნორმატიული აქტების შემუშავებისას სოციალური მიზნობრიობის კომპონენტის გათვალისწინება.

მნიშვნელოვანია, „საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღების შემდგომ, საქართველოს მთავრობის და საჯარო შესყიდვების სააგენტოს/სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ მისაღები ნორმატიული აქტების შედგენისა და განხილვის პროცესში სოციალური მეწარმეობის და ამ სფეროს აქტორების წარმომადგენლების ჩართვა. აგრეთვე რეკომენდებულია სოციალური მეწარმეობის თავისებურებებისა და სოციალური მიზნობრიობის კრიტერიუმის/სოციალური ასპექტების გათვალისწინება. დაინტერესებულ აქტორებთან კონსულტაციები უნდა გაიმართოს ისეთი ნორმატიული აქტების შემუშავებისას, როგორცაა:

- საჯარო შესყიდვის პროცედურების განხორციელების დეტალური წესი;
- საჯარო შესყიდვის კონკრეტულ პროცედურაში მდგრადი განვითარების მახასიათებლების მითითების წესი და მეთოდოლოგია;
- სოციალურ და სხვა სპეციფიკურ სფეროში, მომსახურების შესყიდვის მიზნით, საჯარო შესყიდვის განსხვავებული პროცედურები;
- საუკეთესო წინადადების გამოვლენის კრიტერიუმის აღწერის დეტალური წესი.

## **რეკომენდაცია #2**

წინასწარი მოლაპარაკების გარეშე საჯარო შესყიდვის განხორციელების მექანიზმის ეფექტიანად გამოყენების ხელშეწყობა.

„საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღების შემდეგ, წინასწარი გამოქვეყნების გარეშე მოლაპარაკების გზით შესყიდვების განხორციელების დროს, შემსყიდველმა ორგანიზაციებმა გაითვალისწინონ სოციალური საწარმოების სოციალური მიზნები და ფასისა და ხარისხის კრიტერიუმების გათვალისწინებით გამოიყენონ შესყიდვის ეს ფორმა სოციალური საწარმოების ხელშეწყობის მიზნით (კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების გათვალისწინებით).

შესაბამისი მიდგომების და კრიტერიუმების ჩამოყალიბების მიზნით აუცილებელია გაიმართოს შეხვედრები საჯარო შესყიდვების სააგენტოს/სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსა და სოციალური მეწარმეობის მხარდამჭერ ორგანიზაციებს შორის.

### **3.3.2. ამოცანა - გადასახადებით დაბეგვრის პროცესში სოციალური საწარმოს სტატუსის მქონე სუბიექტების და მათში დასაქმებული პირების განსხვავებული რეჟიმით დაბეგვრა.**

საგადასახადო კანონმდებლობაში კონკრეტული პროცედურების და მხარდაჭერის მექანიზმების დანერგვის წინაპირობას საკანონმდებლო დონეზე სოციალური მეწარმეობის სტატუსის განსაზღვრა წარმოადგენს. შესაბამისად, ამ მიმართულებით კონკრეტული რეკომენდაციების განხორციელება პირველ რიგში დაკავშირებულია სოციალური მეწარმეობის და სოციალური საწარმოს განმარტებების საკანონმდებლო აღიარებასთან.

## **რეკომენდაცია #1**

სოციალურ საწარმოში დასაქმებული მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლებისთვის არსებული საგადასახადო შეღავათების გაფართოება და ახალი ჯგუფების დამატება.

რეკომენდებულია გადაიხედოს საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული შეღავათები საშემოსავლო გადასახადის ჭრილში (მუხლი 82). კონკრეტულად კი გაიზარდოს მოწყვლადი ჯგუფებისთვის დადგენილი შემოსავლის მაქსიმალური ზღვარი, რომლის ფარგლებშიც ისინი განთავისუფლებული არიან გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან. გარდა ამისა, რეკომენდებულია გადასახადისგან გათავისუფლებული მოწყვლადი ჯგუფების ჩამონათვალის გაფართოვება და ამ მიზნით მნიშვნელოვანია, რომ კონსულტაციები გაიმართოს სოციალურ საწარმოებთან და სოციალური მეწარმეობის მხარდამჭერ ორგანიზაციებთან.

## **რეკომენდაცია #2**

სოციალური საწარმოს მიერ მიღებული მოგების მის დამფუძნებელ ა(ა)იპ-ში დივიდენდის სახით გაცემის მოგების გადასახადისგან გათავისუფლება.

რეკომენდებულია, საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდეს ცვლილება, რომლის მიხედვითაც მოგების განაწილებად არ ჩაითვლება სამეწარმეო სამართლებრივი ფორმით არსებული სოციალური საწარმოდან ამ საწარმოს დამფუძნებელ/პარტნიორ ა(ა)იპ-ზე დივიდენდის გაცემა (მსგავსად „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ იურიდიულ პირებზე გაცემული დივიდენდისა).

აღნიშნული მიზნის მისაღწევად საჭიროა საგადასახადო კოდექსის 98<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 პუნქტს (განსაზღვრავს იმ შემთხვევებს, რომლებიც არ ითვლება მოგების განაწილებად) დაემატოს შესაბამისი ჩანაწერი, რომ განაწილებულ მოგებად არ ჩაითვლება: „*სოციალური საწარმოდან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად რეგისტრირებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირზე დივიდენდის განაწილება*“.

### **რეკომენდაცია #3**

სამეწარმეო სუბიექტად რეგისტრირებული სოციალური საწარმოსთვის გრანტის მიღების უფლების მინიჭება.

რეკომენდებულია, სამეწარმეო სუბიექტად რეგისტრირებული სოციალური საწარმოსთვის გრანტის მიღების სამართლებრივი რეგულირების ცვლილება და მისი აღიარება გრანტის მიმღებ სუბიექტად, რაც ავტომატურად გამოიწვევს დაბეგვრის გაანგარიშებებზე დადებით გავლენას, აგრეთვე ხელს შეუწყობს სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამებში სოციალური საწარმოების მონაწილეობას, დონორი ორგანიზაციების მიერ გრანტების გაცემის პროცესს და შექმნის მეტ ფინანსურ რესურსებს შემოსავლების სოციალური მიზნებისთვის წარმართვისთვის.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად საჭიროა „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლს (განსაზღვრავს გრანტის მიმღებთა ჩამონათვალს) დაემატოს შესაბამისი ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც გრანტის მიმღები შეიძლება იყოს „*სოციალური საწარმოს სტატუსის მქონე იურიდიული პირი*“. ამასთან, კანონში შესატანი დებულების კონკრეტული ფორმულირება დამოკიდებულია იმაზე, სოციალური საწარმოს სტატუსის და განმარტების აღიარება რა ფორმით მოხდება საქართველოს კანონმდებლობით (ცალკე ჩარჩო კანონით, თუ შესაბამის დარგობრივ კანონმდებლობაში, მაგალითად, „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში შესაბამის განმარტების გაკეთების გზით).

### **რეკომენდაცია #4**

სოციალური მიზნის მქონე სუბიექტებისთვის ან/და სოციალური სფეროსთვის ქონების გადასახადზე შეღავათების დაწესება.

რეკომენდებულია, საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ ფარგლებში და წესით, დადგინდეს გარკვეული საგადასახადო შეღავათები ქონების გადასახადზე, განსხვავებული განაკვეთის დადგენის სახით, სოციალური მიზნის მქონე/სოციალური მეწარმეობის განმახორციელებელი სუბიექტებისთვის. ამ მიზნით, მნიშვნელოვანია კონსულტაციების გამართვა მუნიციპალიტეტისა და სოციალური მეწარმეობის მხარდამჭერ სუბიექტების

მონაწილეობით. აგრეთვე, მნიშვნელოვანია შესაბამისი მუნიციპალური ნორმატიული ბაზის შემუშავება.

**3.3.3. ამოცანა - მუნიციპალიტეტების საშუალოვადიან განვითარების გეგმებში და წლიურ ბიუჯეტებში სოციალური საწარმოების მხარდამჭერი პროგრამების შემუშავება და გათვალისწინება.**

სოციალური მეწარმეობისა და სოციალური საწარმოების მხარდამჭერი მუნიციპალური პროგრამების შემუშავებისთვის მნიშვნელოვანია საკანონმდებლო დონეზე სოციალური მეწარმეობის სტატუსის განსაზღვრა ან/და სოციალური საწარმოს განმარტების და განსაზღვრის საკანონმდებლო კრიტერიუმების დადგენა. თუმცა, საწყის ეტაპზე, სოციალური მეწარმეობის საკანონმდებლო სტატუსის განსაზღვრის გარეშე შესაძლებელია ამ მიმართულებით მუნიციპალური პროგრამების დანერგვა, იმ პირობით რომ თავად ამ პროგრამებით მოხდება სოციალური საწარმოს კრიტერიუმების დადგენა.

**რეკომენდაცია #1**

სოციალური მეწარმეობის მიმართულებით მუნიციპალურ პროგრამების შემუშავება და განხორციელება.

რეკომენდებულია, მუნიციპალური ბიუჯეტით ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების და სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებით შემუშავებულ პროგრამებში სოციალური მეწარმეობის მხარდამჭერი ქვეპროგრამის შექმნა ან არსებულ პროგრამებში შესაბამისი კომპონენტის ინტეგრირება. ამ მიზნით საჭიროა, მუნიციპალიტეტების შესაბამისი წლების ბიუჯეტებში (მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება) სოციალური მეწარმეობის მხარდამჭერი სპეციალური ქვეპროგრამების შექმნა, ან უკვე არსებულ ქვეპროგრამაში სოციალური მეწარმეობის მიმართულების დამატება.

სოციალური საწარმოს სტატუსის საკანონმდებლო დონეზე აღიარების შემთხვევაში, მუნიციპალურ პროგრამებში გამოყენებული იქნება სოციალური საწარმოს განსაზღვრის საკანონმდებლო კრიტერიუმები. ამასთან, თუ საკანონმდებლო დონეზე არ მოხდება ამ კრიტერიუმების დადგენა, საჭიროა, რომ მუნიციპალიტეტის შესაბამისი საბიუჯეტო ქვეპროგრამით განისაზღვროს პროგრამის ბენეფიციარი სოციალური საწარმოების განსაზღვრის კრიტერიუმები. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტით (საკრებულოს ნორმატიული აქტი) განისაზღვროს პროგრამის განხორციელების დეტალური გამჭვირვალე წესები (დაფინანსების მიღების ფორმა, დაფინანსების მიღებაზე ინტერესის გამოხატვის ფორმა, განაცხადების განხილვის პროცედურები და დაფინანსების გაცემასთან დაკავშირებული სხვა საკითხები).

## რეკომენდაცია #2

სოციალური მეწარმეობის მხარდამჭერი მუნიციპალური პროგრამების იდენტიფიცირება და პოპულარიზაცია.

რეკომენდებულია, სოციალური მეწარმეობის მხარდამჭერის მიმართულებით იდენტიფიცირებული მუნიციპალური პროგრამების პოპულარიზაცია სხვა მუნიციპალიტეტებში.

ამ მიზნით, მათ შორის შეიძლება გამოყენებული იქნეს, ევროპის საბჭოს მიერ აღიარებული და საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის მიერ ორგანიზებული საუკეთესო პრაქტიკის პროგრამა, რომელიც ემსახურება მუნიციპალიტეტებში ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებების განხორციელებასთან დაკავშირებული წარმატების მაგალითების გამოვლენას და მათ გამოყენებას სხვა მუნიციპალიტეტებში. ეს ინსტრუმენტი მუნიციპალიტეტებს მისცემს შესაძლებლობას მოახდინონ სოციალური მეწარმეობის მხარდამჭერის მიმართულებით თავისი ეფექტიანი მუშაობის დემონსტრირება, გაიზიარონ ერთმანეთის გამოცდილება და სწორედ ამ გამოცდილებაზე დაყრდნობით დანერგონ მათ წინაშე არსებულ გამოწვევებთან გამკლავების უკვე აპრობირებული, ხოლო რიგ შემთხვევებში ინოვაციური გზები.<sup>30</sup>

### 3.3.4. ამოცანა - სახელმწიფო სტრატეგიებში და შესაბამის პროგრამებში (განსაკუთრებით: აწარმოე საქართველოში) სოციალური საწარმოების მხარდამჭერი მიმართულების ინტეგრირება.

სახელმწიფო სტრატეგიებში და პროგრამებში სოციალური საწარმოების მხარდამჭერი მიმართულების ინტეგრირებისთვის მნიშვნელოვანია საკანონმდებლო დონეზე სოციალური მეწარმეობის სტატუსის ან/და სოციალური საწარმოს განმარტების და განსაზღვრის საკანონმდებლო კრიტერიუმების დადგენა. ამასთან, საწყის ეტაპზე, სოციალური მეწარმეობის საკანონმდებლო სტატუსის განსაზღვრის გარეშე შესაძლებელია სტრატეგიებში/პროგრამებში ამ საკითხის ინტეგრირება, იმ პირობით, რომ თავად შესაბამისმა სტრატეგიამ და პროგრამამ განსაზღვროს სოციალური საწარმოს კრიტერიუმები.

---

<sup>30</sup> საუკეთესო პრაქტიკის პროგრამა არის ევროპის საბჭოს მიერ აღიარებული და ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში ფართოდ გამოყენებული ინსტრუმენტი. საკონკურსო თემები უნდა ეხმიანებოდეს ევროპის საბჭოს მიერ დამტკიცებულ კარგი მმართველობის 12 პრინციპიდან (12 Principles of Good Governance) ერთ ან რამდენიმე პრინციპს: სამართლიანი არჩევნები და მოქალაქეთა ჩართულობა; მოლოდინების გამართლება; ეფექტურობა და ეფექტიანობა; გამჭვირვალობა; კანონის უზენაესობა; ეთიკის კოდექსის დაცვა; უნარჩვევებისა და შესაძლებლობების უწყვეტი გაუმჯობესება; ღიაობა, ცვლილებები და ინოვაცია; მდგრადი განვითარება; ფინანსების გონივრული მართვა; ადამიანის უფლებები. კულტურული და სოციალური მრავალფეროვნება; ანგარიშვალდებულება. სოციალური მეწარმეობის ხელშეწყობის მუნიციპალური პროგრამები შესაძლებელია აისახოს მე-9 თემატურ ჯგუფში. <http://www.nala.ge/home>

## რეკომენდაცია #1

მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშეწყობ სტრატეგიაში და მის ფარგლებში მიმდინარე პროგრამებში სოციალური მეწარმეობის კომპონენტის ინტეგრირება.

რეკომენდებულია, სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერის მიმართულების ინტეგრირება მოხდეს „მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2021-2025-ში“. ამ მიზნით, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2021-2025 -ის მე-5 თავს (ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებები) სასურველია დაემატოს მე-8 პრიორიტეტი: „სოციალური მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა“.

სოციალური საწარმოების მიერ შესაბამისი მხარდაჭერის პროგრამებით სარგებლობის და ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, რეკომენდებულია მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო პროგრამების მიზნებისთვის, ბენეფიციარებად ასევე აღიარებული იქნენ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბაზაზე არსებული სოციალური საწარმოები. ამ მიზნით, რეკომენდებულია, საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ სახელმწიფო პროგრამებში, სოციალური საწარმოებთან შესაძლო შემხებლობაში არსებულ კომპონენტებში, ბენეფიციარად ასევე მიეთითოს „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმით არსებული სოციალური საწარმო“. მაგალითად, საქართველოს მთავრობის მიერ 2014 წლის 30 მაისის N365 დადგენილებით დამტკიცებულ პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ შეიძლება შევიდეს ცვლილება და 12<sup>27</sup> მუხლის „ბ“ პუნქტში და 12<sup>44</sup> მუხლის „გ“ პუნქტში (სადაც განმარტებულია მეწარმე სუბიექტი), „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად რეგისტრირებულ სუბიექტებს დაემატოს „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმით რეგისტრირებული სოციალური საწარმო“. რეკომენდებულია მსგავსი მიდგომა გავრცელდეს სხვა სახელმწიფო პროგრამებზე (საკრედიტო საგარანტიო სქემის სახელმწიფო პროგრამა; მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების სახელმწიფო მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა).<sup>31</sup>

## რეკომენდაცია #2

სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების სტრატეგიაში და შესაბამის პროგრამებში სოციალური მეწარმეობის კომპონენტის ინტეგრირება.

რეკომენდებულია, სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერის მიმართულების ინტეგრირება სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების მიმართულებით არსებულ პროგრამებში. ამ მიზნით, რეკომენდებულია პროგრამების ბენეფიციართა ჩამონათვალს დაემატოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმით არსებული სოციალური

---

<sup>31</sup> „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის N365 დადგენილება; „საკრედიტო საგარანტიო სქემის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 29 მარტის N163 დადგენილება; „მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების სახელმწიფო მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 დეკემბრის N567 დადგენილება.

რი საწარმოები. შესაბამისად, საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ პროგრამებში უნდა შევიდეს შესაბამისი ცვლილებები, კერძოდ: 1) საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 თებერვლის N56 დადგენილებით დამტკიცებულ პროგრამაში „დანერგე მომავალი“ შევიდეს ცვლილება და მე-7 მუხლის 2 პუნქტში, მე-19 მუხლის მე-2 პუნქტში, 24.<sup>3</sup>-ე მუხლის პირველ პუნქტსა და 24.<sup>9</sup>-ე პუნქტში, სადაც განმარტებულია ბენეფიციარები, დაემატოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად შექმნილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმით არსებული სოციალური საწარმო. . 2) საქართველოს მთავრობის 2022 წლის 12 ივლისის N358 დადგენილებით დამტკიცებულ პროგრამაში „ბიო-წარმოების ხელშეწყობა“ შევიდეს ცვლილება და მე-3 მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებში, სადაც განმარტებულია ბენეფიციარები, დაემატოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად შექმნილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმით არსებული სოციალური საწარმო.

### 3.4. სოციალური მეწარმეობის კვლევა, განათლება და პოპულარიზაცია

მიზანი: სოციალური მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა სოციალური მეწარმეობის მიმართულების ფორმალური და არაფორმალური განათლების ფარგლებში სწავლების, სოციალური მეწარმეობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების და სოციალური მეწარმეობის განვითარების მიმართულებით საჯარო-კერძო პარტნიორობის გაძლიერების გზით.

სოციალური ინოვაციისა და მეწარმეობის გრძელვადიანი და მდგრადი განვითარების ყველაზე ეფექტურ მექანიზმს ამ სფეროს კვლევის, განათლების ხელმისაწვდომობისა და უნარების განვითარების მხარდაჭერა წარმოადგენს. მეწარმეობა იმ ტიპის უნარია, რომლის შესწავლაც შესაძლებელია. მაგალითისთვის, ევროკავშირის ფარგლებში მეწარმეობა განიხილება „უნარად, იმოქმედო შესაძლებლობებსა და იდეებზე დაფუძნებით და ისინი აქციო სხვებისთვის ღირებულ ფასეულობად.“ ანალოგიურად, სოციალური მეწარმეობაც ექვემდებარება სწავლისა და სწავლების პროცესს. მოცემულის გათვალისწინებით, იმ ქვეყანათა უმრავლესობაში, სადაც სოციალური მეწარმეობა განვითარების უფრო მაღალ საფეხურზეა, სოციალური მეწარმეობის სწავლების მოდელები ფორმალური განათლების ყველა საფეხურზეა დანერგული. ინსტიტუციონალური განათლების რესურსების მიღმა, სახელმწიფოები აქტიურად უჭერენ მხარს სოციალური მეწარმეობის განვითარებას არაფორმალური განათლების მექანიზმთა გაძლიერებით.

სოციალური ინოვაციების წასახალისებლად მენტორობის, კონსულტირებისა და სოციალური მეწარმეობისთვის უნარების განვითარების მხარდაჭერი პროგრამები სოციალური მეწარმეობის ფინანსურ წახალისებასთან ერთად არაერთ სახელმწიფოში მოქმედებს. ამ მიმართულებით ყველაზე გავრცელებულ პრაქტიკას სპეციალური არაფორმალური სივრცეების ე.წ ინკუბატორების ჩამოყალიბება წარმოადგენს, რომლებიც სოციალური მეწარმეობის სექტორის განვითარებაზეა მიმართული, ან სხვა უკვე არსებულ ინიციატივებთან (მაგ. ტექნო პარკებისა



და Start up-ების მხარდაჭერი ინკუბატორების და ა.შ) ხდება სოციალური მეწარმეობის სექტორის დამოუკიდებელი პროგრამების შემოყვანა. მსგავსი ინიციატივების მხარდაჭერა ხორციელდება როგორც ეროვნულ, ასევე ლოკალურ დონეზე და ძირითადად კერძო-საჯარო თანამშრომლობის ნაყოფს წარმოადგენს.

სოციალური საწარმოების გაძლიერების არანაკლებ მნიშვნელოვანი მექანიზმია სოციალური მეწარმეობის შესახებ ცნობიერების ამაღლება, ინფორმაციის გავრცელება და თემის ზოგადი პოპულარიზაცია. სოციალური მეწარმეობის, როგორც საქმიანობის უკეთ წარმოჩენა, ასევე ამ საქმიდან გამომდინარე პროდუქტის, შედეგისა და სოციალური გავლენის კვლევა, შესაბამისი საუკეთესო პრაქტიკის შემდგომი გაზიარება და კომუნიკაცია.

### 3.4.1. ამოცანა - სოციალური მეწარმეობის კომპონენტის ინტეგრაცია სასკოლო და საუნივერსიტეტო, ასევე პროფესიული სასწავლებლების სასწავლო პროგრამებში.

ფორმალური და არაფორმალური განათლების ნაწილად სოციალური მეწარმეობის მიმართულების ქცევა იმთავითვე გულისხმობს სფეროს მნიშვნელობის ზრდას, როგორც მოსწავლის, ისე პედაგოგის პერსპექტივით. ამოცანის შესრულება საბოლოო ჯამში სფეროთი მეტი ახალგაზრდის დაინტერესებაში, სოციალური მეწარმეობის უნარებისა და კომპეტენციის ფორმალიზებასა და შემენილი ცოდნის აკადემიური თუ პროფესიული საქმიანობის ნებისმიერ ეტაპზე ეფექტურად გამოყენებაში გამოიხატება.

#### **რეკომენდაცია #1**

იმისთვის, რომ მეწარმეობისა და სოციალური მეწარმეობის სწავლება გაცდეს სწავლების გამჭოლ მოდელს და გახდეს დამოუკიდებელი სასწავლო მიმართულება, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს გეგმიურ სწავლებას წინასწარ განსაზღვრული გეგმით, მეთოდოლოგიითა და წინასწარ განსაზღვრადი შედეგებით, პროფესიული განათლების მიმართულების მაგალითზე უნდა შეიქმნას საბაზისო და უმაღლესი განათლების მიმართულებისთვის გამოსაყენებელი, თუნდაც სარეკომენდაციო (მოდელური) ხასიათის **მეწარმეობის სასწავლო კურსი/მოდული** (კონტექსტის შესაბამისად), რომელიც ითვალისწინებს EntreComp-ის კომპეტენციათა ჩარჩოს, მასში გაწერილ საკვალიფიკაციო დონეებსა და თითოეული დონის მიხედვით განსაზღვრულ სწავლების შედეგებს (პროფესიული უნარების დონეს); თავის მხრივ, მოცემული შეიძლება გახდეს **მეწარმეობის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საფუძველიც, რომელიც შინაარსობრივად** აცალკევებს სოციალური მეწარმისთვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარების მიზანს და უკეთეს შემთხვევაში გაითვალისწინებს შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებას/მისი დამადასტურებელი პროფესიული დიპლომის გაცემას. პროგრამა თავის მხრივ გააერთიანებს კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელ სასწავლო კურსებს/მოდულებს, შემუშავებულს ზემოხსენებული მოდელური ნიმუშის მიხედვით, განსაზღვრული პროგრამის მიზნებით, სწავლის შედეგებით, პროფესიული სტუდენტის დატვირთვით კრედიტებში, სწავლების მეთოდებითა და შეფასების ფორმებით, რომელთა დონეც განსაზღვრება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან

(ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს გათვალისწინებით) მიმართებაში, როგორც ეს მითითებული იყო ჯერ კიდევ ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს შემუშავებისა და განხორციელების ხელშეწყობ, 2015-2017 ღონისძიებათა გეგმაში.<sup>32</sup>

## **რეკომენდაცია #2**

იმისთვის, რომ სწავლების პროცესი მაქსიმალურად ეფექტური იყოს, მნიშვნელოვანია თეორიულთან ერთად პრაქტიკული სწავლების მეთოდებში შესაბამისი ცვლილებები. მაგალითად, დღესდღეობით, სამეწარმეო უნარების განვითარების მიზნით, რიგ შემთხვევებში (ზოგიერთ სკოლაში) იქმნება საწარმოები, რომელთა შექმნისა და ლიკვიდირების მთელი პროცესი ბავშვთა სწავლების მიზანს ემსახურება. ერთი მხრივ, აუცილებელია გადაიხედოს ამგვარ საწარმოთა შექმნის, ოპერირებისა და ლიკვიდირების მთელი პროცესი, ბავშვებსა და სკოლებს მიეცეთ მაქსიმალური მოქნილობა მსგავსი საწარმოების პრაქტიკული საქმიანობისთვის გამოსაყენებლად, რათა მოსწავლემ მაქსიმალურად აითვისოს საწარმოს ფუნქციონირებასთან, მისი გამოყენებით საქმიანობის წარმართვასთან და მის შედეგებთან დაკავშირებული საკითხები, როგორც ამ პროცესში წარმოქმნილი უფლებების, ისე ვალდებულებების ნაწილში, მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია იგივე მექანიზმი ამუშავდეს სოციალურ საწარმოების შექმნის მიზნითაც, თუნდაც მოსწავლეთა/მასწავლებელთა არჩევანის საფუძველზე, რა დროსაც რეგისტრირებული საწარმოს მოდელი მოერგება სოციალური საწარმოს კონცეფციასა და იდეას.

## **რეკომენდაცია #3**

იმის გათვალისწინებით, რომ ამა თუ იმ დისციპლინის ფარგლებში, სწავლის შედეგები განისაზღვრება სხვადასხვა დონეზე (ეროვნული ჩარჩო, კურიკულუმი, სილაბუსი), სხვადასხვა მიზნით, ხოლო ეროვნული ჩარჩოს დონეზე სწავლის შედეგი (კომპეტენციები) არის ყველაზე განზოგადებული აღმწერი, მეწარმეობისა და სოციალური მეწარმეობის მიმართულებისთვის (ისევე როგორც სხვა საგნის შემთხვევაში) სწავლის შედეგები უნდა დაზუსტდეს სასწავლო პროგრამისა და კურსის ერთეულის დონეზე. იმის გათვალისწინებით, რომ სფერო ახალია, სახელმწიფოს მხრიდან თავდაპირველ ეტაპზე საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის გზამკვლევისა და ჩარჩო/მოდელური განსაზღვრებების შეთავაზება (იმასთან დაკავშირებით თუ რა ძირითად თემატურ საკითხებს უნდა ფარავდეს კურიკულუმი/საგანი მეწარმეობის უნარების განვითარების მიზნებისთვის, რომ მოცემული შეესაბამებოდეს ეროვნული კვალიფიკაციისა და Entrecomp სამეწარმეო კვალიფიკაციის ჩარჩოებს) გაუადვილებს საგანმანათლებლო დაწესებულებებს სწორი ფორმულირებების ჩამოყალიბების მიზანს. საგანმანათლებლო დაწესებულებებს უნდა მიეთითოთ, რომ ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს დონეზე არსებული სწავლის შედეგების გადატანა კურიკულუმსა და სილაბუსის დონეზე უნდა აკმაყოფილებდეს მინიმუმ შემდეგ პირობებს: 1. შედეგები უნდა იყოს მიღწევადი განსაზღვრულ დროში და 2. შედეგები უნდა იყოს შეფასებადი.

<sup>32</sup> <https://mes.gov.ge/uploads/News/gonisdzebata%20gegma.pdf>

### რეკომენდაცია #3

იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყნის ფარგლებში არ არის შემუშავებული ერთიანი განმარტება, თუ რას მოიცავს მეწარმეობა, სოციალური მეწარმეობა ან/და სოციალური ეკონომიკა და რა ურთიერთმიმართება, მსგავსება და განსხვავებაა ტერმინებს შორის შინაარსობრივად, ხშირად გამოყენებადი და ეროვნულ სასწავლო გეგმაში პრიორიტეტულ მიმართულებად განსაზღვრული „სამეწარმეო“ თუ „მეწარმის უნარების განვითარების მიზანი“ საჭიროებს დაკონკრეტებას. მნიშვნელოვანია მოცემული ტერმინი არ ასოცირდებოდეს მხოლოდ კლასიკურ ბიზნესთან/კომერციულ საქმიანობასთან და თავის თავში აერთიანებდეს სოციალურ და მწვანე / მდგრად მეწარმეობასაც. შესაბამისად, საჭიროა კონკრეტულად გამოიყოს „სოციალური მეწარმეობის“ მიმართულება - როგორც სავალდებულოდ დასაფარი თემა; მოცემული მოთხოვნა უნდა გაჩნდეს სახელმწიფოს მხრიდან ყველას მიმართ, ვისზეც განაწილებულია სამეწარმეო მიმართულებით ცოდნის გაზიარების და ცნობიერების ამაღლების პასუხისმგებლობა. ეს შეიძლება თავის მხრივ გამოიხატოს, საბაზისო განათლების საფეხურზე - *ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის (2018-2024) რევიზიაში*, რა დროსაც გეგმაში გამოყოფილი - ეროვნული სასწავლო გეგმის სწავლა-სწავლების მიზნებია, და საზოგადოებრივი მეცნიერებების სტანდარტი დაკონკრეტდება იმგვარად რომ ინიციატივისა და მეწარმეობის კომპონენტმა სავალდებულო წესით მოიცვას სოციალური მეწარმეობის თემატიკა. მაგალითისთვის, „სამეწარმეო უნარების განვითარებისა და ინიციატივების წახალისების მიზანი“ (მეწარმეობა, ინიციატივების გამოვლენა და საქმედ ქცევა) შეიძლება დაკონკრეტდეს შემდეგნაირად: „სამეწარმეო უნარების (მათ შორის სოციალური და მწვანე მეწარმეობის მიმართულებით) განვითარება და ინიციატივების წახალისება. ამასთანავე, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან გამომდინარე, ეროვნული სასწავლო გეგმით გამოყოფილ პრიორიტეტულ თემებში, რომლებიც მოიცავს ი) **სამეწარმეო უნარების განვითარებას და ინიციატივების წახალისებას** - უნდა დაზუსტდეს მისი განმარტება. არსებული რედაქციით, „მეწარმეობა არის ინდივიდის უნარი იდეები აქციოს საქმედ. ის მოიცავს როგორც შემოქმედებითი მიდგომის, ინოვაციისა და რისკის, ასევე დასახული მიზნის მისაღწევად დაგეგმვისა და პროექტების მართვის უნარს.“ სასურველია აქვე მოხდეს განმარტება, რომ „მეწარმეობა“ გამოყენებულია ამ ტერმინის ფართო გაგებით, რაც თავის მხრივ გულისხმობს როგორც კლასიკურ სამეწარმეო საქმიანობას, ისე სოციალური და მწვანე/მდგრადი მეწარმეობის მიმართულებებს;<sup>33</sup>

### რეკომენდაცია #4

იმისთვის, რომ სწავლების პროცესი იყოს ეფექტური, საჭიროა გამოსწორდეს სოციალური მეწარმეობისა და სოციალური ეკონომიკის მიმართულებით აკადემიური და კვლევითი ნაშრომების სიმწირესთან დაკავშირებული პრობლემა, რისთვისაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვანია კვლევით და აკადემიურ საქმიანობაში ჩართული პირების ფინანსური წახალისება და მხარდაჭერა. შესაძლებელია მსგავსი პასუხისმგებლობა გადანაწილდეს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდზე (Shota Rustaveli National Science Foundation – SRNSFG), რომელიც ქვეყანაში მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სისტემის

<sup>33</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/11098?publication=0>

განვითარების მიზნის ფარგლებში პრიორიტეტულად დაფინანსებს სოციალური მეწარმეობის, სოციალური ინვესტირების, სოციალური ეკონომიკისა და დაკავშირებული დარგების კვლევის მიმართულებას. ამასთანავე, კომპეტენციის ფარგლებში სსიპ-მა შეიძლება განიხილოს გრანტების გაცემა იმ დაინტერესებულ ახალგაზრდათა დაფინანსების მიზნით, რომლებიც გამოთქვამენ სოციალური მეწარმეობის მიმართულებით ორგანიზებულ საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის ინიციატივას. (მაგალითისთვის, მსგავს პროგრამას წარმოადგენს hult prize-ს საერთაშორისო კონკურსი სოციალური ეკონომიკისა და მეწარმეობის მიმართულებით - <https://www.hultprize.org/hult-prize-winners/>), რაც, საჭიროების შემთხვევაში გულისხმობს ზემოხსენებული მიზნობრიობით გრანტის გაცემის შესაძლებლობის მინიჭებას როგორც უფლებრივ დონეზე, ისე რესურსების დამატებით გათვალისწინებისა და გადაცემის გზით.

### **3.4.2. ამოცანა - სოციალური მეწარმეობის მიმართულებით მასწავლებელთა კომპეტენციის გაზრდა.**

ბუნებრივია, რომ სწავლების მიმართულების გაძლიერების მიზანი აუცილებელი წესით იკავშირებს ამ პროცესის წარმმართველი ძირითადი რგოლის - მასწავლებელთა და პედაგოგთა კომპეტენციის ზრდის ამოცანას.

#### **რეკომენდაცია #1**

მნიშვნელოვანია, საჯარო სკოლების ბაზაზე, რომლებშიც მეწარმეობა ისწავლება დამოუკიდებელი საგნის სახით, სავალდებულო წესით არსებობდეს სამეწარმეო მიმართულების შესაბამისი კათედრა, რომელის შემადგენლობა და ფუნქციები აისახება სასკოლო სასწავლო გეგმაში და რომელიც, უზრუნველყოფს მიმართულების განვითარებაზე მუდმივ ზრუნვას, პროცესზე ზედამხედველობას, ეტაპობრივ შეფასებას და კათედრის წევრ მასწავლებელთა შორის ცოდნისა და იდეების აქტიურ ცვლას.

#### **რეკომენდაცია #2**

მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან მოხდეს მასწავლებელთა პროფესიის წამახალისებელი მოქმედი პოლიტიკის ოპტიმიზაცია და მასწავლებელს ჰქონდეს ახალი - სამეწარმეო მიმართულების ათვისების მოტივაცია. მოცემული პირველ რიგში მიიღწევა იმ მასწავლებელთა საქმიანობის/სამუშაო პირობების გაუმჯობესების გზით, რომლებიც აიმაღლებენ ცოდნას, გადამზადდებიან მეწარმეობის მიმართულებით და შესაბამისი წესით დაადასტურებენ კვალიფიკაციას. მოცემული, ბუნებრივია პირველ რიგში გულისხმობს მასწავლებელთათვის შესაბამისი საკვალიფიკაციო პროგრამების შეთავაზებას და სახელმწიფოს მხრიდან მასწავლებელთა სასერტიფიკატო/მომზადების პროგრამაში მეწარმეობის (მათ შორის, სოციალური მეწარმეობის) თემის ინტეგრაციის წახალისებას. დღესდღეობით, საკვალიფიკაციო პროგრამათა უმრავლესობა ძირითად კრედიტებს უთმობს იმ არჩევით მოდულებს, რომლებიც საშუალო სკოლის ეროვნული სასწავლო გეგმით არის გათვალისწინებული (მათ შორის ქართული ენა

და ლიტერატურა, მათემატიკა, უცხოური ენები, საზოგადოებრივი მეცნიერებები, საბუნების-მეტყველო მეცნიერებები, ესთეტიკური აღზრდა, სპორტი). თუკი დავუშვებთ, რომ ეროვნული სასწავლო გეგმა მოცემულ საგნებთან ერთად გაითვალისწინებს სამეწარმეო სამართლის მიმართულებას, პარალელურად ხელს შეუწყობს საგნების სავალდებულო წესით სწავლების კულტურის დანერგვას (ზემოხსენებული რეკომენდაციების საფუძველზე) პროფესიულ ბაზარზე ამაღლება მეწარმეობის მიმართულებით კვალიფიცირებულ მასწავლებელთა მოთხოვნა. ამ ყველაფრის პარალელურად, აუცილებელია გამოიყოს ფინანსური ან/და ტექნიკური რესურსი (საჭიროებების შესაბამისად), რომელიც მოხმარდება სოციალური მეწარმეობის სწავლების პროცესში ჩართულ მასწავლებელთა გადამზადებას, მათ შორის, მასწავლებელთა ტრენინგსა თუ გადამზადებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციების/უწყების/კომპანიების ხელშეწყობას. რაც შეეხება პროგრამის გავლის შედეგად წარმატებულ კანდიდატ-თათვის აღმჭურველი შინაარსის სამართლებრივი შედეგების დადგომის საკითხს, მოცემული მიიღწევა, თუკი მეწარმეობის მიმართულებით კვალიფიკაციის ამაღლება განაპირობებს მასწავლებლის პროფესიული სტატუსის ზრდას. დღეს მოქმედი სისტემის გათვალისწინებით, მეწარმეობის კომპონენტი შეიძლება გახდეს პრაქტიკოსი, წარჩინებული (და შემდგომი საფეხურის) მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლების ნაწილი, რაც თავის მხრივ საჭიროებს მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ მინისტრის ბრძანების შესაბამისი წესით ცვლილებას.

### **3.4.3. ამოცანა - სოციალური მეწარმეობის სწავლების პროცესის შეფასების, შემდგომი ანალიზისა და გაუმჯობესების მექანიზმთა დანერგვა.**

ნებისმიერი ახალი ინიციატივა, მით უმეტეს განათლების სფეროში, იკავშირებს პროცესზე დაკვირვებისა და შემდგომი რეფლექსიის უზრუნველყოფის საჭიროებას. ეს მიდგომა არ არის უცხო აქამდე, დაკავშირებულ თემებთან მიმართებით ამოქმედებული საპილოტე პროგრამებისთვის.

#### **რეკომენდაცია #1**

იმისთვის, რომ საკითხის გადაწყვეტის თეორიული გზების ეფექტურობა პრაქტიკულადაც შემოწმდეს, მნიშვნელოვანია ნებისმიერი ახალი პროგრამის განხორციელების პროცესი მონიტორინგს და შეფასებას, ხოლო შესაბამისი წესით აღრიცხული შედეგები - შემდგომ ანალიზს დაექვემდებაროს. შესაბამისად, ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც მეწარმეობის სწავლების მიზნით შემუშავებული პროგრამების განგრძობად მოქმედებას ხელი ეშლება რესურსების ნაკლებობის მიზეზით, საჭიროა, სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერა. შესაძლებელია გამოყოფილი ფინანსური რესურსები მოხმარდეს შესაბამისი ორგანიზაციების/კომპანიების შერჩევას, რომლებიც თავის მხრივ, უზრუნველყოფენ მეწარმეობის განვითარების მიმართულებით არსებული თანამედროვე სასწავლო გეგმების/კონცეფციის/პროგრამის/მოდულის საპილოტე ფორმატში აღსრულებას, მონიტორინგს, შეფასებას ან შეფასების შედეგად იდენტიფიცირებული პრობლემების შესაბამისად რეკომენდაციების შემუშავებას

პროგრამის პრაქტიკაში ხელახალი ინტეგრაციის მიზნით. შესაძლოა მოცემული გადაიზარდოს ერთიანი, საქართველოს კონტექსტს მორგებული კონცეფციის ჩამოყალიბებასა და სტანდარტიზების პროცესში. (მაგალითისთვის - გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, შემუშავებულია პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამეწარმეო კულტურის დანერგვის კონცეფცია. 2020 წელს, კონცეფციის ფარგლებში, შერჩეული იქნა კომპანია, რომელმაც მხარდაჭერა გაუწია 2 საპილოტე დაწესებულებას (სსიპ კოლეჯი "იბერია" და სსიპ კოლეჯი "მოდუსი"), კონცეფციის დანერგვის სამოქმედო გეგმების შემუშავებასა და განხორციელებაში.) დღესდღეობით კვლავ მიმდინარეობს პროექტი, რომლის ფარგლებშიც ჯამში ექვს პროფესიულ კოლეჯში იგეგმება მსგავსი საპილოტე ვერსიის დანერგვა. აღსანიშნავია, რომ პროფესიული განათლების მიმართულებით პროფესიული უნარების სააგენტო უკვე არის აღჭურვილი იმ რესურსებით, რომლებიც მნიშვნელოვანია ახალი მეწარმეობის სასწავლო მოდულის დანერგვისა და რეალიზების პროცესში სიტუაციის მონიტორინგისა და შედეგების შეფასებისთვის. მნიშვნელოვანია მხარდაჭერის მსგავსი სტანდარტი გავრცელდეს საშუალო და ზოგადი განათლების საფეხურებზეც.

**3.4.4. ამოცანა - სოციალური მეწარმეობის მიმართულებით სახელმწიფო უწყების წარმომადგენელთა და შესაბამის საჯარო მოხელეთა ინფორმირების დონის ზრდა, როგორც ცენტრალურ, ისე მუნიციპალურ დონეზე.**

იმისთვის, რომ საზოგადოებრივი ცნობიერების დონეზე ზეგავლენის მიზნით, სახელმწიფოს მხრიდან ინიცირებული და დაწყებული აქტივობები იყოს ქმედითი და შედეგიანი, აუცილებელია საკითხთან დაკავშირებული ინფორმაციული დეფიციტი პირველ რიგში აღმოიფხვრას შესაბამისი საჯარო უწყების წარმომადგენელთა რიგებში, რაც შეუძლებელია სწავლებისა და წვრთნის პროცესში ცენტრალურ და მუნიციპალურ დონეზე მომუშავე პასუხისმგებელი პირების თანაბარი ჩართულობის გარეშე.

**რეკომენდაცია #1**

მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის ორგანოებმა (შესაბამისი მუნიციპალიტეტის ინტერესების და კონტექსტის გათვალისწინებით) დაიწყონ საუბარი სოციალური მეწარმეობის მნიშვნელობაზე, არსებული ფინანსური და ტექნიკური რესურსები მიმართონ მეწარმეობის, მათ შორის, სოციალური მეწარმეობის სფეროს განვითარებისკენ, მუნიციპალიტეტის ინდივიდუალური საჭიროებებისა და კონტექსტის გათვალისწინებით, რაც, თავის მხრივ შეიძლება გულისხმობდეს რეგიონის მასშტაბით ამ თემებზე მომუშავე ორგანიზაციათა ფინანსურ მხარდაჭერას.

**რეკომენდაცია #2**

მნიშვნელოვანია როგორც ცენტრალურმა ხელისუფლებამ, ისე შესაბამისმა მუნიციპალურმა ორგანოებმა იზრუნონ საჯარო უწყებებში სფეროს იმ წარმომადგენელთა პროფესიულ გადამზადებაზე, ვინც პოზიციის/პასუხისმგებლობების გათვალისწინებით უკავშირდება ან/და

შეიძლება დაუკავშირდეს მეწარმეობის განვითარების მიმართულებას, მათთვის - ზოგადად სფეროს და კონკრეტულად - სოციალური მეწარმეობის - შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით. მოცემული კრიტიკული იქნება, მაგალითად სამეწარმეო და არაკომერციული იურიდიული პირების რეესტრის იმ თანამშრომლებთან, რომლებმაც უნდა შეითავსონ სოციალური საწარმოების სტატუსის რეგისტრირების უფლებამოსილება/ვალდებულება. ამ ნიშნით, მნიშვნელოვანია დაგეგმილ საკანონმდებლო ცვლილებებზე, მათ მიზანზე, შესაბამის პროცედურებსა და როგორც ტექნიკურ, ისე შინაარსობრივ საკითხებზე დატრენინგდნენ, როგორც იუსტიციის სახლის ოპერატორები, ისე თანამშრომლები, რომლებიც უშუალოდ გადიან სარეგისტრაციო დოკუმენტაციას და იღებენ სტატუსის რეგისტრაციასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს. დადებითი შედეგები შეიძლება გამოიღოს მოცემულ საკითხზე შემოსავლების სამსახურის თანამშრომელთათვის, აუდიტთა და სხვა პირთათვის ინფორმაციის დამატებით მიწოდებამაც, რადგან სოციალური საწარმოს კონცეფცია თავის თავში აერთიანებს როგორც კომერციული, ისე არაკომერციული იურიდიული პირებისთვის დამახასიათებელ საქმიანობას. მათ შორის შეიძლება გადამზადდნენ კარიერული განვითარების კონსულტანტები და ახალგაზრდული მუშაკები, რომელთა პასუხისმგებლობაშიც შედის ახალგაზრდების მხარდაჭერა და დაკვალიანება პროფესიული და კარიერული განვითარების პროცესში. იმის გათვალისწინებით, რომ ახალგაზრდა მუშაკთა ინსტიტუტის გაძლიერება, თავის მხრივ ახალგაზრდობის სამოქმედო გეგმის ნაწილია, შესაძლებელია ახალგაზრდა მუშაკთა სოციალური მეწარმეობის მიმართულებით გადამზადების მიზანიც ახალგაზრდობის სამოქმედო გეგმის შესაბამისი აქტივობის სახით ჩამოყალიბდეს. დღესდღეობით შექმნილია სახელმწიფოსაგან აღიარებული „ახალგაზრდული მუშაკის“ მოსამზადებელი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ აკრედიტირებული პროგრამა, რომელიც პირველ ეტაპზე, არაფორმალური განათლების მიმწოდებელ, არსებულ პრაქტიკოს ახალგაზრდულ მუშაკებს გადამზადებს და ახალგაზრდებს ევროკავშირის მიერ აღიარებულ 8 საკვანძო კომპეტენციას გადასცემს. შესაძლებელია მეწარმეობისა და სოციალური მეწარმეობის სწავლების კომპეტენციის მათ შორის გათვალისწინება. გადამზადების მიზნებისთვის კონკრეტული აქტივობები შეიძლება გულისხმობდეს შესაბამისი ტრენინგ კურსის მომზადებისა და ჩატარებასთან დაკავშირებულ აქტივობებს, თავად ახალგაზრდა მუშაკების, როგორც ტრენინგების ფორმირების მიზნისკენ მიმართულ ტრენინგებს, ახალგაზრდობთან დაკავშირებულ თემებზე საკომუნიკაციო სტრატეგიის შემუშავებისა და აღსრულების მიზნებთან დაკავშირებულ აქტივობებს.

#### **3.4.5. ამოცანა - სოციალურ საწარმოთა ყოველდღიური საქმიანობის მხარდაჭერა მენტორინგის, კონსულტირებისა და ტექნიკური რესურსების შეთავაზების გზით.**

იმის გათვალისწინებით, რომ სოციალური ეკონომიკისა და მეწარმეობის სფერო ახალი და უცხოა, ამასთანავე, ამ ეტაპზე არ მოქმედებს საქმიანობის კანონიერების განმსაზღვრელი კონკრეტული რეგულაციური რეჟიმი, ლოგიკურია, რომ სოციალურ საწარმოებსა და მის ხელმძღვანელ პირებს აქვთ განსაკუთრებული საჭიროება ჰქონდეთ კვალიფიციურ კონსულ-

ტაციაზე, ასევე შესაბამის ტექნიკურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა, არა მხოლოდ გრძელვადიანი გეგმების განხორციელების, არამედ ყოველდღიური საქმიანობის ფარგლებში.

### **რეკომენდაცია #1**

რეკომენდებულია პირველ რიგში მოხდეს სახელმწიფოს ბაზაზე მოქმედი (თუმცა ასევე კერძო საფუძვლებით შექმნილი) სოციალური მეწარმეობის ინკუბატორებისა და აქსელერატორების შექმნა (ან არსებულთა იდენტიფიცირება შემდგომი ხელშეწყობის მიზნით), რომლებიც სამოქმედო ფარგლებისა და კომპეტენციის გათვალისწინებით, შეძლებენ შეითავსონ სოციალურ საწარმოთა მენტორობის, მათთვის სამუშაო სივრცის გაზიარების, დაინტერესებულ პირთა ექსპერტებთან, ინვესტორებსა და ჯგუფებთან დაკავშირების პასუხისმგებლობა. მნიშვნელოვანია რეკომენდაცია დაკმაყოფილდეს ისე, რომ რესურსი გაჩნდეს არა მხოლოდ ცენტრალურ, არამედ რეგიონულ დონეზე. იმისთვის, რომ მოცემულმა აქტივობამ პრაქტიკული შედეგები აჩვენოს, მნიშვნელოვანია სოციალურ საწარმოთა საჭიროებების კვლევა. კერძოდ, სოციალურ საწარმოებთან (მათ შორის ისეთი ქოლგა ორგანიზაციების გამოყენებით, როგორც არის, მაგალითად, სოციალურ საწარმოთა ალიანსი“) კომუნიკაციის საფუძველზე იმ ძირითად მიმართულებათა გამოკვეთა, რა მიმართულებითაც საწარმოებს სჭირდებათ ტექნიკური, ადმინისტრაციული, ფინანსური მხარდაჭერა, კონსულტაცია ან/და სხვა სახის ხელშეწყობა. მსგავსი შედეგი შეიძლება დადოს როგორც არაფორმალურმა მიზნობრივმა შეხვედრებმა, ისე ფორმალურმა კვლევამ, დაინტერესებულ მხარეთათვის შესაბამისი კითხვარის გაზიარების, ინტერვიუების გამართვისა თუ სამუშაო შეხვედრების ორგანიზების საფუძველზე.

### **რეკომენდაცია #2**

პროგრამებში, რომლითაც უკვე გათვალისწინებულია ახალი აქსელერატორების შექმნა, (მაგალითად, მთავრობის მიერ დამტკიცებული მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში) საჭიროა დაკონკრეტდეს მათი სამოქმედო ფარგლები და საოპერაციო პროგრამა იმგვარად, რომ მან ასევე მოიცვას სოციალური მეწარმეობის ხელშეწყობის მიზანი და მიზნის შესრულებისთვის გამოყოფილი რესურსები უნდა იყოს საჭიროებების ადეკვატური. არსებულ რეალობაში, სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესების მიზნით კერძო სექტორის განვითარება, საქართველოს საინვესტიციო კლიმატის პოპულარიზაცია და ექსპორტის ხელშეწყობა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ-ის („წარმოე საქართველოში“) საქმიანობის მიზანია, რომელიც პირდაპირ არის პასუხისმგებელი მიკრო და მცირე ბიზნესის მხარდაჭერის კომპონენტზე. ამ მიმართულებით, სააგენტო ქმნის ფინანსურ მხარდაჭერის ბაზას (საგრანტო პროგრამების სახით) და კონსულტაციას უწევს მიკრო და მცირე მეწარმეებს, შინაარსობრივი/თემატური მიმართულებით. მოცემული ნიშნავს, რომ უკვე არსებობს რესურსი სააგენტოს ბაზაზე, ან მისი მხარდაჭერით შეიქმნას შედარებით დამოუკიდებელი და კონკრეტულ მიმართულებაზე (სოციალური მეწარმეობის მიმართულებით) ორიენტირებული ინკუბატორი/აქსელერატორი, იმგვარად რომ დამატებით არ იყოს საჭირო სააგენტოს უფლებამოსილებებისა და ძირითადი მიზნების შინაარსში ცვლილება.



### რეკომენდაცია #3

უკვე არსებული რესურსების (მაგალითად, სახელმწიფო უნივერსიტეტების არსებული აქსელერატორებისა და ე.წ ფაბ-ლაბების) იდენტიფიცირების შემდგომ, მნიშვნელოვანია სახელმწიფომ იზრუნოს ამ რესურსების მაქსიმალურად გამოყენებაზე, მათ შორის, - გამოყოს ფინანსური რესურსები არსებული ლაბების პრაქტიკაში გასააქტიურებლად, მათი მდგრადი მხარდაჭერის, გაძლიერებისა და განვითარების მიზნით, რასაც წინ წაუძღვება საჭიროებებისა და პრობლემების კვლევის/იდენტიფიცირების პროცესი. როგორც თავად სახელმწიფოს მხრიდან მიეთითება,<sup>34</sup> ფაბლაბი არის უნიკალური სივრცე, რომელიც ყველას აძლევს საშუალებას, ჰქონდეს წვდომა თანამედროვე ტექნოლოგიებსა და დანადგარებზე. სამუშაო სივრცე ინოვაციური იდეების გენერირებისა თუ განხორციელების მიზნებისთვის, მომხმარებელს სთავაზობს უფასო მომსახურების კომპიუტერთა პროგრამირებადი დანადგარების (3D პრინტერი, ლაზერული მჭრელი, CNC და სხვა) გამოყენების მიზნით, ელექტრონიკის საკონსულტაციო სერვისებს, ტექნიკური სპეციალისტების მომსახურებასა და შესაბამის სასწავლო კურსებს.

იმის გათვალისწინებით, რომ ამ რესურსის შესაქმნელად უკვე გაღებულია ძალისხმევა, აუცილებელია შეფასდეს მომხმარებელთა მომცდილობა, პრაქტიკაში ფაბლაბების გამოყენების ინტენსივობა და მაჩვენებელი. რეალიზდა თუ არა პირველადი მოლოდინები და თუ არა, რა მიზეზით. შესაძლებელია საჭირო იყოს ფაბლაბის - როგორც ყველასთვის ხელმისაწვდომი პროდუქტის შემდგომი პოპულარიზაცია და ამ მხრივ მარკეტინგულ აქტივობათა დაგეგმვა, ფაბლაბის თანამშრომელთა მოტივაციის გაზრდა. პროექტის (იგულისხმება ფაბლაბი) შემდგომი და განგრძობადი განვითარების მიზნით, სახელმწიფომ შეიძლება განიხილოს ამ რესურსის კერძო სექტორთან გაზიარების იდეა, მაგალითად კერძო ინვესტორთა პროცესში შემოყვანა, რომლებიც შესაბამისი ფინანსური დაინტერესების საფუძველზე საკუთარ თავზე აიღებენ ფაბლაბების შემდგომ გაძლიერებას, პრაქტიკაში მათი უკეთ ამუშავების მიზნით.

#### **3.4.6. ამოცანა - საქართველოს ბაზაზე მოქმედი ნებისმიერი ტიპის სოციალური საწარმოსთვის რესურსებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.**

სახელმწიფოს მხრიდან, სოციალური საწარმოს „დუალისტური“ ბუნების გათვალისწინება აუცილებელია არა მხოლოდ რეფორმის გატარების, არამედ არსებული და მოქმედი მხარდაჭერის მექანიზმების ამოქმედებისა და სრულყოფის ეტაპზეც. ვინაიდან სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერის მიზანი საბოლოო ჯამში იმ სოციალური მისიის მიღწევას უწყობს ხელს, რომელსაც ისინი ემსახურებიან, ის, რომ სოციალური საწარმო არსებობს როგორც კომერციული, ისე არაკომერციული იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმით, არ უნდა განაპირობებდეს ამ პირთა განსხვავებულ სამართლებრივ რეჟიმში არსებობას.

<sup>34</sup> <https://www.economy.ge/?page=services&s=74>

## რეკომენდაცია #1

მნიშვნელოვანია მოიხსნას ის პრაქტიკული და რეგულაციური ტიპის ბარიერები, რომლებიც არსებულ აქსელერატორებს/ორგანიზაციებს/ასოციაციებს ან სხვა პასუხისმგებელ პირებს (მათ შორის და არა მხოლოდ, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ "აწარმოე საქართველოში") გააჩნია სოციალური მეწარმეობის მიმართულებით მოქმედ პირთა ხელშეწყობის თვალსაზრისით. მათ შორის, მნიშვნელოვანია განხორციელებული/განსახორციელებელი პროგრამების ფარგლებში, პროგრამების სამიზნე ჯგუფების/ბენეფიციარების შერჩევა არ ხდებოდეს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ნიშნით (კერძოდ, პროგრამებით სარგებლობა შეეძლოს არა მხოლოდ სამეწარმეო სამართლებრივი ფორმით, არამედ არასამეწარმეო სამართლებრივი ფორმით ორგანიზებულ წარმონაქმნებს). მნიშვნელოვანია, რომ აქცენტი გაკეთდეს დაინტერესებული პირის საქმიანობის შინაარსსა და ფორმაზე. მოცემულისთვის, პირველ რიგში საჭიროა სააგენტომ მოცემულობად მიიღოს სოციალური მეწარმეობისა და სოციალური საწარმოს ის შინაარსი, რომელიც გამორიცხავს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ნიშნით მონაწილეთა კლასიფიკაციას და ნორმატიული დეფინიციების დამტკიცების ეტაპამდე, თავად ჩამოაყალიბოს ის დეფინიცია, რომელსაც პროგრამებისა და პროექტების განხორციელების მიზნებისთვის დაეყრდნობა. მნიშვნელოვანია მოცემული გარკვევით აისახოს დაინტერესებულ პირთა პროგრამაში ჩართვის/თანადაფინანსების მიღების ყველა პროცედურაში.

### **3.4.7. ამოცანა - სოციალური მეწარმეობის შესახებ ინფორმაციის პროაქტიული გავრცელების უზრუნველყოფა და პოპულარიზაცია.**

სოციალური მეწარმეობის საარსებო გარემოს მდგრადობა პირველ რიგში იმაზეა დამოკიდებული, იცნობს და საჭიროებს თუ არა საზოგადოება იმას, რასაც სფერო მისთვის ქმნის. ფართო საზოგადოებისთვის სოციალური მეწარმეობის შესახებ ინფორმაციის პროაქტიული გავრცელების უზრუნველყოფის, ასევე სფეროს ზოგადი პოპულარიზაციის გარეშე შეუძლებელია იმ პირთა დაინტერესება, ვისაც აქვს სოციალური საწარმოს შექმნისა და გაძლიერების პოტენციალი, რეალური სოციალური პრობლემების სწორი იდენტიფიცირება და საზოგადოებაში სოციალური მეწარმეობის პროდუქტზე მოთხოვნის გაზრდა, ასევე ზოგადად, საზოგადოების მოტივირება სოციალური მისიის ხელშეწყობისა და გაძლიერების საქმეში.

## რეკომენდაცია #1

რეკომენდებულია სახელმწიფოს მხრიდან მოხდეს მეწარმეობისა და კონკრეტულად, სოციალური მეწარმეობის თემებზე საზოგადოებასთან კომუნიკაციის ხედვის შემუშავება, რომ ამ მიმართულებით საჯარო უწყებათა ინდივიდუალური საქმიანობა იყოს ეფექტური და პროაქტიული. მოცემული, თავის მხრივ, მიიღწევა საკითხზე პასუხისმგებელი უწყებების იდენტიფიცირებისა და მათ შორის კოორდინაციის ხარისხის გაზრდით გზით.

## **რეკომენდაცია #2**

იმისთვის, რომ საინფორმაციო და ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართულმა კამპანიებმა მოიცვას ასევე რეგიონების/მუნიციპალიტეტების ფარგლები, რეკომენდებულია მუნიციპალიტეტების მოქმედი საკომუნიკაციო პლატფორმები და სოციალური მედია-კამპანიები გამოყენებულ იქნას ასევე ადგილობრივი სოციალური საწარმოების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად და სოციალური მეწარმეობის პოპულარიზაციისთვის (მათ შორის კარგ პრაქტიკაზე და პოზიტიურ გამოცდილებაზე მითითებით).

## **რეკომენდაცია #3**

რეკომენდებულია საზოგადოებრივი მაუწყებლობის (მათ შორის საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო) რესურსები გამოყენებული იქნეს სოციალური მეწარმეობის კონცეფციის და სოციალური მეწარმეობის კარგი მაგალითების პოპულარიზაციის მიმართულებით. აღნიშნული შეიძლება მოხდეს, მათ შორის, მსგავსი ინფორმაციული და ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული პროგრამების სამაუწყებლო ბადეში ინტეგრირების, ამ თემატიკით პროფილით ახალი გადაცემების დაფინანსების, არსებულ გადაცემებში თემის ექსპერტთა მოწვევის, მაუწყებლის სხვა სოციალური პლატფორმების ინფორმაციის გასავრცელებლად გამოყენების გზით.

## **რეკომენდაცია #4**

სფეროს პოპულარიზაციის მიზნებისთვის, რეკომენდებულია არსებული საჯარო ღონისძიებების, ბაზრობების ან გამოფენების ხელშეწყობა გაძლიერდეს მუნიციპალიტეტების დონეზე, მუნიციპალიტეტების მხრიდან მხარდაჭერის ფორმით. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ამ მხრივ არსებული იმ ბიუროკრატიული ბარიერების აღმოფხვრა, რომლებიც ართულებს მსგავსი ღონისძიებების პროცესში სოციალურ მეწარმეთათვის შესაბამისი მატერიალური მხარდაჭერის, შესაბამისი სივრცის, ფართის მოპოვებასა და დაკავებას, საჯარო ან მუნიციპალიტეტის საკუთრებაში აღრიცხული ქონების დროებით გამოყენებას, ღონისძიების დაგეგმვისა და აღსრულების პროცესში მერიის ტექნიკური, ადამიანური და ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებას, საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით სახელმწიფო პლატფორმების გამოყენებას.

## **რეკომენდაცია #5**

მნიშვნელოვანია გაძლიერდეს სახელმწიფო ინსტიტუციების უფლებამოსილ პირთა წარმომადგენლობა სოციალური მეწარმეობის მიმართულებით კერძო სექტორის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებზე, კონფერენციებსა თუ მსგავსი ტიპის სხვა ღონისძიებებზე, რაც არა მხოლოდ მხარეთა შემდგომი კომუნიკაციის და თანამშრომლობის შესაძლებლობას იძლევა, არამედ ხაზს უსვამს სახელმწიფოს მხრიდან სოციალური მეწარმეობის მიმართულების მნიშვნელოვან მიმართულებად აღიარებას.

### **3.4.8. ამოცანა - სოციალური მეწარმეობის თემაზე მომუშავე აქტორთა და პასუხისმგებელ პირთა/უწყებათა ურთიერთკავშირის გაძლიერება.**

როგორც აქამდე არაერთხელ აღინიშნა, სფეროს კომპლექსურობისა და განსავითარებელ მიმართულებათა სიმრავლის გათვალისწინებით, ასევე იმის გამო, რომ ამ ეტაპზე თემასთან დაკავშირებული ინფორმაციის დიდი ნაწილი კერძო სექტორშია აკუმულირებული, აუცილებელია გატარდეს ღონისძიებები, რომლებიც მოემსახურება სოციალური მეწარმეობის თემაზე მომუშავე პირთა დაკავშირებას, ურთიერთობების გაღრმავებასა და თანამშრომლობითი გარემოს განვითარებას. მოცემული ამოცანის მიღწევა მნიშვნელოვნად გაადვილებს სტრატეგიაში მითითებული ნებისმიერი სხვა ამოცანის, ასევე ზოგადი მიზნების მიღწევის პროცესს.

#### **რეკომენდაცია #1**

სახელმწიფომ უნდა გადადგას ქმედითი ნაბიჯები სოციალური მეწარმეობის გაძლიერების საკითხზე მომუშავე პირებთან პარტნიორობის გაძლიერების მიზნით, სოციალური მეწარმეობისთვის მენტორობის პროგრამებისა და შესაძლებლობების განვითარების ინიციატივების უზრუნველსაყოფად. ამ მიზნით, რელევანტური საჯარო უწყების ბაზაზე (რომელიმე სამინისტრო ან მთავრობის ადმინისტრაციის ბაზაზე) - შეიძლება შეიქმნას პრაქტიკაში აქტიურად მომუშავე საკოორდინაციო ჯგუფი, განსაზღვრული მისიით, სამოქმედო გეგმითა და დისკრეციით, რომელიც დაკომპლექტდება შესაბამისი კომპეტენციის მქონე, სოციალური მეწარმეობის თემაზე მომუშავე და უწყებებით, ორგანიზაციებით და ექსპერტებით. ამ მიზნით ცალკე საკოორდინაციო ჯგუფის შექმნის ნაცვლად, ალტერნატივის სახით შეიძლება განხილული იქნას, უკვე არსებულ საკოორდინაციო პლატფორმაში სახელმწიფო ინსტიტუციების წარმომადგენელთა მონაწილეობის გაძლიერება (რაც თავის მხრივ სახელმწიფოს მხრიდან მსგავს სამუშაო პროცესში მონაწილეობის პასუხისმგებლობას გულისხმობს).

#### **რეკომენდაცია #2**

იმისთვის, რომ სოციალური მეწარმეობის განვითარების მიზანი გახდეს პრიორიტეტული, მნიშვნელოვანია სხვადასხვა უწყებების ბაზაზე, მათი უფლებამოსილების ფარგლებში, შეიქმნას შესაბამისი სათათბირო ერთეული/ერთეულები რომლებიც ამ მიმართულებით იმუშავენ. მნიშვნელოვანია ასევე, რომ არსებობდეს ამ თემაზე საზოგადოებასთან კომუნიკაციაზე პასუხისმგებელი და შიდა სამუშაო პროცესის მაკოორდინებელი უფლებამოსილი პირი, რომელიც დაკავშირებულ საკითხთა განხილვისა და გადაწყვეტისას წარმოადგენს სოციალური მეწარმეობის სფეროს ინტერესებს და პასუხისმგებელია სფეროს განვითარების მიზნით შესაბამისი პროგრამების, ფინანსებისა და სხვა საჭირო რესურსების მოძიებაზე, პროექტების შემუშავებასა და კოორდინირებაზე.

#### **რეკომენდაცია #3**

იმის გათვალისწინებით, რომ სოციალური მეწარმეობისა და სოციალური ეკონომიკის სფერო ჯერ კიდევ ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესშია, საჭიროა ინფორმაციული ბაზის

დაგროვება, სასწავლო (აკადემიური) ლიტერატურის ქართულ ენაზე შემუშავება და შესაბამისი სტატისტიკის დამუშავება. მნიშვნელოვანია, სახელმწიფო ინსტიტუციები, საქმიანობის პარალელურად თანამშრომლობდეს აკადემიურ და კვლევით ინსტიტუტებთან, სოციალური მეწარმეობის შესახებ კვლევების ჩატარებისა და სპეციალიზებული სასწავლო პროგრამების შემუშავების მიზნით.

#### **რეკომენდაცია #4**

ლოკალური და საერთაშორისო სტეიკჰოლდერების შეკავშირების მიზნით, შესაძლებელია სახელმწიფო რესურსების გამოყენებით გარკვეული პერიოდული ორგანიზებული ქსელური ღონისძიებების, შეხვედრების ან კონფერენციების მასპინძლობა, რომლებიც აერთიანებენ სოციალურ მეწარმეებს, ინვესტორებს, პოლიტიკის შემქმნელებსა და სფეროს მხარდამჭერ დონორებს. აღნიშნულით ხელი შეეწყობა საერთაშორისო თანამშრომლობითი ურთიერთობების გაძლიერებას და კონკრეტულ შემთხვევაში კონტექსტის შესაბამისი, ახალი ცოდნის გაცვლას. მსგავსი პრიორიტეტი შეიძლება გამოიყოს მეწარმეობის სფეროს განვითარებისკენ მიმართულებით ნებისმიერ სტრატეგიასა თუ დოკუმენტში.

#### **რეკომენდაცია #5**

მნიშვნელოვანია სამეწარმეო სამართლის მიმართულებით უკვე არსებული და მოქმედი პლატფორმებისა თუ სამუშაო ჯგუფების რესურსის ათვისება მათი შემდგომი მხარდაჭერის გზით, მათ შორის ამგვარ პლატფორმათა ინიციატივების მოსმენისა და გაზიარების ხარჯზე მათთვის ლეგიტიმაციის გაზრდის გზით. არსებულ ინიციატივათა მიმდებლობა აჩენს პროგრესის მოთხოვნილებასა და სამომავლო განვითარების იმედს, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში გულისხმობს დაინტერესებულ მხარეთა მუშა პროცესში სტაბილურ ჩართულობას.

#### **რეკომენდაცია #6**

ყველა იმ სტრატეგიული მიზნისა და გეგმის განხორციელებისთვის, რომლებიც ირიბად ან პირდაპირ ეხება/შეეხება სოციალური მეწარმეობის განვითარებას (მათ შორის და არა მხოლოდ, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგია, ახალგაზრდული სტრატეგია და ა.შ) შეიძლება განისაზღვროს პროცესის მაკონტროლებელი უწყება ან უკვე არსებულ, უწყებათაშორის ორგანოებში (იქნება ეს კომიტეტების, საბჭოების/ჯგუფების თუ სხვა, სარეკომენდაციო ან მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანოს ბაზაზე) მოხდეს სოციალური მეწარმეობის კომპონენტის გაძლიერება, სოციალური მეწარმეობის მიმართულებით მომუშავე სუბიექტების ამ პროცესებში უფრო აქტიური ჩართვის გზით (მაგალითად, საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სახელმწიფო სტრატეგიის მაკოორდინირებელი სათათბირო ორგანო). აღნიშნული იძლევა შესაძლებლობას, რომ გარკვეული ინტენსიობით მოხდეს აქტივობების კოორდინირება, პასუხისმგებლობების გადანაწილება და პროცესის პროგრესის შესახებ ინფორმაციას გაცვლა.

## 4. შეჯამება

მოცემული დოკუმენტი ნათლად წარმოაჩენს, რომ სოციალური მეწარმეობის სფეროს მხარდაჭერისა და განვითარების მიმართულებით ძალიან ბევრი მიზანი, ამოცანა და რეკომენდაცია ერთიანდება, რომელთა შესრულებაც ძალისხმევასთან არის დაკავშირებული, თუმცა, პირველ რიგში სახელმწიფოს მხრიდან მოცემულთან დაკავშირებით შესაბამისი ნების გამოვლენაა საჭირო.

პრობლემურ საკითხთა მრავალფეროვანი გადაჭრის გზებს შორის, იკვეთება ერთიანი ფორმულა, რომელსაც სახელმწიფოები მიმართავენ ქვეყნის შიგნით სოციალური მეწარმეობის სფეროს მხარდასაჭერად, კერძოდ, პროცესი მოიცავს: სოციალური მეწარმეობის სფეროს საკანონმდებლო აღიარებასა და ამ საკითხთან დაკავშირებით სამართლებრივი ჩარჩოს შექმნას (ჩარჩოს კანონის მიღებით ან მომწესრიგებელი პრინციპების სხვა კანონებში ინტეგრაციით); სფეროს პოლიტიკურ აღიარებასა და სოციალური მეწარმეობის განვითარების გრძელვადიანი ხედვის შემუშავების მიზნით პოლიტიკის დოკუმენტების შექმნას, სხვადასხვა აქტორებთან თანამშრომლობის მიზნით თანამშრომლობის ინსტიტუციური პლატფორმების შექმნას, დივერსიფიცირებულ ფინანსურ და მატერიალურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, სოციალური საწარმოების უნარებისა და შესაძლებლობების ზრდის მხარდაჭერას, სოციალური მეწარმეობის გრძელვადიანი და მდგრადი განვითარების მიზნით სოციალური მეწარმეობის განათლების ყველა საფეხურში ინტეგრირებას, აკადემიური კვლევითი კომპონენტის წახალისებასა და ამ სფეროს ახალგაზრდებში პოპულარიზაციას.

ყველაზე ეფექტური გზა მაქსიმალური პროგრესის მისაღწევად, ყველა ამ ელემენტის ერთობლივი, სისტემური მუშაობაა, თუმცა რეალურად არსებული რესურსების გათვალისწინებით, შესაძლებელია პრიორიტეტების განსაზღვრა, მოკლევადიან პერსპექტივაში მხოლოდ საკითხთა ნაწილის დაფარვა და პროცესის შემდგომი აქსელერაცია.

დოკუმენტში მითითებული რეკომენდაციები ასახავს იმ ძირითად ნაბიჯებს, რომლებიც უნდა გადაიდგას სოციალური მეწარმეობის სფეროსა და მის წარმომადგენელთა სახელმწიფოს მხრიდან მხარდასაჭერად, რაც ქვეყანაში სისტემურ სოციალურ გამოწვევებთან ბრძოლის ერთ-ერთი, ეფექტური და ინოვაციური საშუალებაა.